

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლევან ლაშქარავა**

**GSM სტანდარტის მობილურ ქსელებში  
რადიორესურსების მართვის ეფექტური  
ალგორითმების დამუშავება**

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
სადოქტორო პროგრამა “ტელეკომუნიკაცია” შიფრი 0402

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

თბილისი, 0175, საქართველო

-----, 2016 წ.

## **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

### **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი**

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ლევან ლაშქარავას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით:

„GSM სტანდარტის მობილურ ქსელებში ოდიორესურსების მართვის ეფექტური ალგორითმების დამუშავება“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი \_\_\_\_\_

ხელმძღვანელი: რქ შამანაძე ო. კ.

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2016 წ.

ავტორი: **ლევან ლაშქარავა**

დასახელება: GSM სტანდარტის მობილურ ქსელებში რადიორესურსების  
მართვის ეფექტური ალგორითმების დამუშავება

ფაცულტეტი: ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარებულია: \_\_\_\_\_ 2016 წ.

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ,  
ზემოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით  
მოთხოვნის შემთხვევაში, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა  
და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ  
უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც  
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების  
გადაბეჭდვა და სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია  
ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო  
უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა  
(გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ  
სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს  
მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა  
მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

მობილური რადიოკავშირის ქსელი წარმოადგენს მუდმივად განვითარებად სტრუქტურას. ახალი არხების მოცვა, მომსახურებათა ნაკრების გაფართოება და მომხმარებლებისათვის მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა ასტიმულირებენ სააპონენტო ბაზის მატებას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს ქსელის ტევადობის გაფართოებასა და ქსელის მოწყობილობების მუშაობის პროცესის აწყობას.

რადიოქსელის რესურსების მართვის პრობლემას გააჩნია დიდი პრაქტიკური მნიშვნელობა. GSM სტანდარტის კომერციულ ქსელთა ექსპუალატაციისა და განვითარების გამოცდილებამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ მოწყობილობების მუშაობის რეჟიმების სწორი არჩევანი და ქსელური პარამეტრების საგულდაგული აწყობა წარმოადგენს ოპერატორის წარმატებული მუშაობის აუცილებელ პირობას. კავშირის დიდი განტოტებული ქსელის რესურსების ეფექტური მართვა მოითხოვს შესაბამისი მეთოდებისა და ალგორითმების გამოყენებას, მათი მაღალი ხარისხის ავტომატიზაციის შესაძლებლობით. ამრიგად, ამ სადისერტაციო ნაშრომის თემა აქტუალურია.

ნაშრომის მიზანი მდგომარეობს GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელთა აბონენტების მომსახურების ხარისხის ამაღლებაში.

მეცნიერული ამოცანა მდგომარეობს GSM სტანდარტში რადიოქსელის მართვის ალგორითმების შემუშავება ქსელის მუშაობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით.

მეცნიერული ამოცანის ამოხსნისას გამოყენებული იქნა ალბათობისა და სტატისტიკის თეორიის, მასობრივი მომსახურების თეორიის, რადიოტალღების გავრცელების თეორიის მათემატიკური აპარატი, აგრეთვე, მათემატიკური მოდელირების მეთოდები და ექსპერიმენტული კვლევები.

დისერტაცია შედგება შესავლისაგან, ოთხი თავისაგან, დასკვნისაგან. პირველ თავში მოცემულია GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ფიჭური სისტემების ზოგადი დახმარება, წარმოებულია მონაცემების გადაცემის ტექნოლოგიათა მიმოხილვა და განხილულია აბონენტების მომსახურების ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები. ჩატარებულია GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელთა ფუნქციონირების გვექმნების ამაღლების პრობლემების ანალიზი. ფორმულირებულია მოთხოვნები რადიოქსელის რესურსების მართვის ალგორითმებისადმი. განხილულია ფუნქციური ამოცანები, რომლებიც იჭრება მობილური რადიოკავშირის ქსელის განვითარებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. განსაზღვრულია რადიოქსელის მდგომარეობის მახასიათებელი მაჩვენებლების საჭირო ნაკრები.

მეორე თავში შემუშავებულია მათემატიკური მოდელი, რომელიც აკავშირებს ქსელის მუშაობის ხარისხის მის საექსპლუატაციო მახასიათებელთან და სააბონენტო დატვირთვასთან. მიღებულია ანალიტიკური გამოსახულებები, რომლებიც გამოძახების ბლოკირების ალბათობას, შიდასისტემური ხელშემლების დონეს და სპექტრულ ეფექტურობას აკავშირებენ სააბონენტო დატვირთვის მოცულობასა და ხასიათთან. ჩატარებულია სიგნალი/ხელშემლების ფარდობის შეფასება ტრაფიკის და მართვის არხებში მიმღებ-გადამცემი მოწყობილობის მუშაობის რეჟიმების გათვალისწინებით. წარმოებულია რადიოქსელის მუშაობის პირობების ანალიზი სააბონენტო დატვირთვის, აპარატურული და სიხშირული რესურსების სხვადასხვა თანაფარდობისას; გამოყოფილია ქსელის მდგომარეობა ძირითადი გრადაციებით.

მესამე თავში შემოღებულია GSM 900/1800 თანამიმართული სქემორების სააბონენტო დატვირთვის ბალანსის ცნება. აგებულია GSM 900/1800 თანამიმართული სექტორების შორის ხმოვანი ტრაფიკის გადასვლის მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიანგარიშოთ ქსელური პარამეტრების მნიშვნელობები, რომელთა

დროს ტრაფიკი ბალანსირებული იქნება. შემუშავებულია შესაბამისი გამოანგარიშების მეთოდი და აღებულია GSM 900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის მართვის ალგორითმი, რომელიც ეყრდნობა BSS ქვესიტემის ქსელურ სტატისტიკას. აღწერილია GSM 900/1800 თანამიმართული სექტორების შერეული ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის მართვის ამოცანაში შემუშავებული მეთოდის გამოყენების პრინციპი; მიღებულია ძირითადი საანგარიშო თანაფარდობები. ფორმულირებული და დასაბუთებულია რეკომენდაციები ხმოვანი, პაკეტური და სასიგნალო (SDCCH) ტრაფიკის განაწილებაზე GSM 900/1800 ორდიაპაზონიან ქსელში.

მეოთხე თავში შემოღებულია ფიჭების გადაფარვის დონის ცნება. შემუშავებულია GSM ქსელებში მეზობელი ფიჭების სიათა ფორმირების მეთოდიკა. მიღებულია ანალიტიკური გამოსახულებები ქსელური ანათვლების საფუძველზე სექტორებს შორის მეზობელი ფარდობების ეფექტურობის შესაფასებლად. შემუშავებულია მეზობელი ფიჭების სიათა ოპტიმიზაციის ალგორითმი BSS ქვესისტემის ქსელური სტატისტიკის გამოყენებით და მეზობელი ფარდობების დაყენებაზე ან მოცილებაზე ფიჭ-კანდიდატების გადაფარვის დონის ანალიზის გამოყენებით. ალგორითმი ითვალისწინებს GSM-900/1800 შრეების არქიტექტურას, დაგეგმვის მეთოდებს და ტრაფიკის მართვის მეთოდებს, რომლებიც მიღებულია რადიოქსელში. დაწვრილებითაა აღწერილი გამოტოვებული NR-ის დამატებისა და უეფექტოების მოცილების პროცედურები.

დასაცავად გამოტანილია შემდეგი სამეცნიერო შედეგები:

GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელის მათემატიკური მოდელი, რომელიც ქსელის მუშაობის ხარისხის მაჩვენებლებს აკავშირებს მის საექსპლუატაციო მახასიათებლებთან და სააბონენტო დატვირთვასთან.

1. GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელებზე რადიორესურსების მართვის ალგორითმები, რომლებიც დაფუძნებულია ქსელური ანათვლების შედეგებზე.
2. GSM ქსელებზე მეზობელი ფიჭების სიათა ფორმირების მეთოდიკა, ქსელის არქიტექტურა, მისი დაგეგმვისა და ტრაფიკის მართვის მეთოდების გათვალისწინებით.

ნაშრომის შედეგები დანერგილია შპს “მობიტელის” პრაქტიკულ საექსპლუატაციო-ტექნიკურ საქმიანობაში.

## **Abstract**

The network of a mobile communication is constantly developing structure. Coverage of new areas, expansion of a set of services and increase of availability them for users stimulates a gain of subscriber base that, in turn, demands expansion of network capacity and control of operating modes of the network equipment.

The problem of resource management of a radio network has the big practical importance. Operating experience and developments of commercial networks of the GSM standard convincingly showed that the right choice of operating modes of the equipment and careful control of network parameters is necessary conditions of successful work of the operator. Effective management of resources of a big extensive network of communication demands use of the corresponding methods and algorithms with possibility of high extent of their automation. Thus, the subject of the real dissertation work is actual.

The purpose of work consists in improvement of quality of service of subscribers of networks of a mobile communication of the GSM standard.

The scientific task consists in development of algorithms of management by a GSM standard radio network with use of statistical data on network functioning.

At the solution of a scientific task the mathematical apparatus of the theory of probability and statistics, the theory of mass service, the theory of distribution of radio waves, and also methods of mathematical modeling and a pilot study was used.

The thesis consists of the introduction, four heads, the conclusion and appendices.

In chapter 1 the general characteristic of cellular systems of a mobile communication of the GSM standard is given, the review of technologies of data transmission is executed and requirements imposed to quality of service of subscribers are considered. The analysis of a problem of increase of efficiency of functioning of networks of a mobile radio communication of the GSM standard is carried out. Requirements in algorithms of resource management of a radio network are formulated. The functional tasks solved in decision-making process on development of a network of a mobile radio communication are considered. The necessary set of indicators characterizing a condition of a network is defined.

In chapter 2 the mathematical model connecting indicators of quality of network functioning with its operational characteristics and subscriber loading is developed. Are received the analytical expressions connecting probability blocking of a call, level of intrasystem noise and spectral efficiency with a volume and character of subscriber loading. The relation assessment a signal/noise in traffic and management channels from the accounting of operating modes of the transmit-receive equipment is carried out. The analysis of operating conditions of a radio network is made at various ratios of subscriber loading, hardware and frequency resources the main gradation of a condition of a network are allocated.

In a chapter 3 the concept of balance of subscriber loading the codirected of sectors of GSM 900/1800 is entered. The mathematical model of transition of a voice traffic between codirected sectors of GSM 900/1800, allowing to calculate values network parameters at which the traffic will be balanced is constructed. The method of the corresponding calculation is developed and the algorithm of management by a voice traffic of the codirected sectors GSM 900/1800 relying on network statistics of a subsystem of BSS is constructed. The principle of use of the developed method in a problem of management mixed voice and package a traffic of the codirected sectors of

GSM 900/1800 is described, the main settlement ratios are received. Recommendations about distribution voice, package, and signaling traffic in dual-band networks are formulated and reasonable.

In chapter 4 the concept of level of overlapping of neighbor cells is entered. The technique of formation of lists of the neighbor cells in the GSM networks is developed. Analytical expressions for an assessment of efficiency of the neighbour's relations between sectors on the basis of network measurements are received. The algorithm of optimization of lists of the next neighbor with use of network statistics of a subsystem of BSS and application of the analysis of level of overlapping of candidate neighbor on establishment or removal of the neighbour's relations is developed. The algorithm considers architecture of layers of GSM 900/1800, methods of planning and methods of control over a traffic, acceptance in a radio network. Procedures of addition passed and removals of inefficient NR are in detail described.

Appendices contain the mathematical calculations used at creation of mathematical models and expression, used subsystems of BSS, when processing results of measurements.

The following scientific results are submitted for protection

- 1 . Mathematical model of a network of a mobile radio communication of the GSM standard, connecting indicators of quality of network functioning both its operational characteristics and subscriber loading.
- 2 . Algorithms of management of radio resources in GSM mobile networks, based on results of network measurements.
- 3 . Technique of formation of lists of the next neighbor in the GSM networks, taking into account architecture of a network, methods of its planning and traffic control.

Results of work are introduced in Mobitel's practical operational and technical activities.

## სარჩევი

შესავალი ----- 14

**თავი 1. GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელების ფუნქციონირების უფექურობის ამაღლების პრობლემების ანალიზი**

- |     |  |       |    |
|-----|--|-------|----|
| 1.1 | GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ფიჭური სისტემების ზოგადი დახასიათება | ----- | 18 |
| 1.2 | GSM მოთხოვნები GSM სტანდარტის ქსელებში აბონენტთა მომსახურების ხარისხისადმი |       |    |
| 1.3 | მოთხოვნები რადიოკავშირის რესურსების მართვის ალგორითმებისადმი               |       |    |
| 1.4 | რადიორესურსების მართვის განზოგადებული ალგორითმი                            |       |    |
| 1.5 | კვლევის ამოცანების დასმა   |       |    |

**თავი 2. GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელის მათემატიკური მოდელი**

- |      |  |
|------|--|
| 2.1. | ამოცანის დასმა   |
| 2.2. | ქსელის არქიტექტურია სხვადასხვა ზომის კლასტერების გამოყენებისას   |
| 2.3. | რადიოარხების მათემატიკური მოდელი   |
| 2.4. | შიდასისტემური ხელშეშლების მათემატიკური მოდელი  |
| 2.5. | სიგნალი/ხელშეშლის საჭირო დამოკიდებულების უზრუნველოფის ალბათობა   |
| 2.6. | სარგეზსაშიში რადიოტაიმსლოტების აქტივობის ალბათობის აღრიცხვა  |
| 2.7. | შიდასისტემური ხელშეშლების ანალიზი შემუშავებული მათემატიკური მოდელის საფუძვლები.  |
| 2.8. | ქსელის მდგომარეობა ანალიზის შიდასისტემური ხელშეშლებისა და ქსელზე საბონენტო დატვირთვების გათვალისწინებით სპექტრული ეფექტურობისა და მოწყობილობის გამოყენების ეფექტური კრიტერიუმების მიხედვით |

### **დასკვნები**

**თავი 3. GSM სტანდარტის მობილური რადიოპავშირის ქსელებში რადიორესურსების მართვის ალგორითმები**

3.1. ამოცანის დასმა

3.2. GSM 900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის ბალანსი

3.2.1 ხმოვანი ტრაფიკის ბალანსის პირობების განსაზღვრა

3.2.2. მართვადი ზემოქმედების გამოანგარიშების მეთოდი

3.3. GSM 900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის რეგულირების ალგორითმი

3.4. წინადადებები GSM 900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის განაწილებაზე

### **დასკვნები**

**თავი 4. GSM ქსელებზე მეზობელი ფიჭების ჩამოყალიბების მეთოდიკა**

4.1 ამოცანის დასმა

4.2. GSM ქსელებზე მეზობელი ფიჭების სიების ჩამოყალიბების პროცესი

4.3. გამოტოვებული მეზობლების აღმოჩენის მეთოდი

4.4. უეფექტო მეზობლების აღმოჩენის მეთოდი

4.5. მეზობელი ფიჭების სიების ოპტიმიზაციის ალგორითმი

### **დასკვნები**

### **დასასრული**

გამოყენებული წყაროების სია

**მიღებული შემოკლებები და აღნიშვნები**

**იგს** – იზოტოპურად გამოსხივებადი სიმძლავრე

**შს** – შემთვევითი სიდიდე

**კსმო** – კაგშირის სისტემა მობილური ობიექტიდან

**უდს** – უდიდესი დატვირთვის საათი

**სტგ** – სიხშირულ – ტერიტორიული გეგმა

**ელჟ** – ელექტრომაგნიტური შეთავსებადობა

## **ინგლისურენოვანი**

**AMR (Adaptive Multirate)** - ადაპტური მულტიჩაროსნული კოდეკი

**BAL (BCCH allocation list)** - BCCH არხების სია

**BCC ( base station color code)** - საბაზო სადგურის ფერთა კოდი

**BCCH (broadcast control channel)** - ლოგიკური სამაუწყებლო მართვის არხი

**BSC (base station controller)** - საბაზო სადგურების კონტროლერი

**BS (base transceiver station)**- საბაზო სადგური

**BSS (base transceiver station)** - საბაზო სადგურების ქვესისტება

**CF (channel finder)** - სიხშირული არხების სკანერი

**CS (circiuit swich)** - არხების კომუტაცია

**DAC (defined adjacent cell)** - ქსელის სტატისტიკა მეზობელი ფიჭების მიხედვით

**FR (full rate)** - სრულსიჩარიანი რეჟიმი

**HR (half rate)** - ნახევარსიჩქარიანი რეჟიმი

**KPI (key performance indications)** - ხარისხის ძირითადი მაჩვენებლები

**MOS (mean opinion score)** - საშუალო შეფასება

**MR (measurement report)** - ანათვლების მონაცემები

**MS (mobile station)** - მობილური სადგური

**NCC (network color code)** - ქსელის ფერთა კოდი

**NR (neighbor relations)** - ქსელის სექტორების მეზობლებზე  
დამოკიდებულება

**OSS (operating and support subsystem)** - მართვისა და დახმარების  
ქვესისტემა

**PS (packet switch)** - პაკეტების კომუტაცია

**RTSL (radio time slot)** - რადიოტაიმსლოტი

**QoS (quality of service)** - მომსახურების ხარისხი

**SACH (slow associated control channel)** - ნელი შეღწევის მართვის არხი

**SDCCH (stand- alone dedicated control channel)** - გამოყოფილი მართვის  
არხი

**SFH (slow frequency hopping)** - სიხშირის ნელი ნახტომისებური  
გარდაქმნა

**TBF (temporary block flow)** - ბლოკების დროებითი ნაკადი

**TCH (traffic channel)** - ტრაფიკის არხი

**TRX (transceiver)** - მიმღებ გადამცემი

**VAD (voice activity detector)** - საუბრის აქტივობის დეტექტორი

## შესავალი

მობილური რადიოკავშირის ქსელი წარმოადგენს მუდმივად განვითარებად სტრუქტურას. ახალი არხების მოცვა, მომსახურებათა ნაკრების გაფართოება და მომხმარებლებისათვის მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა ასტიმულირებენ სააბონენტო ბაზის მატებას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს ქსელის ტევადობის გაფართოებასა და ქსელის მოწყობილობების მუშაობის პროცესის აწყობას.

რადიოქსელის რესურსების მართვის პრობლემას გააჩნია დიდი პრაქტიკური მნიშვნელობა. GSM სტანდარტის კომერციულ ქსელთა ექსპუალატაციისა და განვითარების გამოცდილებამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ მოწყობილობების მუშაობის რეჟიმების სწორი არჩევანი და ქსელური პარამეტრების საგულდაგულო აწყობა წარმოადგენს ოპერატორის წარმატებული მუშაობის აუცილებელ პირობას. კავშირის დიდი განტოტებული ქსელის რესურსების ეფექტური მართვა მოითხოვს შესაბამისი მეთოდებისა და ალგორითმების გამოყენებას, მათი მაღალი ხარისხის ავტომატიზაციის შესაძლებლობით. ამრიგად, ამ სადისერტაციო ნაშრომის თემა აქტუალურია.

ნაშრომის მიზანი მდგომარეობს GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელთა აბონენტების მომსახურების ხარისხის ამაღლებაში.

მეცნიერული ამოცანა მდგომარეობს GSM სტანდარტში რადიოქსელის მართვის ალგორითმების შემუშავება, ქსელის მუშაობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით.

მეცნიერული ამოცანის ამოხსნისას გამოყენებული იქნა ალბათობისა და სტატისტიკის თეორიის, მასობრივი მომსახურების თეორიის, რადიოტალღების გავრცელების თეორიის მათემატიკური აპარატი, აგრეთვე, მათემატიკური მოდელირების მეთოდები და ექსპერიმენტული კვლევები.

დისერტაცია შედგება შესავლისაგან, ოთხი თავისაგან, დასკვნისაგან. პირველ თავში მოცემულია GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ფიჭური სისტემების ზოგადი დახასიათება, წარმოდგენილია მონაცემების გადაცემის ტექნოლოგიათა მიმოხილვა და განხილულია აბონენტების მომსახურების ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები. ჩატარებულია GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელების ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების პრობლემების ანალიზი. ფორმულირებულია მოთხოვნები რადიოქსელის რესურსების მართვის ალგორითმებისადმი. განხილულია ფუნქციური ამოცანები, რომლებიც წამოიჭრება მობილური რადიოკავშირის ქსელის განვითარებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. განსაზღვრულია რადიოქსელის მდგომარეობის მახასიათებელი მაჩვენებლების საჭირო ნაკრები.

მეორე თავში შემუშავებულია მათემატიკური მოდელი, რომელიც აკავშირებს ქსელის მუშაობის ხარისხს მის საექსპლუატაციო მახასიათებელთან და სააბონენტო დატვირთვასთან. მიღებულია ანალიტიკური გამოსახულებები, რომლებიც აკავშირებს გამოძახების ბლოკირების ალბათობას, შიდასისტემური ხელშეშლების დონეს და სპექტრულ ეფექტურობას აკავშირებენ სააბონენტო დატვირთვის მოცულობასა და ხასიათთან. ჩატარებულია სიგნალი/ხელშეშლების ფარდობის შეფასება ტრაფიკის და მართვის არხებში მიმღებ-გადამცემი მოწყობილობის მუშაობის რეჟიმების გათვალისწინებით. წარმოებულია რადიოქსელის მუშაობის პირობების ანალიზი სააბონენტო დატვირთვის, აპარატურული და სიხშირული რესურსების სხვადასხვა თანაფარდობისას; გამოყოფილია ქსელის მდგომარეობა ძირითადი გრადაციებით.

მესამე თავში შემოღებულია GSM 900/1800 თანამიმართული სქემორების სააბონენტო დატვირთვის ბალანსის ცნება. აგებულია GSM 900/1800 თანამიმართული სექტორების შორის ხმოვანი ტრაფიკის გადასვლის მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიანგარიშოთ ქსელური პარამეტრების მნიშვნელობები, რომელთა

დროს ტრაფიკი ბალანსირებული იქნება. შემუშავებულია შესაბამისი გამოანგარიშების მეთოდი და აღებულია GSM 900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის მართვის ალგორითმი, რომელიც ეყრდნობა BSS (**base transceiver station**)- საბაზო სადგურების ქვესისტება) ქვესიტემის ქსელურ სტატისტიკას. აღწერილია GSM 900/1800 თანამიმართული სექტორების შერეული ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის მართვის ამოცანაში შემუშავებული მეთოდის გამოყენების პრინციპი; მიღებულია ძირითადი საანგარიშო თანაფარდობები. ფორმულირებული და დასაბუთებულია რეკომენდაციები ხმოვანი, პაკეტური და სასიგნალო (SDCCH- გამოყოფილი მართვის არხი) ტრაფიკის განაწილებაზე GSM 900/1800 ორდიაპაზონიან ქსელში.

მეოთხე თავში შემოღებულია ფიჭების გადაფარვის დონის ცნება. შემუშავებულია GSM ქსელებში მეზობელი ფიჭების სიათა ფორმირების მეთოდიკა. მიღებულია ანალიტიკური გამოსახულებები ქსელური ანათვლების საფუძველზე სექტორებს შორის მეზობელი ფარდობების ეფექტურობის შესაფასებლად. შემუშავებულია მეზობელი ფიჭების სიათა ოპტიმიზაციის ალგორითმი BSS ქვესისტემის ქსელური სტატისტიკის გამოყენებით და მეზობელი ფარდობების დაყენებაზე ან მოცილებაზე ფიჭ-კანდიდატების გადაფარვის დონის ანალიზის გამოყენებით. ალგორითმი ითვალისწინებს GSM-900/1800 შრეების არქიტექტურას, დაგეგმვის მეთოდებს და ტრაფიკის მართვის მეთოდებს, რომლებიც მიღებულია რადიოქსელში. დაწვრილებითაა აღწერილი გამოტოვებული NR (**neighbor relations**)- ქსელის სექტორების მეზობლებზე დამოკიდებულება) - ის დამატებისა და უმცესებლების მოცილების პროცედურები.

დასაცავად გამოტანილია შემდეგი სამეცნიერო შედეგები:

1. GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელის მათემატიკური მოდელი, რომელიც ქსელის მუშაობის ხარისხის მაჩვენებლებს აკავშირებს მის საექსპლუატაციო მახასიათებლებთან და სააბონენტო დატვირთვასთან.

2. GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელებში რადიორესურსების მართვის ალგორითმები, რომლებიც დაფუძნებულია ქსელური ანათვლების შედეგებზე.
3. GSM ქსელებში მეზობელი ფიჭების სიათა ფორმირების მეთოდიკა, ქსელის არქიტექტურა, მისი დაგეგმვისა და ტრაფიკის მართვის მეთოდების გათვალისწინებით.

ნაშრომის შედეგები დანერგილია შპს “მობიტელის” პრაქტიკულ საექსპლუატაციო-ტექნიკურ საქმიანობაში.

# თავი 1. GSM სტანდარტის მობილური რადიკავშირის ქსელთა ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების პრობლემის ანალიზი

## 1.1. GSM სტანდარტის მობილური რადიკავშირის ფიჭური სისტემების ზოგადი დახასიათება

80-იან წლებში ETSI (ტელეკომუნიკაციების სტანდარტების ევროპული ინსტიტუტი) მიერ და მიიღეს 1989 წელს, როგორც ციფრული ფიჭური კავშირის პირველი ერთიანი საერთო-ევროპული სტანდარტი. 1992 წლიდან დაიწყო GSM ქსელების გავრცელება ევროპაში [3, 7, 9], ხოლო 1997 წლიდან კი საქართველოში. GSM მობილური რადიკავშირის ციფრული სისტემა არხების სიხშირე-დროითი გაყოფით და სიხშირული დუპლექსით. GSM სტანდარტის სისტემების ტექნიკური მახასიათებლები მოყვანილია ცხრ.1.1-ში

### ცხრილი 1.1

#### GSM სტანდარტის მახასიათებლები

სტანდარტი	GSM900	GSM-R	E-GSM	GSM1800	GSM1900
სიხშირეების სამუშაო დიაპაზონი, MS-BS, მპც	890-915	876-880	880-915	1710-1785	1850-1910
სიხშირეების სამუშაო დიაპაზონი BS-MS, მპც	935-960	923-925	925-960	1805-1880	1930-1990

დუპლექსური სიხშირიანი არხების რაოდენობა.	124	20	174	374	300
არხების გაყოფა	სიხშირე-დროითი				
არხების რაოდენობა გადამტანზე	8				
რადიოარხის სიგანე,კვც	200				
რადიოარხი გადაცემის სიჩქარე,კბიტი/წმ	271				
მოდულაციის სახე	GMSK				
საუბრის გადაცემის სიჩქარე,კბიტი/წმ	13				
საუბრის კოდირების მეთოდი	RPE-LTP, ACELP, VSELP				

GSM სტანდარტით გათვალისწინებულია ოთხი ციფრის კოდეკების გამოყენების შესაძლებლობა: ეს სტანდარტული სრულსიჩქარიანი კოდეკი სიჩქარით 13 კბიტი/წმ (FR-Full rate), GSM კოდეკი გადაცემის განახევრებული სიჩქარით 6,5 კიბიტი/წმ (HR-Half rate), გაუმჯებესებული სრულსიჩქარიანი კოდეკი (EFR-Enhanced full rate) გადაცემის სიჩქარით 12,2 კბიტი/წმ და კოდეკი გადაცემის ადაპტაციური ცვლილებით მიღებს მიმდინარე პრობლემებისა და ქსელის ტევადობის მიხედვით (AMR-Adaptive multi-rate). HR-ს გამოყენება საშუალებას გვაძლევს 16-მდე გავზარდოთ ტრაფიკის არხები რაოდენობა ერთ გადამტანზე და ოპერატორებს ეძლევა შესაძლებლობა გაზარდონ ქსელის გამტარუნარიანობა პიქს მოღწეული დატვირტვის საათებში. მიუხედავად ამისა, რეჟიმის გამოყენება მუდმივ საფუძველზე არ არის

მიზანშეწონილი, რადგან ამ დროს უარესდება საუბრის გადაცემის ხარისხი.

საქართველოს ტერიტორიაზე GSM ქსელები ფუნქციონირებენ სიხშირეთა დიაპაზონზე 900 და 1800 მჰც, აგრეთვე E-GSM დიაპაზონში (ცხრილი 1.1). ოპერატორისთვის გამოყოფილი სიხშირული რესურსის გონივრული გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ მობილური რადიოკავშირის ქსელის ფუნქციონირების ეფექტურობა. თუმცა საქართველოში GSM სტანდარტის სისტემებით რადიოსიხშირული რესურსის გამოყენება დაკავშირებულია მთელ რიგ პრობლემებთან, რომლებიც გამოწვეულია რადიოსიხშირების არასაკმარისი რაოდენობით.

ხმოვანი ტრაფიკის გადაცემის გარდა GSM ქსელების ოპერატორები აბონენტებს სთავაზობენ მონაცემების პაკეტური გადაცემის მომსახურებებს GSM ტექნოლოგიების გამოყენებით. ამასთანავე, გადაცემის პრიორიტეტს იღებს ოპერატორი. როგორც წესი, დადგენილია ხმოვანი ტრაფიკის პრიორიტეტი მონაცემების წინაშე, ამიტომ გადაცემის სიჩქარე დამოკიდებულია არა მარტო სააბონენტო მოწყობილობის შესაძლებლობებზე არამედ ქსელის დატვირთვაზეც. ცხრილებში 1.2-1.3 მოყვანილია GSM/(E)GPRS [4, 3, 7] ქსელებში მონაცემების გადაცემის სიჩქარის მნიშვნელობები პაკეტური ტრაფიკის გადაცემის სახით ერთი რადიოტაიმსლოტის გამოყოფისას კოდირების სხვადასხვა სქემებისთვის. თითოეული სქემა ხასიათდება კოდირების სიჭარბით და ხელშეშლამდგრადობით.

არსებითად GPRS/EDGE ქსელი წარმოადგენს დატვირთულ სტრუქტურას, რომელიც იყენებს საერთო არხის რესურს GSM ქსელით და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას დაგეგმისა და ოპტიმიზაციისას.

ცხრილი 1.2

GPRS კოდირების სქემები

კოდირების სქემა	მოდულაციის სახე	მონაცემების გადაცემის მაქსიმალური სიჩქარე, კბიტი/წ
Cs1	GMSK	9,05
Cs2	GMSK	13,4
Cs3	GMSK	15,6
Cs4	GMSK	21,4

ცხრილი 1.3

EDGE კოდირების სქემები

კოდირების სქემა	მოდულაციის სახე	მონაცემების გადაცემის მაქსიმალური სიჩქარე, კბიტი/წ
MCS-9	8 PSK	59,2
MCS-8	8 PSK	54,4
MCS-7	8 PSK	44,8
MCS-6	8-PSK	29,6
MCS-5	8-PSK	22,4
MCS-4	GMSK	17,6
MCS-3	GMSK	14,8
MCS-2	GMSK	11,2
MCS-1	GMSK	8,8

## 1.2 GSM სტანდარტის ქსელებში აბონენტების მომსახურების ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები

აბონენტების მომსახურების ხარისხის ქვეშ (QoS - მომსახურების ხარისხი), ITU (International Telecommunication Union - ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო გაერთიანება) განსაზღვრების თანახმად, იგულისხმება მომსახურების პარამეტრებისგან მიღებული ჯამური ეფექტი, რომელიც განსაზღვრავს კავშირის მომსახურებლის დაკმაყოფილების ხარისხს. ევროპაში QoS-სადმი მოთხოვნების სტანდარტიზაცია ტარდება ETSI-ის [34, 38] მიერ, მოთხოვნები GSM და 3G მობილური კავშირის ქსელებში ყველაზე პოპულარული შეთავაზებული მომსახურებების ხარისხისადმი, აგრეთვე, რეკომენდაციები მათი შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრაზე და QoS-ის გაზომვის მეთოდებზე არის ტექნიკურ სტანდარტში ETSI TS 102250 [37].

კავშირის მომსახურებებისადმი აბონენტის თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ ოთხი ძირითადი მოთხოვნა: ხელმისაწვდომობა, კავშირის უწყვეტობა, კავშირის დამყარების სიჩქარე, საუბრის (მონაცემები) გადაცემის ხარისხი.

დამაბოლოვებელ მომხმარებლებს შორის საუბრის გადაცემის ხარისხის შესამოწმებლად ჩვეულებრივად, იუენებენ საუბრის ხარისხს სუბიექტური ტესტების მეთოდს, რომლის დროს მსმენელები შეფასებებს იძლევიან MOS (Mean Opinion Score) საშუალო შეფასება საექსპერტო ცხრილის მიხედვით, ცხრილი 1.4.

## ცხრილი 1.4.

### MOS (სსტ) სკალა

შეფასება	ხარისხი	დამახინჯება
5	შესანიშნავი	უმნიშვნელო
4	კარგი	შესამჩნევი, მაგრამ არა გამაღიზიანებელი
3	საშუალო	ოდნავ გამაღიზიანებელი
2	ცუდი	გამაღიზიანებელი, მაგრამ არა მომაბეზრებელი
1	არადამაკმაყოფილებელი	ძალზე გამაღიზიანებელი

მომსახურეობის ტექნიკურ ასპექტებზე აბონენტების საჩივრების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები გადაცემული საუბრის არადამაკმაყოფილებელი ხარისხის, კავშირის გაწყვეტის, ქსელის ამა თუ იმ უბანზე კავშირის წყვეტის შესახებ.

თუმცა, პრეტენზიების წარმოქმნის მიზეზების აღმოსაფხვრელად სუბიექტური შეფასება აშკარად არ არის საკმარისი. ამიტომ მოთხოვნები ქსელის QoS-სადმი მოცემულია აბონენტის მომსახურების ხარისხის მაჩვენებლები. მომსახურეობის სხვადასხვა სახეობისთვის რიცხვითი მასახასიათებლის სახით (ცხრილით 1.5).

აბონენტის მომსახურეობის ხარისხის მაჩვენებლები მომსახურების  
სხვადასხვა სახეობისათვის

### ცხრილი 15.

მომსახურება	ხარისხის ინდიკატორები	ხარისხის მაჩვენებლები
ტელეფონი	წვდომა მომსახურეობისადმი	მომსახურების ხელმისაწვდომობა  კავშირის დამყარების დრო
	მომსახურების სისრულე	საუბრის გადაცემის ხარისხი
	მომსახურების უწყვეტობა	დასრულებული გამოძახებების კოეფიციენტი
პაკეტური ტრანზის გადაცემა	წვდომა მომსახურეობისადმი	რესურსის TBF (ბლოკების დროებითი ნაკადი) გამოყოფის ბლოკირება
		TBF-რესურსების მოთხოვნისას პაკეტური გადაცემის არხების გამოყოფაზე უარის (სხვადასხვა მიზეზით) პროცენტი
	მომსახურეობისადმი სისრულე	სასარგებლო დატვირთვის მოცულობა (კბაიტი), „ზემით” „ქვემოთ”
	მომსახურეობის უწყვეტობა	პაკეტური გადაცემის ხარისხი ტაიმ-სლოტის გამტარუნარიანობა ხაზზე ქვემოთ/ზემოთ (კბიტი/წმ).

SMS	წვდომა მომსახურეობისადმი	MMS კავშირების წარმატებულება
		SMS მომსახურეობის ხელმისაწვდომობა
	მომსახურეობების სისრულე	წვდომის შეფერხების დრო
		საბოლოო მომხმარებლებს შორის SMS გადაცემის დრო

MMS	მომსახურეობის უწყვეტობა	SMS შესრულებული გადაცემების შეფერხებითი რაოდენობა ქსელში არხების კომუტაციით
	წვდობა მომსახურეობისადმი	წარუმატებლად გადაცემული მულტიმედიური შეტყობინებების შეფარდებითი რაოდენობა
		შეტყობინების გადაცემის დრო
		მულტიმედიური შეტყობინებების წარუმატებელი არჩევის შეფარდებითი რაოდენობა
		MMS-შეტყობინებების არჩევის დრო

	მომსახურეობის სისრულე	საბოლოო მომსახურებების შორის MMS მიწოდების დრო
	მომსახურეობის უწყვეტობა	მულტიმედიური შეტყობინებების შესახებ წარუმატებლად მიწოდებული ცნობების შეფარდებითი რაოდენობა
		MMS შესახებ შეტყობინებების შეჩერების დრო
		საბოლოო მომხმარებლებს შორის წარუმატებლად გადაცემული MMS შეფარდებითი რაოდენობა

განსაზღვრულია შემდეგი ნორმატივები კავშირის მომსახურეობათა  
ხარისხის მაჩვენებლებზე (ცხრილი 1.6).

ცხრილი 1.6.


#### ნორმები მომსახურეობათა ხარისხის მაჩვენებლებზე

№	მაჩვენებლის დასახელება	ნორმალური დონე	მაღალი დონე
1	წარუმატებელი გამოძახებების წილი გამოძახებების საერთო რაოდენობიდან, მათ შორის: 1.1. მობილური კავშირის ქსელის აბონენტთან კავშირის დამყარებისას	5%	3%
	ფიქსირებული ქსელის აბონენტთან კავშირის დამყარებისას	2,5%	1,5%
2	იმ გამოძახებების წილი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საუბრის გადაცემის	5%	2%

	სარისხის ნორმატივებს		
3	იმ გამოძახებების წილი, რომლებიც დასრულდნენ დამყარებული კავშირის გათიშვით არა აბონენტის ინიციატივით	5%	2%
4	იმ გამოძახებების წილი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ პასუხის სიგნალის შეფერხების დროის სიდიდის ნორმატივებს პასუხის სიგნალის შეფერხება	5% 8 წढ	2 % 6 წढ
5	კავშირის აღდგენის კოეფიციენტი  კავშირის აღდგენის დრო	5% 2სთ	2% 1სთ
6	არასწორად ტარიფიცირებული კავშირების წილი	0,1%	0,1%
7	მომსახურეობის ორგანიზაციული ასპექტებით დაკმაყოფილების მაჩვენებელი	3%	1%
8	მომსახურეობის ტექნიკური ასპექტების დაკმაყოფილების მაჩვენებელი	3%	1%

ნორმალური დონე ეს ის დონეა, რომელიც მინიმალურად საჭიროა მომსახურეობათა სარისხის უზრუნველსაყოფად [15]; მაღალი დონე მომსახურეობათა სარისხის ასამაღლებლად რეკომენდირებული დონეა.

სარისხის რეალური ტექნიკური მაჩვენებლები მოქმედ ქსელში გამოიანგარიშება ქსელური სტატისტიკის ანალიზისა და რადიოანათვლების შედეგების საფუძველზე. სარისხის მაჩვენებლების კლასიფიკაცია მოყვანილია სქემაზე ნახ. 1.1.



ნახ 1.1. ხარისხის მაჩვენებლების კლასიფიკაცია

### 1.3 მოთხოვნები რადიოქსელის რესურსების მართვის ალგორითმისადმი

ვითვალისწინებთ რა მოთხოვნებს აბონენტთა მომსახურეობის ხარისხისადმი, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ფუნქციური ამოცანები, რომლებიც იჭრება მობილური რადიოკავშირის ქსელის განვითარებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში:


1. ქსელის მომსახურეობის ზონაში ხარისხიანი რადიოდაფარვის უზრუნველყოფა.
2. ქსელის გამტარუნარიანობის გაზრდა.

### 3. მომსახურეობის საჭირო ხარისხის უზრუნველყოფა.

ამ ამოცანების გადაჭრა ხორციელდება რადიორესურსების მართვის საშუალებით. არსებობს რადიოქსელზე ოპერატორის ზემოქმედების ორი ძირითადი ხერხი:

1. “უხეში” ცვლიებები საბაზო მოწყობილობის რაოდენობის, ტიპისა და კონფიგურაციის დონეზე: საბაზო სადგურების (BS) და ფიჭების რაოდენობა, ფიჭების კონფიგურაცია (მიმღებ-გადამცემის რაოდენობა), სს (საბაზო სადგური) მოწყობილობის ტიპი (სიმძლავრე, გამტარუნარიანობა, და ა.შ.), ანტენა-ფიდერული მოწყობილობების პარამეტრები (ანტენების ტიპი, აზიმუტები, დახრის კუთხეები და ა.შ.) და დიზაინი. მოცემული ხერხი ყველაზე ეფექტურია, მაგრამ ყველაზე ხარჯიანი
2. ”მსუბუქი” ცვლილებები მოწყობილობის მუშაობის პარამეტრებისა და საბაზო სადგური-ის ქვესისტემის (BSS) ფუნქციურობის დონეზე: მოწყობილობის მუშაობის ძირითადი პარამეტრების (გადამცემების სიმძლავრის, ქსელში წვდომის დონის და ა.შ) კორექცია, BSS დამატებითი ფუნქციების-HR ჩართვა და გამართვა, ნახტომები სისშირეზე (FH-frequency hopping) ფიჭების დაგრძელება (extended cell) და ა.შ. მოცემული ხერხი უფრო ხელმისაწვდომია და ფართოდ გამოიყენება ოპერატორის ტექნიკური განვითარების ბიუჯეტისგან დამოუკიდებლად.

რადიორესურსების მართვის ალგორითმების ყველაზე მაღალი ტექნიკური ეფექტურობა უზრუნველყოფილია ორივე მექანიზმის გეგმაზომიერი გამოყენებით. ქსელზე ზემოქმედების ხერხის არჩევისას პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს QoS -ის ანალიზი (ნახ.1.2)



ნახ. 1.2. QoS-ის ანალიზის ალგორითმი GSM ქსელში

საწყის მონაცემებს, როგორც QoS-ის ანალიზითვის, ასევე ქსელის განვითარებაზე გადაწყვეტილებების მისაღებად წარმოადგენენ:

1. კონფიგურაციის პარამეტრები (სიხშირული რესურსი, ოპერატორისთვის გამოყოფილი  $\Delta F_N$  გამოყენებული კლასტერის განზომილება (ფიჭების ჯგუფის, რომლის ფარგლებშიც ერთიდაიგივე სიხშირული არხების განმეორებითი გამოყენება დაუშვებელია ურთიერთხელშეშლების ზღვრული დონის გადამეტების გამო) (S x K).
2. ხარისხის მაჩვენებლები (გამოძახების ბლოკირების ალბათობა P<sub>b</sub> შეფარდება სიგნალი/ხელშეშლა C/I). ტიპიური მნიშვნელობა ზოგადი მოხმარების კავშირის ქსელებისთვის შეადგენს 2%.
3. ქსელის ფუნქციონირების ეფექტურობის მაჩვენებლები (საერთო სააბონენტო დატვირთვა ქსელზე Tn სპექტრული ეფექტურობა SE).

ქსელის ფუნქციონირება და ხარისხის მაჩვენებლები განისაზღვრება რადიოანათვლების მონაცემებისა და ქსელური სტატისტიკის საფუძველზე.

რადიოგაზომვებს GSM/(E)GPRS ქსელებში ასრულებენ სპეციალიზირებული საზომი კომპლექსების გამოყენებით. ყველაზე ხშირად ოპერატორები იყენებენ Ericsson Tems, Nemo და სხვა. კომპლექსებს თუმცა, დრაივ-ტესტის ფორმატი არ იძლევა საშუალებას ვისაუბროთ გაკეთებული ანათვლების სტატისტიკური რეპრეზენტატიულობის შესახებ, ამიტომ ასეთი რადიოანათვლები, ჩვეულებრივ, გამოიყენება მხოლოდ ქსელის მოცვის ზონის ცალკეულ უბნებზე მომსახურეობის ხარისხის პრობლემების მიზნობრივი დიაგნოსტიკისათვის. რადიოქსელის მართვაზე გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა გამოვიყენოთ უფრო უტყუარი მონაცემები, ე.ო. დავეყრდნოთ BSS ქსელური სტატისტიკის მონაცემებს.

მომსახურეობის ხარისხის თითოეული მაჩვენებელი (ცხრილი 1.5) ხასიათდება ქსელის მუშაობის ხარისხის ერთი ან რამდენიმე

მაჩვენებლით. ხარისხის მაცვენებლის სტრუქტურა არჩევულია ისეთნაირად, რომ აისახოს ზარის სხვადასხვა ეტაპზე ქსელთან კავშირის წარუმატებელი ცდების წილი.

ქსელის მწარმოებლურობის განსაზღვრისათვის და GSM ქსელში “ვიწრო” ადგილების გამოვლენისთვის გამოიყენება BSS ინდიკატორების რამდენიმე ჯგუფი:


ხარისხის ძირითადი მაჩვენებლები (KPI Key performance indicators)

ხარისხის ტექნიკური მაჩვენებლები (PI – performance indicators) რომლებიც წარმოადგენენ KPI შემადგენელ ნაწილებს;

ქსელური მრიცხველები

KPI ასახავენ ქსელის საერთო მდგომარეობას და განკუთვნილნი არიან ქსელის ფუნქციონირების ეფექტურობის შესაფასებლად მენეჯმენტის პოზიციებიდან. მათ მიეკუთვნებათ იმ გამოძახებების წილი, რომლებიც დასრულდა შემდგარი კავშირის გაწყვეტით არა აბონენტის ინიციატივით; საშუალო ინტერვალი კავშირის გაწყვეტებს შორის, ერლანგზე წყვეტების რაოდენობა და ა.შ. ხარისხის ტექნიკური მაჩვენებელი მიეკუთვნება ქსელის მუშაობის ნებისმიერი მახასიათებელი, რომელიც გამოიყენება საინჟინრო პერსონალის მიერ ქსელის განვითარებისა და ექსპლუატაციის პროცესი.

თავის მხრივ, ხარისხის ყველა მაჩვენებელი ეყრდნობა მოვლენათა მრიცხველებს, რომელთაგან თითოეულს აქვს სახელწოდება და საკუთარი უნიკალური ნომერი მართვისა და დახმარების ქვესისტემის მონაცემთა ბაზაში (OSS – Operation and Support System). მაგალითად, Alcatel BSS -ში ხარისხის ძირითადი მაჩვენებლები მოყვანილია ქვემოთ:



ანალიზისთვის ქსელური სტატისტიკის მონაცემების შერჩევისას მნიშვნელოვანია სწორად ავარჩიოთ ანათვლების პერიოდი. ყველაზე მნიშვნელოვანი ის მონაცემები, რომლებიც მიღებულია ქსელის სექტორების ინდივიდუალურ უდს (უდიდესი დატვირთვის საათი)-ებში. ამავე დროს, შეძლებისდაგვარად, საჭიროა ამოვიდოთ განხილვიდან მეზობელი ბს-ების დროებითი გამორთვების, მასობრივი დონისძიებები და ა.შ. გამო ტრაფიკის ანომალური ცვლილებების პერიოდების სტატისტიკა.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მოთხოვნები რადიორესურსების მართვის ალგორითმებისადმი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ქსელის მიმდინარე მდგომარეობის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იქნეს ქსელური კონფიგურაციისა და სტატისტიკის აქტუალური მონაცემები;
2. ქსელის გამართულობათა შეცვლა ეტაპობრივი უნდა იყოს;
3. საჭიროა ალგორითმების ავტომატიზაციის მაღალი ხარისხი;
4. მართვის ალგორითმები უნდა ითვალისწინებდნენ მომსახუროების ხარისხისა და ქსელის ფუნქციონირების ეფექტურობის პარამეტრების რეგიონალურ კონტროლს.

#### **1.4 რადიორესურსების მართვის განზოგადებული ალგორითმი**

მობილური კავშირის რადიოქსელებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირი პრობლემაა ქსელის ცალკეული ფიჭების გადატგირთვა, მეზობელი ფიჭების დაბალი დატვირთვის. ამ მოვლენის მიზეზი შეიძლება იყოს დიდი სააპონენტო გადატვირთვა, რადიოქსელის არა ოპტიმალური კონფიგურაცია, აგრეთვე BSS-ების არაკორექტული აწყობა.


ამ შემთხვევაში ვახდენთ რადიორესურსების მართვის განზოგადებული ალგორითმის საშუალებით ქსელის არათანაბარი დატვირთვის პრობლემის შესაძლო გადაწყვეტილების სისტემატიზაციას (ნახ. 1.3., 1.4.)

ძირითად კრიტერიუმს ფიჭის კონფიგურაციის შეცვლისას წარმოადგენს თანაფარდობა ფიჭის ტევადობას, საშუალო სააპონენტო დატვირთვასა და უდს ტრაფიკის მნიშვნელობას შორის.

ალგორითმი ითვალისწინებს ზემოქმედების ”მკაცრ” და ”რბილი” ხერხების გამოყენებას.

მოყვანილი ალგორითმი სრულად ასახავს შესაძლო მიღებებს ქსელის GSM რადიორესურსების მართვისადმი მისი ფუნქციონირების ეფექტურობის ზრდის მიზნით. ისინი კარგად არიან ცნობილნი და აქტიურად გამოიყენებიან ოპერატორების მიერ რადიოქსელის ოპტიმიზაციისას. თუმცა, ცხადია რომ ქსელის გამართვა მოითხოვს კონკრეტული რადიოქსელის პარამეტრებისადმი და ადაპტირებული მთელი რიგი კერძო ალგორითმების შემუშავებას.

HR რეჟიმის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ფიჭის ჩართვის კრიტერიუმების საფუძველზე (ნახ. 1.5.)



ნახ 1.5. ფიქის კონფიგურაციის არჩევა

GSM 900/1800 ქსელში ტრაფიკის ბალანსის პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს BSS –ს ნაწილში პენდოვერებისა და წვდომის პარამეტრების გამართვის გზით ქსელში სააბონენტო დატვირთვის გადანაწილების შესაძლებლობას, მოცემული ამოცანა არატრივიალურია, რადგან საჭიროებს მოელი რიგი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრების რეგულირებას.

ამიტომ მართვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქსელის მუშაობის ხარისხის ძირითადი მაჩვენებლის კავშირი მის საექსპლუატაციო მახასიათებლებთან და სააბონენტო დატვირთვასთან, აგრეთვე, მათზე ცვლადი პენდოვერებისა და წვდომის პარამეტრების ზემოქმედების ხასიათი.

## 1.5. კვლევის ამოცანის დასმა

GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელთა მუშაობის ეფექტური ზრდის პრობლემების ზემოთ მოყვანილმა ანალიზმა მიგვიყვანა რადიოქსელის რესურსების მართვის ქმედითი ავტომატიზირებული ალგორითმების გამოყენების აუცილებლობასთან. ალგორითმები მაქსიმალურად უნდა იყვნენ ადაპტირებულნი კონკრეტული რადიოქსელის მუშაობის პირობებისადმი და უნდა იყენებდნენ უტყუარ შემავალ მონაცემებს მისი მიმდინარე მდგომარეობის შესახებ, ე.ო. ეყრდნობოდნენ ქსელური კონფიგურაციის და სტატისტიკის მონაცემებს.

აქედან გამომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ამოცანის აქტუალურობა: GSM რადიოქსელის მართვის მეთოდებისა და ეფექტური ალგორითმების შემუშავება, რომლებიც დაფუძნებულნი არიან ქსელის ფუნქციონირების შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოყენებაზე, და რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლებისთვის მოცემული ხარისხის მომსახურეობებს შეზღუდული აპარატული და სიხშირული რესურსების პირობებში, ზოგადი სამეცნიერო ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს შემდეგი კერძო ამოცანების გადაწყვეტისას;

1. მათემატიკური მოდელის შემუშავება, რომელიც ქსელის მუშაობის ხარისხის მაჩვენებლებს აკავშირებს მის საექსპლუატაციო მახასიათებლებთან და სააბონენტო დატვირთასთან.
2. სხვადასხვა კონფიგურაციის GSM ქსელებში შიდასისტემური ხელშეშლების დონის შეფასება.
3. ქსელური მდგომარეობათა ანალიზი სააბონენტო დატვირთვით, შიდასისტემური ხელშეშლების დონის, სპექტრული ეფექტურობის და მოწყობილობის გამოყენების ეფექტურობის გათვალისწინებით.
4. რადიორესურსების მართვის მეთოდებისა და ალგორითმების შემუშავება, რომლებიც ითვალისწინებენ GSM 900/1800 კავშირის ორ-დიაპაზონიანი ქსელის

არქიტექტურას, სექტორების დაგეგმვასა და ტრაფიკის განაწილების პრინციპებს.

5. GSM 900/1800 სექტორებს შორის სააბონენტო დატვირთვის გადანაწილების მეთოდის შემუშავება.
6. GSM 900/1800 სტანდარტის რადიოქსელში მეზობელი ფიჭების სიების ფორმირების მეთოდის შემუშავება.

## თავი 2. GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელის მათემატიკური მოდელი

### 2.1. ამოცანის დასმა

მოთხოვნები მობილური რადიოკავშირის ქსელის ფუნქციონირების ეფექტურობისადმი შეიძლება შემდეგნაირად იყოს ჩამოყალიბებული: ქსელი უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალურ ტეგადობასა და აბონენტთა მომსახურეობის მოცემულ სარისეს ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე მინიმალური დანახარჯების დროს. მობილური რადიოკავშირის გამართული ქსელისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს გამოძახებების მინიმალური ბლოკირებები და შედარებით მაღალი სპექტრული ეფექტურობა სიხშირეთა თავისუფალი რესურსის არარსებობისას.

GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელის მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად საწყისი მონაცემების სახით განვიხილავთ: ქსელის სიხშირეთა სამუშაო ზოლს ( $\Delta F_N$ , ჰტ); სიხშირეთა არხის ზოლის სიგანეს  $\Delta f_{ch}$ , 200 ჰტ); ქსელზე საერთო სააბონენტო დატვირთვას ( $T_N$ , ერლ); ქსელში ფიჭების რიცხვს ( $N_c$ ); გამოყენებული კლასტერის (ფიჭების ჯგუფის, რომლის ფარგლებში ერთი და იგივე სიხშირეთა არხების განმეორებითი გამოყენება დაუშვებელია ურთიერთხელშეშლების ზღვრული დონის გადამეტების გამო) ზომას ( $S \times K$ );  $\mu = 0 \div 1$  - ტრაფიკის წილია, რომელსაც ემსახურებიან განახევრებული სიჩქარით (half rate, HR).

მობილური კავშირის თეორიაში კლასტერის ზომა მიღებულია აღინიშნოს  $S \times K$ , სადაც  $S$  - BS რაოდენობაა კლასტერში,  $K$  - ფიჭების რაოდენობაა კლასტერში. ყველაზე დიდი გავრცელება ჰქოვეს კლასტერებმა სექტორული ანტენების გამოყენებით:  $3 \times 9$ ,  $4 \times 12$ ,  $7 \times 21$ .

GSM სტანდარტის რადიოქსელის ფუნქციონირების ეფექტურობის ძირითადი მახასიათებლებია:

1. ფიჭის ტრაფიკი უდს-ში  $T_c$ ;
2. გამოძახების ბლოკირების ალბათობა  $P_b$ ;
3. ფიჭის სპექტრული ეფექტურობა SE;
4. სიგნალი/ხელშეშლის შეფარდება მიღებისას (C / I).

ფიჭის გაშუალებული ტრაფიკი უდს-ში განგხაზღვროთ

$$T_c = \frac{T_N}{N_c}, \quad (2.1)$$

სადაც  $T_N$  - ჯამური სააბონენტო დატვირთვაა ფიჭების ინდივიდუალურ უდს-ში (ერლ);  $N_c$  - ფიჭების რაოდენობაა ქსელში.

გამოძახების ბლოკირების ალბათობა დამოკიდებულია ტრაფიკის არხების რაოდენობაზე ( $N_{TCR}$ ) ფიჭაში, ფიჭის ტრაფიკზე ( $T_c$ ), და შეესაბამება ერლანგ- B –ს კანონს [12]:

$$P_b = \frac{\frac{T_c^{N_{TCR}}}{N_{TCR}!} \sum_{i=0}^{N_{TCR}} \frac{T_c^i}{i!}}{1}, \quad (2.2)$$

ტრაფიკის არხების რაოდენობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია ოპერატორისთვის გამოყოფილ სიხშირულ რესურსზე ( $\Delta F_N$ ), კლასტერში შემავალი ფიჭების რაოდენობაზე (K) და კოდეკის მუშაობის რეჟიმზე – სრულსიჩქარიანზე (FR) ან ნახევარ-სიჩქარიანზე (HR).

იმ მიმღებ – გადამცემების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება დაყენებულ იქნენ ფიჭაში:

$$N_{TRX} = \frac{\Delta F_N}{K \cdot \Delta f_c}, \quad (2.3)$$

სადაც  $\Delta F_N$  - ქსელის სიხშირეთა სამუშაო ზოლი (მც);  $\Delta f_c$  - სიხშირეთა არხის ზოლის სიგანეა (200 გც).

სტანდარტის შესაბამისად ერთი სიხშირის არხში შეიძლება განთავსებულ იქნეს 8 დროით ფიზიკურ არხების, რომლებიც ემსახურებიან მართვის ლოგიკური არხებისა და ტრაფიკის გადაცემას (ერთი დროითი არხი იყენებს ერთ RTSL – radio time slot). BS მიმღებ – გადამცემი მოწყობილობის მუშაობისას სრულსიჩქარიან (FR) რეჟიმში ტრაფიკის არხების მაქსიმალური რაოდენობა ფიჭაში:

$$N_{TCH\_FR} = 8 \cdot N_{TRX} \cdot k, \quad (2.4)$$

სადაც  $k = 0, 8 \div 0, 9$  – სიხშირის არხის გამოყენების კოეფიციენტია – სააბონენტო ტრაფიკის გადასაცემად ხელმისაწვდომი RTSL წილია.

ფიჭაში ნახევარსიჩქარიანი არხების გამოყენებისას RTSL –ს ნაწილი შეიძლება ფუნქციონირებდეს ნახევარსიჩქარიან რეჟიმში (halfrate, HR). მაშინ ტრაფიკის არხების მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობა იქნება

$$N_{TCH\ max} = \text{int} [ N_{TCH\_FRmax} + N_{TCH\_FRmax} \cdot \mu ] = \text{int} [ \frac{\Delta F_N}{K \cdot \Delta f_{ch}} \cdot 8 \cdot k (1 + \mu) ], \quad (2.5)$$

სადაც  $\mu = 0 \div 1$  – ტრაფიკის წილია HR რეჟიმში;  $\text{int} [ ]$  – რიცხვის მთელი ნაწილის გამოყოფის ოპერატორია.

სპეციალული ეფექტურობა (SE) დამოკიდებულია ქსელის არქიტექტურაზე, რადიოგადამცემი მოწყობილობის მუშაობისა და საბაზო სადგურების ქვესისტემის (BSS) ამა თუ იმ ფუნქციონალობის გამოყენების რეჟიმებზე. მობილური რადიოკავშირის ქსელთა დაგეგმვისა და ოპტიმიზაციის ამოცანებში მიზანშეწონილია ფიჭის სპეციალული ეფექტურობის მნიშვნელობით (ერლ /მც) ოპერირება.

$$SE = \frac{T_N \cdot K}{\Delta F_N \cdot N_c} = \frac{T_c \cdot K}{\Delta F_N} \quad (2.6)$$

(სიხშირული რესურსის გამოყენების ეფექტურობა უნდა გამოვიანგარიშოთ ქსელის ფრაგმენტის დონეზე არა განმეორებად სიხშირეთა არხებით). სპეციალული ეფექტურობის ზრდას აღწევენ

სიხშირეთა არხების უფრო ხშირი განმეორებითი გამოყენებით. მაგრამ ამავე დროს სიხშირეთა ძალზე ხშირ განმეორებით გამოყენებას მივყავართ შიდასისტემური ხელშემლების დონის დაუშვებელ ზრდამდე და მომსახურეობის ხარისხის შემცირებამდე.

შიდაქსელური ემშ (ელექტრო მაგნიტურ შეთავსებულობა) ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს შეფარდება სიგნალი/ხელშეშლა (C/I). სიდიდე C/I დამოკიდებულია სიხშირულ რესურსზე, სააბონენტო დატვირთვაზე, ქსელის არქიტექტურაზე, მოწყობილობის პარამეტრებზე და შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ზოგადი ფუნქციური დამოკიდებულებით

$$\frac{C}{I} = f(K; T_c; N_{TCH}; \mu) \quad (2.7)$$

თანაფარდობები (2.1), (2.2), (2.6) და (2.7) ქმნიან განტოლებათა სისტემას, რომელიც მთლიანობაში ახასიათებს, რადიოქსელის ფუნქციონირების ეფექტურობას:

$$\left\{ \begin{array}{l} T_c = \frac{T_N}{N_c} \\ P_{st} = \frac{T_c^{N_{TCH}}}{N_{TCH}! \sum_{i=0}^{N_{TCH}} \frac{T_c^i}{i!}} \\ SE = \frac{T_N \cdot K}{\Delta F_N \cdot N_c} = \frac{T_c \cdot K}{\Delta F_N} \\ \frac{C}{I} = f(K; T_c; N_{TCH}; \mu) \end{array} \right. \quad (2.8)$$

ავაგოთ GSM სტანდარტის რადიოქსელის მათემატიკური მოდელი, და დავადგინოთ დამოკიდებულება  $\frac{C}{I} = f(K; T_c; N_{TCH\_FR}; \mu)$ . ეს საშუალებას მოგვცემს ერთმანეთს დავუკავშიროთ სამი ძირითადი პარამეტრი: სააბონენტო დატვირთვა, შეფარდება სიგნალი/ხელშეშლა და გამოძახების ბლოკირების ალბათობა. მოდელი დაგვეხმარება, აგრეთვე,

ხარისხიანად შევაფასოთ ქსელის კონფიგურაციის გავლენა მითითებულ პარამეტრებზე და სპექტრულ ეფექტურობაზე.

ამრიგად, მოცემული თავის ამოცანებს წარმოადგენენ:

1. რადიოარხის მოდელის არჩევა და BS → MS (მობილური სადგური) ტრასაზე სიგნალის ნელი მიყუჩებებისა და საშუალო დანაკარგების ძირითადი პარამეტრების დაზუსტება;
2. DL BS → MS მიმართულებით შიდასისტემური ხელშეშლების მათემატიკური მოდელის შემუშავება;


სიგნალი/ხელშეშლების შეფარდების შეფასება სხვადასხვა სააბონენტო დატვირთვისას BCCH (ლოგიკური სამაუწყებლო მართვის არხი)- და nonBCCH- შრეში მიღების დროს;


3. QoS კრიტიკულებით ქსელის მდგომარეობათა, ხელშეშლების დონის, სპექტრული ეფექტურობისა და მოწყობილობის გამოყენებით ეფექტურობის ანალიზი.

## 2.2. ქსელის არქიტექტურა სხვადასხვა ზომის კლასტერების გამოყენებისას


საფუძვლად გამოვიყენებთ ქსელს იდეალური ჰექსოლოგიური ტოპოლოგიით: საბაზო სადგურები (BS) თანაბრად არიან განაწილებულები ქსელის ფარგლებში, მიმღებ-გადამცემების (TRX-მიმღებ გადამცემი) რაოდენობა BS სექტორებში ერთნაირია, მოწყობილობის პარამეტრები (გადამცემების სიმძლავრე, მიმღებების მგრძნობელობა, ანტენების დაკიდების სიმაღლე) იდენტურია ქსელის ყველა BS – თვის. აბონენტების განაწილება ქსელის მომსახურეობის ზონაში, თანაბრადაა გადანაწილებული.

ნახ. 2.1–2.3-ზე წარმოდგენილია ქსელების ფრაგმენტები GSM სტანდარტის ქსელებში გამოყენებული ტიპიური კლასტერების საფუძველზე. ფიჭები ერთნაირი ნომრებით (ნახ. 2.1–2.3) იყენებენ ერთნაირი სიხშირის BCCH და nonBCCH [86] არხებს. ეს საშუალებას გვაძლევს გისაუბროთ სიხშირული არხების იმ ჯგუფებზე, რომლებიც შეადგენენ BCCH და nonBCCH დიაპაზონებს.






ნახ. 2.2. კლასტერი 3x9




ნახ 2.3. კლასტერი 7x21



a)  $v1 : r_{10} = r_{20} = 6.557r; r_{30} = 7r$   
 $\cdot r; r_{30} = 7r$

b)  $v2 : r_{10} = r_{20} = 8.718$

ნახ. 2.4.  $4 \times 12$  მეზობელი კლასტერების შეპირაპირების ხერხები (MS0 ფიჭის ცენტრში)



ნახ. 2.5. ხელისშემსლელი ფიჭების შეუდლება კლასტერში  $4 \times 12$

ნახაზებიდან ჩანს, რომ  $3 \times 9$  და  $7 \times 21$  ზომისა ძირითად ხელისშემშლელ ზემოქმედებას ახდენენ ორი მეზობელი კლასტერის ფიჭები;  $4 \times 12$  ზომისას ძირითად ხელისშემშლელ ზემოქმედებას ახდენს 3 ხელისშემშლელი ფიჭა. გარდა ამისა, კლასტერში  $4 \times 12$  მანძილი  $Ms$ -დან ხელისშემშლელ  $BS$  - მდე ( $r_{10}$ ,  $r_{20}$ ,  $r_{30}$ ) დამოკიდებულია კლასტერების შეპირაპირების ხერხესა (ნახ. 2.4) და კონკრეტული ფიჭის ანტენის აზიმუტზე (ნახ. 2.5). ნახ. 2.5-ზე ჯვარედინად დაშტრიხულია მომსახურე ფიჭები სხვადასხვა აზიმუტებით -  $BS_0$  და  $BS'_0$ , ხოლო სხვადასხვა მიმართულების დიაგონალური დაშტრიხვით აღნიშნულია  $BS_0$  და  $BS'_0$  - თვის ხარვეზსაშიში სექტორები აბონენტებისთვის.

მანძილები განხილულ მობილურ სადგურსა ( $MS_0$ ) და ხელისშიმშლელ საბაზო სადგურებს ( $BS_1$ ,  $BS_2$ ) სხვადასხვა ტიპის კლასტერებისთვის მოყვანილია ცხრილ 2.1-ში. უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილ 2.1-ის მონაცემები სამართლიანია მხოლოდ გამოყენებული მოდელის ფარგლებში, რეალურ ქსელში კი მანძილები  $BS$  და სექტორების აზიმუტებს შორის იქნება მნიშვნელოვანწილად შემთხვევითი.

### ცხრილი 2.1.

კლასტერის ტიპი	ფიჭის კიდე ( $r_{00} = 2\pi$ )	ფიჭის ცენტრი ( $r_{00} = r$ )
$3 \times 9$	$r_{10} = r_{20} = 7 \cdot r$	$r_{10} = r_{20} = 6.08 \cdot r$
$7 \times 21$	$r_{10} = r_{20} = 9.849 \cdot r$	$r_{10} = r_{20} = 8.888 \cdot r$
$4 \times 12$ v1	$r_{10} = r_{20} = 7.211 \cdot r; r_{30} = 8 r$	$r_{10} = r_{20} = 6.517 r; r_{30} = 7 r$
$4 \times 12$ v2	$r_{10} = r_{20} = 9.539 \cdot r; r_{30} = 8 r$	$r_{10} = r_{20} = 8.718 \cdot r; r_{30} = 7 r$

აქ  $r$  – მანძილია  $BS$ - დან ფიჭის გეომეტრიულ ცენტრამდე;  $r_{00}$  – მანძილია  $MS_0$  და მომსახურე  $BS_1$ ,  $BS_2$  და  $BS_3$  შორის, შესაბამისად;  $v1$  და  $v2$  -  $4 \times 12$  ტიპის კლასტერების შეპირისპირების ხერხებია (ნახ. 2.4).

მოდელირების პროცესში უნდა შეფასდეს მახასიათებლების დამოკიდებულება გამოყენებული კლასტერის ტიპზე.


### 2.3. რადიოარხის მათემატიკური მოდელი.

მობილური რადიოკავშირის ქსელის მოდელირების შედეგების სამართლიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სიგნალის გავრცელების გარემოს მახასიათებლებისადმი და სტანდარტული მითითებული მოწყობილობის მუშაობის პარამეტრებისადმი რადიოარხის გამოყენებული მოდელის აღექვატურობაზე. GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის სისტემაში გავრცელების გარემომ შეიძლება მოახდინოს შემდეგი ზემოქმედება გადაცემულ რადიოსიგნალზე:

- საშუალო დანაკარგები (შესუსტება) გავრცელების ტრასაზე  $BS \rightarrow MS$ ;
- ნელი მიყუჩებები, რომლებიც განპირობებულია გავრცელების ტრასის დაწრდილვით ადგილის ბუნებრივი რელიეფით, განაშენიანებით, მცენარეულობით და ა.შ.;
სექტორის ტევადობა (ხმოვანი ტრაფიკის მაქსიმალური მოცულობა, რომელსაც შეუძლია მოემსახუროს სექტორს გამოძახების ბლოკირების მოცემული ალბათობისას  $P_b$ ) შეესაბამება ერლანგის განაწილების-B კანონს (Erlang -B).

ცხრილ 3.1-ში წარმოდგენილია ტევადობის გამოანგარიშების შედეგები  $GSM-900/1800$  თანამიმართული სექტორების შესაძლო კონფიგურაციისთვის  $P_b = 0.02$ -ის დროს.

ცხრილი 3.1.

დიაპაზონი	მიმღებ-გადამცუ-მების რაოდენობა (TRX)	ტრაფიკის არხების რაოდენობა (TCHFR)	სექტორის ტევადობა, $C$ , ერლ
GSM-1800	4	28-30	20.15-21.93
GSM-900	2	13-14	7.4-8.2

TRX რაოდენობის არჩევა დამოკიდებულია ოპერატორისთვის გამოყოფილ სიხშირულ რესურსზე. როგორც წესი, ოპერატორისთვის გამოყოფილ სიხშირეთა არხების რაოდენობა 900 მც დიაპაზონში 2-3 ჯერ ნაკლებია, ვიდრე 1800 მც დიაპაზონში.

თანამიმართული სექტორების ჯამური ხმოვანი ტრაფიკის გამოთვლა ფორმულით

$$T_{\Sigma} = T_{900} + T_{1800}, \quad (3.2)$$

სადაც  $T_{900}$ ,  $T_{1800}$  - შესაბამისად, GSM-900 და GSM-1800 სექტორების ხმოვანი ტრაფიკია.

GSM-900/1800 თანამიმართულ სექტორებს შორის ხმოვანი დატვირთვის ოპტიმალური თანაფარდობა (ბალანსი) პასუხობს პირობას:

$$\frac{T_{900\text{ opt}}}{C_{900}} = \frac{T_{1800\text{ opt}}}{C_{1800}}, \quad (3.3)$$

სადაც  $T_{900\text{ opt}}$ ,  $T_{1800\text{ opt}}$  - GSM-900, GSM-1800 სექტორების ოპტიმალური ტრაფიკია ფიქსირებული ჯამური დატვირთვისას  $T_\Sigma$ :

$$T_{1800\text{ opt}} + T_{900\text{ opt}} = T_{1800} + T_{900}. \quad (3.4)$$

თითოეული სექტორის მიერ მომსახურებული საერთო ტრაფიკი შეიძლება განსხვავდებოდეს ოპტიმალურისაგან  $\Delta T = |\Delta T_{1800}| = |\Delta T_{900}|$  :

$$\Delta T_{1800\text{ opt}} = T_{1800\text{ opt}} - T_{1800}, \quad (3.5)$$

$$\Delta T_{900\text{ opt}} = T_{900\text{ opt}} - T_{900}, \quad (3.6)$$

$$\Delta T_{900} + \Delta T_{1800} = 0.$$

თითოეული სექტორის მიერ მომსახურებული საერთო ტრაფიკის საერთო წილები,

$$W_{900} = \frac{T_{900}}{T_{900}+T_{1800}}, \quad (3.7)$$

$$W_{1800} = \frac{T_{1800}}{T_{900}+T_{1800}}; \quad (3.8)$$

ხოლო ტრაფიკის ოპტიმალური წილები იქნება

$$W_{900\text{ opt}} = \frac{T_{900\text{ opt}}}{T_{900}+T_{1800}} = \frac{C_{900}}{C_{900}+C_{1800}} \quad (3.9)$$

$$W_{1800\text{ opt}} = \frac{T_{1800\text{ opt}}}{T_{900}+T_{1800}} = \frac{C_{1800}}{C_{900}+C_{1800}} \quad (3.10)$$

შემოვიდოთ GSM 900/ 1800 თანამიმართულ სექტორებს შორის ტრაფიკისდისბალანსისცნება:


$$\delta_r = W_{1800 \text{ opt}} - W_{1800} = - (W_{900 \text{ opt}} - W_{900}) \quad (3.11)$$

$$\delta_r = \frac{C_{1800}}{C_{900}+C_{1800}} - \frac{T_{1800}}{T_{900}+T_{1800}} \quad (3.12)$$

$\delta_r = 0$  დროს GSM 900/ 1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკი ბალანსირებულია; მტყუნებათა პროცენტი კავშირის დამყარებისას და Half Rate რეჟიმში მომსახურებული ტრაფიკის წილი მინიმალურია რეალური დატგირთვა სექტორზე ( $T_{1800}, T_{900}$ ) შეიძლება მიღებულ იქნეს სტატისტიკური ინფორმაციიდან ქსელის მუშაობის შესახებ. (ცხრილი 3.1). მაგრამ ინტერესს წარმოადგენენ არა იმდენად თანამიმართული სექტორების მიერ მომსახურე ტრაფიკის მოცულობათა რეალური მნიშვნელობები, რამდენადაც თანაფარდობა მათ შორის.

### 3.2.2. GSM – 900/1800 თანამიმართულ სექტორებს შორის ხმოვანი ტრაფიკის გადასვლის მოდელი


განვიხილოთ GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების წყვილი. სტანდარტის შესაბამისად თითოეული MS ხმოვანი გამოძახების რეჟიმში გადასცემს ქსელს მომსახურე BS და ექვსი მეზობელი BS სიგნალის დონის ანათვლების შედეგებს. ორდიაპაზონიანი GSM ქსელების ოპერატორები, როგორც წესი, იყენებენ რეჟიმს, როდესაც MR (measurement report) დიაპაზონებიდან თითოეულში სამი ყველაზე ძლიერი მეზობელი ფიჭის დონეებს. ამიტომ GSM-900 სექტორის მობილური სადგურებით გადაცემული MR დიდი ალბათობით შეიცავს მონაცემებს BCCH- შრეში GSM -1800 თანამიმართული მეზობელი სექტორიდან წამოსული სიგნალის დონის შესახებ (ნახ. 3.1).



ნახ. 3.1. GSM- 900/1800 სექტორების სიგნალების დონეთა გაზომვა

ამავე დროს GSM – 1800 სექტორის მობილური სადგურებით გადაცემული MR (ანათვლების მონაცემები) შეიცავენ GSM – 1800 TCH (ტრაფიკის არხი) - შრეში სიგნალის დონის ანათვლების შედეგებს; შედეგების დამუშავებისას BSC (საბაზო სადგურების კონტროლერი) ახდენს BS სიმძლავრის მართვის სისტემით შეტანილი სიგნალის შესუსტების კომპენსირებას, და აღადგენს GSM – 1800 BCCH – შრეში მიღებული სიგნალის ექვივალენტური სიგნალის დონეს. მითითებული ანათვლები აგროვებენ ქსელური მრიცხველები, რომლებიც მიეკუთვნებიან ფუნქციონალობას Defined Adjacent Cell (DAC) (ქსელური მოწყობილობის სხვა მწარმოებლები, აგრეთვე, უზრუნველყოფების ასეთი სტატისტიკის შეკრების შესაძლებლობას).

ამრიგად, შეიძლება შევაფასოთ GSM – 1800 სექტორის BCCH – არხის სიგნალის W<sub>Rx 1800</sub> დონის განაწილება აბონენტების მიერ GSM – 900 / 1800 ორიგე თანამიმართული სექტორის მიღებისას (ნახ. 3.2).



### ნახ. 3. 2. მართვადი ზემოქმედების ცვლილების განსაზღვრა

ზღვარის  $x=a$  საშუალებით გავყოთ ფართობი განაწილების მრუდი  $W_{Rx 1800}$  – ქვეშ GSM – 900 /1800 სექტორების ტრაფიკის ოპტიმალური წილების შესაბამისად:

$$\int_{-\infty}^a W_{Rx1800}(x)dx = W_{900}, \quad \int_a^{+\infty} W_{Rx1800}(x)dx = W_{1800} \quad (3.13)$$

შემდეგ ზღვარის  $x=a_{opt}$  საშუალებით განმეორებით გავყოთ ფართობი განაწილების მრუდი  $W_{Rx 1800}$  – ქვეშ GSM – 900 /1800 სექტორების ტრაფიკის ოპტიმალური წილების შესაბამისად:

$$\int_{-\infty}^{a_{opt}} W_{Rx1800}(x)dx = W_{900 \text{ opt}}, \quad \int_{a_{opt}}^{+\infty} W_{Rx1800}(x)dx = W_{1800 \text{ opt}}. \quad (3.14)$$

ზღვრების სხვაობა გვიჩვენებს მართვადი ზემოქმედების ცვლილებას, რომელიც საჭიროა თანამიმართული სექტორების ტრაფიკის დისბალანსის აღმოსავალს გვრევლად:

$a \rightarrow a_{opt}$  დოროს

$$\delta_r = W_{1800 \text{ opt}} - W_{1800} \rightarrow 0 \quad (3.15)$$

და

$$\frac{T900}{T1800} = \frac{\int_{-\infty}^a W_{Rx1800}(x)dx}{\int_a^{+\infty} W_{Rx1800}(x)dx} \rightarrow \frac{C900}{C1800}. \quad (3.16)$$

საჭირო მართვად ზემოქმედებას ტრაფიკის განაწილებაზე GSM-900/1800 ორდიაპაზონიან ქსელში ახდენს 2 ძირითადი მექანიზმი:

1. ე.წ. პენდოვერი Umbrella MS-ს მუშაობისას ხმოვანი კავშირის რეჟიმში. Umbrella –პენდოვერის ამოქმედების ზღვარი *hoLevelUmbrella* იძლევა სიგნალის მაქსიმალურად საჭირო დონეს, რომელსაც იღებს MS GSM-1800 BCCH-შრეში, რომლის დროს შესაძლებელია პენდოვერი GSM-900 → GSM-1800.
2. ქსელში წვდომის მინიმალური დონის მართვა GSM-1800 თანამიმართულ სექტორებზე MS მოლოდინის რეჟიმში ყოფნისას. ქსელში წვდომის დონე *RxLevelAccessMinimum (RxLAM)*, რომელიც დაყენებულია GSM-1800 სექტორზე, იძლევა სიგნალის მინიმალურად საჭირო დონეს, რომელსაც იღებს MS GSM-1800 BCCH-შრეში, რომლის დროს MS მოლოდინის რეჟიმში შეიძლება რჩებოდეს GSM-1800 სექტორში.  
აღწერილი ხერხის მნიშვნელოვან დირსებას წარმოადგენს საწყისი მონაცემების მაღალი უზყუარობა, რადგან მიღების დონეების სტატისტიკას უწყვეტად აყალიბებს GSM-900 /1800 თანამიმართული სექტორების ყველა აბონენტი.

### 3.2.3. მართვადი ზემოქმედების გამოანგარიშების მეთოდი

ოპერატორისთვის ხელმისაწვდომი ქსელური სტატისტიკა Defined Adjacent Cell უზრუნველყოფს შემდეგ საწყის მონაცემებს მობილური სადგურებით GSM-900 /1800 თანამიმართული სექტორების მიღებისას GSM-1800 BCCH-შრეში სიგნალის  $W_{Rx}$  1800 დონის განაწილების შესაფასებლად.

1. GSM-1800 სექტორის RxS სიგნალის დონე BCCH-შრეში მობილური სადგურების GSM-1800 სიხშირიან სექტორზე მიღებისას  $E[RxS]$  საშუალო მნიშვნელობა და  $E[RxS^2]$  საშუალო კვადრატი:

$$E[RxS] = \frac{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL1800}{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENOM1800}, \quad (3.17)$$

$$E[RxS^2] = \frac{SUM\_OF\_SQUARES\_OF\_SERV\_CELL\_SIGNS1800}{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENOM1800}, \quad (3.18)$$

საიდანაც  $RxS$  დისპერსია

$$\text{Var}[RxS] = E[RxS^2] - [RxS]^2 \quad (3.19)$$

(ინდექსი 1800 მრიცხველის სახელწოდების გვერდით მიუთითებს სექტორზე, რომელსაც მიეკუთვნება აღნიშნული მრიცხველი).

2. მობილური სადგურებით GSM-900 თანამიმართული სექტორის მიღებისას GSM-1800 სექტორის BCCH-შრეში RxA სიგნალის დონის საშუალო მნიშვნელობა  $E[RxA]$  საშუალო კვადრატი  $E[RxA^2]$ :

$$E[RxA] = \frac{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_ADJ\_CELL\_X900}{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_1\_ADJ\_CELL\_X900} + \frac{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_2\_OF\_ADJ\_CELL\_X900}{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_2\_OF\_ADJ\_CELL\_X900} + \frac{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_3\_OF\_ADJ\_CELL\_X900}{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_3\_OF\_ADJ\_CELL\_X900}, \quad (3.20)$$

$$E[RxA^2] = \frac{SUM\_OF\_SQUARES\_OF\_SIGNS\_X900}{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_1\_OF\_ADJ\_CELL\_X900} + \frac{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_2\_OF\_ADJ\_CELL\_X900}{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_2\_OF\_ADJ\_CELL\_X900} + \frac{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_3\_OF\_ADJ\_CELL\_X900}{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_3\_OF\_ADJ\_CELL\_X900}, \quad (3.21)$$

საიდანაც RxA დისპერსია

$$\text{Var}[\text{RxA}] = \text{E}[\text{RxA}^2] - \text{E}^2[\text{RxA}]. \quad (3.22)$$

3. GSM-1800 კველა სექტორი:

$$P_{\text{RxS}} = \frac{\text{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENOM1800}}{\text{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENON1800}} + \left[ \begin{array}{l} \text{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_2\_OF\_ADJ\_CELL\_X900} + \\ \text{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_3\_OF\_ADJ\_CELL\_X900} + \\ \text{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_2\_OF\_ADJ\_CELL\_X900} + \end{array} \right] \quad (3.20)$$

და GSM-900 კველა სექტორი:

$$P_{\text{RxA}} = \frac{\text{NUMBER\_OF\_SAMPLERS\_IN\_CLASS\_3\_OF\_ADJ\_CELL\_X900}}{\text{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENOM1800}} + \left[ \begin{array}{l} \text{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_2\_OF\_ADJ\_CELL\_X900} + \\ \text{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_3\_OF\_ADJ\_CELL\_X900} + \\ \text{NUMBER\_OF\_SAMPLER\_IN\_CLASS\_2\_OF\_ADJ\_CELL\_X900} + \end{array} \right] \quad (3.24)$$

(3.17–3.24)-ში შემავალ მრიცხელებს გააჩნიათ საკუთარი უნიკალური სათაურები მონაცემთა ბაზაში, მათ მნიშვნელობას განმარტავს ცხრილი 3.2.

GSM-1800 BCCH-შრეში GSM-900/1800 ორივე თანამიმართული სექტორის მობილური სადგურებით გაზომილი სიგნალის დონის საშუალო მნიშვნელობები  $\text{E}[\text{RxS}], \text{E}[\text{RxA}]$  და დისპერსიები  $\text{Var}[\text{RxS}], \text{Var}[\text{RxA}]$  საშუალებას გვაძლევენ შევაფასოთ  $W_{\text{Rx 1800}}$  საერთო განაწილების პარამეტრები.

$$W_{\text{Rx1800}}(x) = p_{\text{RxS}} \times W_{\text{RxS}}(x) + p_{\text{RxA}} \times W_{\text{RxA}}(x) \quad (3.25)$$

$$E[Rx1800] = \int_{-\infty}^{+\infty} WRx1800(x)dx = p_{RxS} \times \int_{-\infty}^{+\infty} x \times WRxS(x)dx + \\ p_{RxA} \times \int_{-\infty}^{+\infty} x \times WRxA(x)dx = p_{RxS} \times E[RxS] + p_{RxA} \times E[RxA] \quad (3.26)$$

Թրութելը	Աջնային
AVE_DOWNL_SIGNAL_STRENGTH_IN_SERV_CELL	Տօգնալու պահաժամկետությունը դռնուն ցանումուն մեջբելությունը չամո մոմեսեյրը զույգուն BCCH-Մրցման DAC (վելուն սեղմանը մեջ մեջբելուն զույգուն մուշացնություն) անառաջարկություն էլեկտրոնական մուշացնությունը պահաժամկետությունը MR-ի պահաժամկետությունը
AVE_DOWNL_SIGNAL_STRENGTH_IN_SERV_CELL_DE NOM	Մոմեսեյրը զույգուն մուշացնությունը DAC անառաջարկությունը էլեկտրոնական մուշացնությունը MR հառակարգը
SUM_OF_SQUARES_OF_SERV_CELL_SIGNALS	Տօգնալու պահաժամկետությունը դռնուն ցանումուն մեջբելությունը չամո պահաժամկետությունը չամո մոմեսեյրը զույգուն BCCH-Մրցման DAC անառաջարկությունը էլեկտրոնական մուշացնությունը պահաժամկետությունը MR-ի պահաժամկետությունը
AVE_DOWNL_SIGNAL_STRENGTH_IN_ADJ_CELL_X,  X = 1, ..., 32	Տօգնալու դռնուն ցանումուն մեջբելությունը չամո մեջբելուն № X զույգուն BCCH-Մրցման DAC անառաջարկությունը էլեկտրոնական մուշացնությունը և մեջբելուն № X զույգուն մուշացնությունը մուշացնությունը մուշացնությունը պահաժամկետությունը պահաժամկետությունը MR-ի պահաժամկետությունը
SUM_OF_SQUARES_OF_SIGNALS_X	Տօգնալու դռնուն ցանումուն մեջբելությունը չամո մեջբելուն № X զույգուն BCCH-Մրցման DAC անառաջարկությունը էլեկտրոնական մուշացնությունը պահաժամկետությունը և մեջբելուն № X զույգուն մուշացնությունը մուշացնությունը մուշացնությունը պահաժամկետությունը MR-ի պահաժամկետությունը
NUMBER_OF_SAMPLES_IN_CLASS_Y_OF_ADJ_CELL_X  X = 1, ..., 32; Y = 1, ..., 3	DAC անառաջարկությունը էլեկտրոնական մուշացնությունը և մեջբելուն № X զույգուն մուշացնությունը մուշացնությունը պահաժամկետությունը մուշացնությունը պահաժամկետությունը պահաժամկետությունը մուշացնությունը պահաժամկետությունը պահաժամկետությունը մուշացնությունը պահաժամկետությունը պահաժամկետությունը մուշացնությունը պահաժամկետությունը պահաժամկետությունը տաճապարհանակը

$$\begin{aligned}
\text{Var}[\text{Rx1800}] &= \int_{-\infty}^{+\infty} (x - E[\text{Rx1800}])^2 W_{\text{Rx1800}}(x) dx = \\
&= p_{\text{RxS}} \times \int_{-\infty}^{+\infty} (x^2 - 2x \times E[\text{Rx1800}] + E^2[\text{Rx1800}]) W_{\text{RxS}}(x) dx + \\
&\quad + p_{\text{RxA}} \times \int_{-\infty}^{+\infty} (x^2 - 2x \times E[\text{Rx1800}] + E^2[\text{Rx1800}]) W_{\text{RxA}}(x) dx = \\
&= p_{\text{RxS}} \times (E[\text{RxS}^2] - 2x \times E[\text{Rx1800}] \times E[\text{RxS}] + E^2[\text{Rx1800}]) \quad (3.27) \\
&\quad + p_{\text{RxA}} \times (E[\text{RxA}^2] - 2x \times E[\text{Rx1800}] \times E[\text{RxA}] + E^2[\text{Rx1800}]) = \\
&= p_{\text{RxS}} \times (\text{Var}[\text{RxS}] + E^2[\text{RxS}]) + p_{\text{RxA}} \times (\text{Var}[\text{RxA}] + E^2[\text{RxA}]) + \\
&\quad + (p_{\text{RxS}} + p_{\text{RxA}}) \times E^2[\text{Rx1800}] - 2 \times E[\text{Rx1800}] (p_{\text{RxS}} \times E[\text{RxS}] + p_{\text{RxA}} \times \\
&\quad E[\text{RxA}]) = p_{\text{RxS}} \times (\text{Var}[\text{RxS}]) + p_{\text{RxA}} \times (\text{Var}[\text{RxA}] + E^2[\text{RxA}]) - \\
&\quad - (p_{\text{RxS}} \times E[\text{RxS}] + p_{\text{RxA}} \times E[\text{RxA}])^2
\end{aligned}$$

მე-2 ოავის შესაბამისად, უნდა მივიჩნოთ, რომ სიგნალი ტრასაზე  
 $\text{BS} \rightarrow \text{MS}$  განიცდის საშუალო დანაკარგებისა და ლოგარითმულ  
ნორმალურ მიყენებების ზემოქმედებას. ეს საშუალებას გვაძლევს  
განვიხილოთ სიგნალის დონე (დბ) GSM-1800 BCCH-შრეში  
თანამიმართული სექტორების მობილური სადგურებით მიღებისას  
ნორმალური შემთხვევითი მნიშვნელობა  $N_{\text{Rx1800}}$  ( $E[\text{Rx1800}]$ , დბ;  
 $\text{Var}[\text{Rx1800}]$ , დბ).

მართვადი ზემოქმედების დონის მიმდინარე შეფასებისას ა (Umbrella-  
ჰენდოვერის ამოქმედების ზღვრული დონის, hoLevelUmbrella) შეფასება  
შეიძლება მიღებულ იქნეს პირობებიდან

$$\int_{-\infty}^{\hat{a}} W_{\text{Rx1800}}(x) dx = w_{900}, \quad \int_{\hat{a}}^{+\infty} W_{\text{Rx1800}}(x) dx = w_{1800} \quad (3.28)$$

სადაც  $w_{900}$ ,  $w_{1800}$  – GSM-900, GSM-1800 სექტორების ტრაფიკის მიმდინარე  
წილები:

$$w_{1800} = \frac{\text{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENOM1800}}{\left[ \frac{\text{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENOM1800}}{\text{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENON1800}} + \text{AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENOM1800} \right]} \quad (3.29)$$

$$w_{900} = 1 - w_{1800} \quad (3.30)$$

არ არის რთული ვაჩვენოთ, რომ

$$\hat{a} = -\sqrt{\text{Var}[Rx1800]} \times \Phi^{-1}(w_{1800}) + E[Rx1800] \quad (3.31)$$

სადაც ფუნქცია  $\Phi^{-1}(w_{1800})$  - ალბათობის ინტეგრალის უკუ ფუნქციაა  
 $\Phi(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_{-\infty}^x \exp\left[-\frac{z^2}{2}\right] dz.$

მართვადი ზემოქმედების ოპტიმალური დონის  $\hat{a}_{\text{opt}}$  შეფასება უნდა  
პასუხობდეს პირობებს

$$\int_{-\infty}^{\hat{a}_{\text{opt}}} W_{Rx1800}(x) dx = w_{900\text{opt}}, \quad \int_{\hat{a}_{\text{opt}}}^{+\infty} W_{Rx1800}(x) dx = w_{1800\text{opt}} \quad (3.32)$$

$$\hat{a}_{\text{opt}} = -\sqrt{\text{Var}[Rx1800]} \times \Phi^{-1}(w_{1800\text{opt}}) + E[Rx1800] \quad (3.33)$$

სადაც  $w_{1800\text{opt}} = \frac{c_{900}}{c_{900}+c_{1800}}$ ;  $w_{900\text{opt}} = 1 - w_{1800\text{opt}}$  - GSM-900, GSM-1800  
სექტორების ტრაფიკის ოპტიმალური წილები.

ამრიგად, მართვადი ზემოქმედების აუცილებელი ცვლილება ტოლია

$$\Delta \hat{a} = \hat{a}_{\text{opt}} - \hat{a} = -\sqrt{\text{Var}[Rx1800]} (\Phi^{-1}(w_{1800\text{opt}}) - \Phi^{-1}(w_{1800})) \quad (3.34)$$

თანამიმართულ სექტორებს შორის ტრაფიკის გადანაწილების  
ეფექტურობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ფიჭების  
რესელექციისა და პენდოვერის ძირითადი პროცედურების  
შეთანხმებული ცვლილებისას. გადასაჭრელი ამოცანის ჩარჩოებში ასეთ  
პარამეტრებს წარმოადგენენ:

1. hoLevelUmbrella<sub>900 → 1800</sub> - Umbrella – პენდოვერის ამოქმედების  
ზღვარი GSM-900 სექტორიდან მის თანამიმართულ GSM-1800  
სექტორზე.
2. hoMarginPBGT<sub>900 → 1800</sub> - GSM-900 /1800 თანამიმართულ სექტორებს  
შორის სიმძლავრის ბიუჯეტის პენდოვერის ამოქმედების ზღვრები  
(PBGT).
3. RxLAM<sub>900</sub>, RxLAM<sub>1800</sub> - შესაბამისად, GSM-900 და GSM-1800  
სექტორებზე დაყენებული ქსელში წვდომის მინიმალური დონეები.

4. C2<sub>900</sub>, C<sub>1800</sub> – შესაბამისად, GSM-900 და GSM-1800 სექტორებზე C2 რესელექციის კრიტერიუმის გამოყენება.

5. CRO<sub>1800</sub>-რესელექციის პირობის ცვლილება (*CellReselectionOffset*) C2 კრიტერიუმით GSM – 1800 სექტორზე.

გადასაჭრელი ამოცანის ჩარჩოებში მართვადი ზემოქმედების მნიშვნელოვანი (წამყვანი) პარამეტრებს წარმოადგენს *hoLevelUmbrella* ; დანარჩენი პარამეტრები ცნობილია და იცვლებიან წამყვანის შესაბამისად. მივიღოთ Umbrella – პენდოვერის ამოქმედების დონის აუცილებელი სიდიდე

$$\Delta hoLevelUmbrella = \Delta a \quad (3.35)$$

*hoLevelUmbrella* დასაშვებ მნიშვნელობათა არე შემოვფარგლოთ დიაპაზონით [-95,-50] დბმ, რადგან *hoLevelUmbrella* <- 95 დბმ საგრძნობლად უარესდება საუბრის გადაცემის ხარისხი (AMR (ადაპტური მულტიჩაროსნული კოდეკი)- კოდეკის გამოყენებითაც კი), ხოლო *hoLevelUmbrella* > - 50 დბმ დროს ტრაფიკის რამდენადმე შესამჩნევი გადანაწილება არ ხდება.

GSM → GSM-1800 პენდოვერის სიმძლავრის ბიუჯეტის ამოქმედების ზღვარი იცვლება ხაზოვნად *hoLevelUmbrella*-ზე დამოკიდებულებით:

$$hoMarginPBGT_{900 \rightarrow 1800} = hole velUmbrella + 86 \text{ დბ}, \quad (3.36)$$

რაც საშუალებას გვაძლევს დაგბლოკოთ ხმოვანი ტრაფიკის უკუდენა GSM-1800 შრეში მართვადი პარამეტრის მაღალი მნიშვნელობების არეში (*hoLevelUmbrella* = - 50 დბმ ⇒ *hoMarginPBGT* <sub>900 → 1800</sub> = 36 დბ) და დამატებით ვასტიმულიროთ GSM-1800 შრეში ხმოვანი ტრაფიკის უკუდენა მართვადი პარამეტრის დაბალი მნიშვნელობების დროს

$$(hoLevelUmbrella = - 95 \text{ დბმ} \Rightarrow hoMarginPBGT_{900 \rightarrow 1800} = - 9 \text{ დბ}).$$

GSM -1800 → GSM-900 პენდოვერის სიმბლავრის ბიუჯეტის ამოქმედების ზღვარმა საიმედოდ უნდა დაბლოკოს ტრაფიკის უკედენა GSM – 1800 შრიდან და უზრუნველყოს ტრაფიკის მაღალი აბსორბცია შრეში ტევადობით:

$$hoMarginPBGT = 63 \text{ დბ (maximum).} \quad (3.37)$$

ქსელში წვდომის დონე GSM-900 დაფარვის შრის სექტორებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული სააბონენტო დატვირთვაზე და უნდა უზრუნველყოფდეს ქსელის მისაწვდომობას სექტორის ტიპისა და დანიშნულების შესაბამისად:

$$RxLAM = const. \quad (3.38)$$

ქსელში წვდომის დონე GSM-1800 ტევადობის შრის სექტორებზე ტოლია

$$RxLAM = \begin{cases} hoLevelUmbrella, & hoLevelUmbrella \geq -85 \text{ დბ} \\ -85 \text{ დბ}, & hoLevelUmbrella < -85 \text{ დბ} \end{cases} \quad (3.39)$$

ეს საშუალებას გვაძლევს სინქრონულად შეგვეალოთ GSM – 1800 სექტორის მომსახურეობის ზონის ზომები MS – თვის ხმოვანი გამოძახების რეჟიმში და მოლოდინის მდგომარეობაში ( $hoLevelUmbrella \geq -85$  დბმ დროს). მეორეს მხრივ, აღნიშნული ზომა უზრუნველყოფს მომსახურეობის ხარისხს GSM-1800 ტევადობის შრეში ( $hoLevelUmbrella < -85$  დბ) სასიგნალო და საპაკეტო ტრაფიკისთვის.

რესელექციის პრიტერიუმი C2 უნდა იყოს აქტიური მხოლოდ GSM-1800 ტევადობის შრის სექტორებზე:

$$C2_{900} = \text{FALSE}, \quad C2_{1800} = \text{TRUE}. \quad (3.40)$$

რესელექციის პირობის ცვლილება  $CRO_{1800}$  GSM-1800 სექტორებზე არჩეულია შემდეგი მოსაზრებიდან გამომდინარე. დაფარვის შრიდან ტრაფიკის ინტენსიური აცილების აუცილებლობისას კავშირის დამყარება შეძლებიდაგვარად უნდა გადიოდეს უშუალოდ ტევადობის შრეში. მაშასადამე, GSM -1800 მთელი მომსახურეობის ზონის სიგრძეზე GSM -1800 სექტორის მიზიდველობა MS -თვის მოლოდინის რეჟიმში უნდა იყოს

$$C2_{1800} > C2_{900} - \text{ზე } \text{მაღალი.}$$

GSM -1800 მომსახურეობის ზონის პერიფერიაზე (ე.ო.  $RxLev_{1800} = \min RxLAM_{1800} = -85$  დბმ (3.39) მოვითხოვთ, რომ

$$C2_{1800} \geq C2_{900} \quad (3.41)$$

მივიღებთ რა დონეების სხვაობას GSM - 1800 სექტორის კიდეზე GSM - 900 და GSM - 1800 თანამიმართული სექტორების სიგნალთა მიღებისას

$$RxLev_{900} - RxLev_{1800} = 10 \text{ დბ} \quad (3.42)$$

ტოლად, ვღებულობთ გამოსახულებას:

$$C2_{1800} \geq C2_{900}$$

$$C1_{1800} + CRO_{1800} \geq C1_{900} \quad (3.43)$$

$$CRO_{1800} \geq C1_{900} - C1_{1800}$$

$$CRO_{1800} \geq RxLEV_{900} - RxLAM_{900} - (RxLEV_{1800} - RxLAM_{1800})$$

$$CRO_{1800} \geq 10 \text{ დბ} - 85 \text{ დბმ} - RxLAM_{900} = -75 \text{ დბმ} - RxLAM_{900}$$

$CRO$  (0, 2, ..., 126 დბ) დასაშვები მნიშვნელობების არის გათვალისწინებით ჯამური გამოსახულება მიღებს შემდეგ სახეს:

$$CRO_{1800} = 2 \times \text{int} [ (-75 - RxLAM) / 2 ] \quad (3.44)$$

სადაც  $\text{int} [ ]$  - რიცხვის მთელი ნაწილის გამოყოფის ოპერატორია.

ამრიგად, ქსელში წვდომის ტიპიური პირობებისას  $RxLAM_{900} = -110$  დბბ (რეგიონი) და  $RxLAM_{900} = -105$  დბბ (ქალაქი) რესელექციის პირობის ცვლილება იქნება  $CRO_{1800} = 34$  დბ (რეგიონი) და  $CRO_{1800} = 30$  დბ (ქალაქი).

$CRO_{1800}$  შემდგომი გაზრდა საშიშია იმით, რომ GSM – 1800 სექტორების მომატებული მიმზიდველობისა ( $C2_{1800}$ ) და მოლოდინის რეჟიმში MS ანათვლების დიდი პერიოდის ( $5-10\text{წ}$ ) გამო GSM – 1800 → ფიჭების საწყისი რესელექციები მოხდება დიდი დაგვიანებით. უპირველეს ყოვლისა, ეს აისახება მონაცემების პაკეტური გადაცემის სახით ხმოვანი კავშირების დამყარების წარმატებულობაზე.

### 3.3. GSM – 900 / 1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის რეგულირების ალგორითმი

ზოგადი მოთხოვნები GSM – 1800 და GSM – 900 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის რეგულირების ალგორითმისადმი შეიძლება შემდეგნაირად იქნეს ჩამოყალიბებული :

1. ალგორითმი უნდა სრულდებოდეს ციკლურად (შესრულების რეკომენდირებული პერიოდი 7 დღეა)
2. რეგულირების აუცილებელი პირობა უნდა იყოს სექტორებზე საკმარისი დატვირთვის არსებობა :

$$W_{900} = \frac{T_{900}}{C_{900}} \geq 0,5 \quad \text{ან} \quad W_{1800} = \frac{T_{1800}}{C_{1800}} \geq 0,5.$$

3. აუცილებელ პირობას რეგულირების (მართვადი ზემოქმედების  $\chi$  ცვლილების) დასაწყიებად წარმოადგენს ტრაფიკის დისბალანსის აბსოლუტური მნიშვნელობის გადამეტება მოცემულ ზღვარზე :

$$|\delta r| = |W_{1800 \text{ opt}} - W_{1800}| > \delta_1.$$

4. მართვადი ზემოქმედება არ უნდა სცილდებოდეს დასაშვები მნიშვნელობების დიაპაზონის ფარგლებს :

$$x \in [x_{\min}, x_{\max}].$$


5. რეგულირების (მართვადი ზემოქმედების ცვლილების) პროცესი წყდება მოცემულ ზღვარს ქვემოთ ტრაფიკის დისბალანსის აბსოლუტური მნიშვნელობის შემცირებისას:

$$|\delta r| < \delta_1, \quad \delta_2 < \delta_1$$

ჩამოყალიბებული მოთხოვნებისა და ნაშრომის წინა თავებში გადმოცემული კვლევების შედეგების საფუძველზე შემუშავებულ იქნა GSM-900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის რეგულირების შემდეგი ალგორითმი (ნახ.3.3).

ალგორითმის შემადგენლობაში შემავალი ბლოკების ფუნქციური დანიშნულება

1. *Loop\_cnt* ციკლების მრიცხველის განულება
2. GSM-900/1800 თანამიმართული სექტორების  $C_{900}$ ,  $C_{1800}$  ტევადობის გამოანგარიშება (ერლანგ-В კანონისა და სექტორების მიმდინარე კონფიგურაციის შესახებ მონაცემების საფუძველზე) და მათი ტრაფიკის  $T_{900}$ ,  $T_{1800}$  შეფასება ალგორითმის შესრულების პერიოდის ტოლ დაკვირვების პერიოდში (7 დღე).
3. სადაც  $0, 48$  წმ – GSM სტანდარტში SACCH – კადრის ხანგრძლივობის ტოლ MR ფორმირების პერიოდია;  $j = 1, \dots, 7$  – დღე-დამის რიგითი ნომერი დაკვირვების პერიოდში.



ნახ. 3. GSM-900/1800 თანამიმართული სექტორების მართვის ალგორითმის განზოგადებული სქემა

სექტორების ტრაფიკის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანათვლების პერიოდის DAC განმავლობაში სექტორებით დაგროვილი MR რაოდენობა:

$$T_{900}(j) = \frac{0.485\delta \times AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENOM900(j)}{3600\delta}, \quad (3.45)$$

$$T_{1800}(j) = \frac{0.485\delta \times AVE\_DOWNL\_SIGNAL\_STRENGTH\_IN\_SERV\_CELL\_DENOM1800(j)}{3600\delta}$$

პრაქტიკაში DAC სტატისტიკის შეგროვების პერიოდი საგრძნობად შეიძლება იყოს გადანაცვლებული ინდივიდუალური უდს სექტორების მიმართ. ამიტომ უდს - ტრაფიკის უშუალო მნიშვნელობები  $T_{900}(j)$ ,  $T_{1800}(j)$  სახით უკეთესია ავიდოთ ქსელის მუშაობის საათობრივი სტატისტიკიდან. ამისათვის გამოიყენება მრიცხველები AVE\_BUSY\_TCH და RES\_AVAIL\_DENOMINATOR\_14

$$T = \frac{AVE\_BUSY\_TCH}{RES\_AVAIL\_DENOMINATOR\_14}$$

საძებნ შეფასებებს მივიღებთ თანაფარდობიდან

$$\check{T}_{900} = \frac{1}{2} \times (T_{900}(j) + T_{900}(k)),$$

$$\check{T}_{1800} = \frac{1}{2} \times (T_{1800}(j) + T_{1800}(k)),$$


სადაც  $j, k = 1, \dots, 7$ ,  $j \neq k$  – გავლილი პერიოდის ორი დღე-დამეა, რომელთა განმავლობაში დაფიქსირებულ იქნა თანამიმართული სექტორების უდიდესი ჯამური ტრაფიკი:

$$\max_{j, k} (T_{900}(j) + T_{900}(k) + T_{1800}(j) + T_{1800}(k)), \quad j, k = 1, \dots, 7 \quad (3.46)$$

$j \neq k$

ორი დღე-დამის არჩევა  $(j, k)$  მაქსიმალური ჯამური ტრაფიკით განპირობებულია ორი მიზეზით. ჯერ ერთი, ეს საშუალებას გვაძლევს შევამციროთ შეცდომა, რომელიც გამოწვეულია ტრაფიკის ანომალური ცვლილებით მეზობელი BS დროებითი გამორთვების, მასობრივი

ღონისძიებებისა და ა.შ. გარდა. მეორეც, ეს საშულებას გვაძლევს უპეტესად გავითვალისწინოთ სხვადასხვა ადგილას ტრაფიკის კვირიანი ცვლილების თავისებურებები. მაგალითად, რიგ ფიჭებზე მსხვილ ქალაქებში მაქსიმალური ტრაფიკი ფიქსირდება სამუშაო კვირის ბოლო დღეებში – ხუთშაბათსა და პარასკევს; სააგარაკო დასახლებებში მაქსიმალური ტრაფიკი ფიქსირდება დასვენების დღეებში – შაბათსა და კვირას, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში (ნახ. 3.4).



ნახ. 3.4. ტრაფიკის განაწილება კვირის მიხედვით

3. ციკლების მრიცხველის ინკრემენტაცია. Loop\_cnt მნიშვნელობის შესაბამისად ალგორითმი სხვადასხვა ხარისხით საზღვრავს მოცემულ ნაბიჯზე მართვადი ზემოქმედების ცვლილების მაქსიმალურად დასაშვებ სიდიდეს მახ ( $\chi_i - \chi_{i-1}$ ).

4. ტრაფიკის დისბალანსის შეფასება

$$\delta_T = \frac{C_{1800}}{(C_{900} + C_{1800})} - \frac{\check{T}_{1800}}{(\check{T}_{900} + \check{T}_{1800})}$$

5. პირობის  $|\delta_T| > \delta_1$  შემოწმება. დადებითი შედეგის შემთხვევაში საჭიროა მართვადი ზემოქმედების კორექცია (ბლოკი 10).

6. პირობის Loop\_cnt  $> 1$  შემოწმება. უარყოფითი შედეგი ნიშნავს იმას, რომ დაკვირვებების მიმდინარე (i) და  $(i - 1)$  პერიოდებში ტრაფიკის დისპალანსმა არ გადააჭარბა ზღვარს  $\delta_1$ :

$$\delta_{T_{i-1}} < \delta_1, \quad \delta_{T_i} < \delta_1;$$

თანამიმართული სექტორების ტრაფიკი შეიძლება ცნობილ იქნეს ბალანსირებულად; არ არსებობს მართვადი ზემოქმედების კორექციის აუცილებლობა (ბლოკი 8).

7. პირობის  $|\delta_T| < \delta_1$  შემოწმება. დადებითი შედეგი ნიშნავს იმას, რომ მომდევნო  $(i - 1)$  პერიოდის შედეგების მიხედვით ჩატარებული მართვადი ზემოქმედების კორექციის შედეგად აღდგენილ იქნა ტრაფიკის ბალანსი. ზღვართა თანაფარდობა  $\delta_2 < \delta_1$  უზრუნველყოფს პისტერეზისს, რომელიც საჭიროა ალგორითმის სტაბილური მუშაობისთვის.

შემოწმების უარყოფითი შედეგი ნიშნავს იმას, რომ

$$\delta_2 \leq \delta_T \leq \delta_1,$$

და თანამიმართული სექტორების ტრაფიკი არ არის საბოლოო ბალანსირებული; საჭიროა მართვადი ზემოქმედების შემდგომი კორექცია.

8. მართვადი ზემოქმედების შენარჩუნება  $\hat{\sigma}_{\text{noise}}$  დონეზე:

$$\chi_i = \chi_{i-1}.$$

9. თანამიმართული სექტორების მიმდინარე დატვირთვის შემოწმება:

$$W_{900} = \frac{\hat{\sigma}_{900}}{C_{900}} \geq 0,5 \text{ OR } W_{1800} = \frac{\hat{\sigma}_{1800}}{C_{1800}} \geq 0,5.$$

უარყოფითი შედეგი ნიშნავს იმას, რომ ორივე თანამიმართული სექტორის ტევადობა გადაჭარბებულია; ტრაფიკის ბალანსის აღდგენის აუცილებლობა არ არსებობს.

10. მართვადი ზემოქმედების  $\chi$  დონის გამოანგარიშება მიმდინარე პერიოდში. მართვადი ზემოქმედების  $\chi_i$  ქვეშ აქ ვიგულისხმებოთ წინა პუნქტში აღწერილ ქსელური პარამეტრების ნაკრებს.

3. 3. 2. 3. მეთოდიკის თანახმად მართვადი ზემოქმედების ოპტიმალური ცვლილების გამოსაანგარიშებლად საჭირო სტატისტიკა შერჩეულია თანამიმართული სექტორების მაქსიმალური საერთო ტრაფიკის პირობის შესაბამისად (3.46).

11. დასაშვები მნიშვნელობების არის:  $[\chi_{\min}, \chi_{\max}]$  შესაბამისობის შემოწმება

12. მართვადი ზემოქმედების ახალი მნიშვნელობის გამოყენება. რადიოქსელში პარამეტრების ახალ მნიშვნელობათა ექსპორტი.

### ალგორითმის პრაქტიკული გამოყენების მაგალითი


განვიხილოთ GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის ბალანსის ალგორითმის პრაქტიკული გამოყენების მაგალითი. ქალაქის ერთ – ერთი BS - ს თანამიმართული სექტორების უდს ტრაფიკის ცვლილების ქრონოლოგია წარმოდგენილია ნახ. 3.5 ა, ბ – ზე. პერიოდი ალგორითმის გამოყენების დაწყებამდე მოიცავს დაკვირვების პირველ 85 დღეს. პირველი 15 დღე ხმოვანი ტრაფიკი (*Voice\_GSM900/1800*) პრაქტიკულად ბალანსირებული იყო (ნახ. 3.5 გ), მაგრამ აღემატებოდა ორივე სექტორის FR-ტევადობას (Limit\_FRGSM900/1800 = 7, 4 ერლ), რის შედეგადაც 30-ე დღეს GSM -1800 სექტორის ტევადობა გააფართოვეს 21 ერლ-მდე ორი TRX დამატებით. გაფართოებისას იყენებდნენ კომბაინერს, რამაც გაუარესა GSM-1800 რადიოდაფარვა DL მიმართულებით 3, 5 დბ-თი, გამოიწვია ტრაფიკის უკუდენა და გაზარდა თანამიმართული სექტორების ხმოვანი დატვირთვის დისბალანსი 30 – 40% - მდე.

ალგორითმის მუშაობის დაწყება მოდის 85 -95 -ე დღის პერიოდზე. პარამეტრების კორექციის შედეგად მოხერხდა ხმოვანი დატვირთვის გადანაწილება და დისბალანსის შემცირება 5 – 10% - მდე, ხოლო შემდგომ ქვემოთაც.

სექტორების გადატვირთვა პირველ 15 – 20 დღეში საგრძნობია 10% - მდე Congestion ზრდასთან ერთად (*Cong\_GSM900/1800* - უდს დროის წილია, რომლის განმავლობაშიც სექტორის ტრაფიკის ყველა არხი დაკავებულია). გადატვირთვების კომპენსაციისთვის ტრაფიკის ნაწილი მომსახურებულ იქნა HR რეჟიმში. ნახ. 3. 5ა, ბ – ზე წყვეტილი ხაზით ნაჩვენებია FR ზედა საანგარიშო ზღვარი

$$VoiceFR_{GSM900/1800} = Voice_{GSM900/1800} - 2 \times (Voice_{GSM900/1800} - LimitFR_{GSM900/1800}) = 2 \times LimitFR_{GSM900/1800} - Voice_{GSM900/1800}$$

ტრაფიკი, რომელიც აღემატება *VoiceFR\_GSM900/1800* სიდიდეს გამოტოვებულ უნდა იქნეს HR – კოდეკით. როგორც ნახ. 3. 5 ა, ბ – დან გამომდინარეობს, ტრაფიკის ბალანსის ალგორითმის მუშაობის დაწყების შემდეგ HR რეჟიმის გამოყენების აუცილებლობა ადარ არის.



ნახ. 3.5. სმოვანი ტრაფიკის ბალანსი

### **3.4. წინადაღებები GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის განაწილებაზე**

მესამე თავის წინა პუნქტებში ჩამოყალიბებულ იქნა GSM – 900/1800 ორდიაპაზონიანი ქსელის თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის მართვის პრინციპი და შემოთავაზებულ იქნა მისი რეალიზაციის ალგორითმი. ამოცანის დაყენებისას ჩვენ გამოვდიოდით იქვედან, რომ ძირითად დატგირთვას რადიოქსელში ქმნის აბონენტების ხმოვანი ტრაფიკი. GSM (E)GPRS თანამედროვე ქსელების სააბონენტო დატვირთვის მნიშვნელოვან წილს შეადგენს მონაცემების გადაცემის პაკეტური ტრაფიკი. ამრიგად, აქტუალურია შემდეგი საკითხები:

1. როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემოთავაზებული მეთოდი GSM-900/1800 თანამიმართული სექტორების შერეული ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის მართვისთვის.
2. როგორია ქსელური რესურსის გამოყენების თვალსაზრისით GSM-900/1800 დიაპაზონებს შორის ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის ოპტიმალური განაწილება

ჩამოვაყალიბოთ პასუხები დასმულ შეკითხვებზე ცნობილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

GSM-900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის მართვა ზემოთ ჩამოყალიბებული პრინციპის გამოყენებით შესაძლებელია. ამისათვის უნდა შევაფარდოთ ერთმანეთს სექტორის არსისმიერი რესურსის დანახარჯები ხმოვანი და პაკეტური სააბონენტო დატვირთვის მომსახურეობაზე.

მიღებულია მომსახურებული ხმოვანი ტრაფიკისა შეფასება ერლანგებში. GSM (E)GPRS ქსელებში გადაცემული პაკეტური ტრაფიკის შესაფასებლად იყენებენ სხვადასხვა ხერხებს. გავაკეთოთ მათი მოკლე მიმოხილვა.

თავისი სიმარტივისა და სიცხადის გამო ყველაზე დიდი გავრცელება პპოვა ბაიტებში გადაცემული მონაცემების მოცულობის უმუალო გაზომვის ხერხმა. თუმცა, მოცემულმა საზომმა ერთეულმა, რომელიც შეუცვლელია ფართო წრის ამოცანების გადაჭრისას, არ გარგა არხისმიერი რესურსის დანახარჯების შესაფასებლად, რადგან GSM (E)GPRS ქსელებში მონაცემების ფიქსირებული მოცულობის გადასაცემად არხის დაკავების დრო დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე (CS/MCS) მოდულაციისა და კოდირების სქემა, ბლოკური შეცდომების კოეფიციენტი (BLER), DAP (Dynamic A-bis Pool) დატვირთვა, Gb – ინტერფეისის დატვირთვა და ა. შ.)

რიგ წყაროებში [47, 68] გვთავაზობენ სექტორის მიერ (E)GPRS – რადიობლოკების გადაცემაზე დახარჯული საერთო დროის შეფასებასა და ერლანგებით მის პირობით გაზომვას:

$$\text{Data Erlang} = N_{\text{RB}} \times T_{\text{RB}} / 3600, \quad (3.47)$$

სადაც  $N_{\text{RB}}$  – გადაცემული რადიობლოკების რაოდენობაა (ცალ–ცალკე DL და UL მიმართულებებით),  $T_{\text{RB}}=0,02$ -ერთი რადიობლოკის ხანგრძლივობა.

განვსაზღვრავთ რა ქსელური სტატისტიკიდან UL/DL მიმართულებებით გადაცემული რადიობლოკების რაოდენობას, შეიძლება შევაფასოთ პაკეტური დატვირთვის მომსახურეობისთვის სექტორის არხისმიერი რესურსის გამოყენების “სუფთა” დრო. თუმცა, GSM (E)GPRS კომერციული ქსელების ექსპლუატაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მონაცემების პაკეტური გადაცემის დროს სექტორის არხისმიერი რესურსის შეკავების საერთო დრო მნიშვნელოვნად აღემატება გადაცემული რადიობლოკების ჯამურ ხანგრძლივობას. ამრიგად, (3.47) თანაფარდობა სრულყოფილად არ აფასებს რეალურ მოთხოვნილებებს არხიმიერ რესურსში, ხოლო მის გამოყენებას რადიოქსელის ტევადობის გამოანგარიშებისას მივყავართ მცდარ შედეგებამდე.

პრობლემის გადაჭრის შესაძლო ხერხ წარმოადგენს სექტორის არხისმიერი რესურსის შეკავების საერთო დროის გამოყენება პაკეტური დატვირთვის მომსახურეობისას. ავღნიშნოთ ის  $T^{data}$ .

მოცემული სიდიდე შეიძლება შევაფასოთ ოპერატორისთვის ხელმისაწვდომი ქსელური სტატისტიკის საშუალებით. მაგალითად, მრიცხველები AVE\_GPRS\_CHANNELS და RES\_AVAIL\_DENOMINATOR\_27 რომელთა შეფარდება

#### AVE\_GPRS\_CHANNELS / RES\_AVAIL\_DENOMINATOR\_27

გვიჩვენებს ანათვლების პერიოდის განმავლობაში საშუალო სექტორის RTSL რაოდენობას, რომლებიც კონფიგურირებულ იქნენ მონაცემების პაკეტური გადაცემისთვის. რადგან GSM (E)GPRS რეალურ ქსელებში ცდილობენ შეინარჩუნონ პაკეტური ტერიტორიის სიდიდე მინიმალურად საჭირო დონეზე (PCU – packet control unit რესურსების ეკონომიისთვის), სექტორის პაკეტური ტერიტორიის RTSL გამოანგარიშებული საშუალო რაოდენობა ახლოს იქნება საბენა სიდიდესთან  $T^{data}$ .

ამრიგად, ტრაფიკის ბალანსის ამოცანა შეიძლება დაყვანილ იქნეს საერთო სააბონენტო დატვირთვამდე – ხმოვანამდე ( $T_{900}^{voice}$ ,  $T_{1800}^{voice}$ ) და პაკეტურამდე ( $T_{900}^{data}$ ,  $T_{1800}^{data}$ ) – თანამიმართული სექტორების არხისმიერი ტემპობის შესაბამისად:

$$\frac{T_{900}^{opt}}{T_{1800}^{opt}} = \frac{T_{900}^{optvoice} + (T_{900}^{optdata})}{T_{1800}^{voice} + T_{1800}^{data}} = \frac{C_{900}}{C_{1800}}. \quad (3.48)$$

ოპერატორის შესაძლებლობები ცალ – ცალკე მართოს სექტორების ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის განაწილება მნიშვნელოვნად შეზღუდულია სტანდარტით. ცალ – ცალკე მართვის რეალიზაცია საჭიროებს მართვის დამატებითი არხის - PBCCH სამაუწყებლო არხის დანერგვას, რაც ამცირებს სააბონენტო ტრაფიკისათვის ხელმისაწვდომ სექტორის არხისმიერ ტემპობას და სიხშირეთა სპექტრისა და მოწყობილობის უტილიზაციის ეფექტურობას.

ამიტომ GSM (E)GPRS უმრავლეს მოქმედ ქსელში არხმა PBCCH ვერ ჰქოვა პრაქტიკული გამოყენება და MS, რომლებიც გადასცემენ ან იღებენ პაკეტურ ტრაფიკს, ემორჩილებიან C1, C2 ფიჭების სელექციისა და რესელექციის კრიტერიუმებს. თუმცა, პარამეტრები, რომლებიც საზღვრავენ ფიჭების სელექცია/ რესელექციას – RxLAM და CRO – უკვე იყო ამოქმედებული ხმოვანი ტრაფიკის ასაწყობად (პ. 3. 2. 3). მაშასადამე, ხმოვანი დატვირთვის მართვა უნდა უზრუნველყოფდეს ხმოვანი ტრაფიკის ისეთ განაწილებას, რომლის დროს თანამიმართული სექტორების შერეული ტრაფიკი იქნება ბალანსირებული.

ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკი ერთი მიმართულებით რეაგირებენ მართვადი ზემოქმედების ცვლილებაზე: hoLevelUmbrella  $900 \rightarrow 1800$  და RxLAM 1800 სინქრონული შემცირებისას (პ. 3.2.3) როგორც ხმოვანი, ისე პაკეტური ტრაფიკი გადაინაცვლებენ GSM – 1800 შრეში და პირიქით. მაგრამ პაკეტური დატვირთვისადმი ხმოვანი დატვირთვისთვის მიღებული მართვადი ზემოქმედების გამოანგარიშების შედეგების გამოყენება არაკორექტულია, რადგან ხმოვანი აბონენტების მომსახურეობისას დაგროვილი DAC სტატისტიკა არ შეესაბამება პაკეტური აბონენტების მომსახურეობის პირობებს ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის განაწილების სიმკვრივეთა მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო. ჩავთვლით, რომ პაკეტური ტრაფიკის მოსალოდნელი გადანაწილება რეგულირების მორიგ ნაბიჯზე ძალზე მცირეა და დაგვეგმოთ საერთო (ხმოვანი და პაკეტური) ტრაფიკის გადანაწილება, მხოლოდ ხმოვანი დატვირთვის მოსალოდნელი გადანაწილებიდან გამომდინარე. პაკეტური ტრაფიკის მომდევნო ფაქტიურ გადანაწილებას გავითვალისწინებთ დისბალანსის შეფასებისას და მართადი ზემოქმედების გამოანგარიშებისას რეგულირების შემდეგ ნაბიჯზე. მაშინ GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის ოპტიმალური ბალანსის პირობა შეიძლება შემდეგნაირად ჩავწეროთ:

$$\frac{T1800optvoice}{T900optvoice+T1800optvoice} = \frac{\frac{C_{1800}}{C_{900}+C_{1800}} - w1800data}{1 - w900data - w1800data}, \quad (3.49)$$

სადაც  $W900^{voice} = \frac{T900^{voice}}{T900^{voice} + t900^{data} + T1800^{voice} + T1800^{data}}$ ,  $W900^{voice} \in [0; 1]$  – GSM-900 ხმოვანი ტრაფიკის მიმდინარე წილია თანამიმართული სექტორების საერთო საბონენტო დატვირთვაში;

$W900^{data} = \frac{T900^{data}}{T900^{voice} + t900^{data} + T1800^{voice} + T1800^{data}}$ ,  $W900^{data} \in [0; 1]$  – GSM-900 მონაცემების ტრაფიკის მიმდინარე წილია თანამიმართული სექტორების საერთო საბონენტო დატვირთვაში;

$W1800^{voice} = \frac{T1800^{voice}}{T900^{voice} + t900^{data} + T1800^{voice} + T1800^{data}}$ ,  $W1800^{voice} \in [0; 1]$  – GSM-1800 ხმოვანი ტრაფიკის მიმდინარე წილია თანამიმართული სექტორების საერთო საბონენტო დატვირთვაში;

$W1800^{data} = \frac{T1800^{data}}{T900^{voice} + t900^{data} + T1800^{voice} + T1800^{data}}$ ,  $W1800^{data} \in [0; 1]$  – GSM-1800 ხმოვანი ტრაფიკის მიმდინარე წილია თანამიმართული სექტორების საერთო საბონენტო დატვირთვაში;

$C_{900}$ ,  $C_{1800} \in ]0; +\infty[$  – საბონენტო ტრაფიკის მომსახურეობისთვის გამოყოფილი GSM-900, GSM-1800 სექტორების არხისმიერი ტევადობები.

(3.49)-ში შემავალი ცვლადი სიდიდეების დასაშვებ მნიშვნელობათა ინტერვალები ისეთია, რომ (3.49) განსაზღვრის არე სცილდება  $\{0; 1\}$  მონაკვეთის ფარგლებს და, მაშასადამე, რიგ შემთხვევებში ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის ოპტიმალური ბალანსის პირობა ფიზიკურად არარეალიზებადია სექტორების არსებული არხისმიერი ტევადობისას:

$$\frac{C_{1800}}{C_{900} + C_{1800}} < W1800^{data} \Rightarrow \frac{T1800^{opt voice}}{T900^{opt voice} + T1800^{opt voice}} < 0, \quad (3.50)$$

$$\frac{C_{1800}}{C_{900} + C_{1800}} > 1 - W1800^{data} \Rightarrow \frac{T1800^{opt voice}}{T900^{opt voice} + T1800^{opt voice}} > 1. \quad (3.51)$$

(3.50), (3.51) შემთხვევებში საჭიროა მართვადი ზემოქმედების ა ისეთი დონეების არჩევა, რომლის დროს ხმოვანი და საერთო

ტრაფიკის რეალური განაწილება იქნება ქველაზე ახლო მატიმალურთან:

$$\frac{T1800optvoice}{T900optvoice+T1800optvoice} < 0 \Rightarrow \alpha = \alpha_{\max},$$

$$\chi = \begin{cases} \text{hoLevelUmbrella900} \rightarrow 1800 = -50\varphi\delta\epsilon \\ RxLAM 1800 = -50\varphi\delta\delta \\ \vdots \end{cases} \quad (3.52)$$

$$\frac{T1800optvoice}{T900optvoice+T1800optvoice} > 1 \Rightarrow \alpha = \alpha_{\min},$$

$$\chi = \begin{cases} \text{hoLevelUmbrella900} \rightarrow 1800 = -95\varphi\delta\epsilon \\ RxLAM 1800 = -85\varphi\delta\delta \\ \vdots \end{cases} \quad (3.53)$$

ასეთი სექტორების ტეგადობა არ პასუხობს რეალური სააბონენტო დატვირთვის პირობებს, ხოლო თვითონ სექტორები განიცდიან რეკონფიგურაციას – GSM-900/1800 მიმღებ – გადამცემების მოცილება/დამატებას.

ამრიგად, პ. 3.3. – ში აღწერილი GSM-900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის ბალანსის ალგორითმი შეიძლება გამოყენებულ უქნეს შერეული ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის ბალანსისთვის შემდეგი შესწორებით თანაფარდობებში (3.33, 3.34):

$$W_{1800opt} = \begin{cases} 0, & \frac{T1800optvoice}{T900optvoice+T1800optvoice} < 0 \\ \frac{C_{1800}}{C_{900}+C_{1800}} - w1800data & 0 \leq \frac{T1800optvoice}{T900optvoice+T1800optvoice} \leq 1. \\ 1 - \frac{w900data - w1800data}{1 - w900data - w1800data} & \frac{T1800optvoice}{T900optvoice+T1800optvoice} > 1 \end{cases} \quad (3.54)$$

ამასთანავე, ალგორითმში (ნახ. 3.4) მონაწილე ხმოვანი ტრაფიკის დისბალანსის პარამეტრი

$$\delta_T = \frac{\frac{C_{1800}}{C_{900}+C_{1800}} - w1800data}{1 - w900data - w1800data} - \frac{T1800optvoice}{T900optvoice+T1800optvoice}, \quad (3.55)$$

ხოლო საერთო, ხმოვანი და პაკეტური, ტრაფიკის დისბალანსი


$$\delta T^{\text{voice\&data}} = \frac{C_{1800}}{C_{900} + C_{1800}} - \frac{T_{1800\text{ data}} + T_{1800\text{ voice}}}{T_{900\text{ voice}} + T_{900\text{ data}} + T_{1800\text{ voice}} + T_{1800\text{ data}}}, \quad (3.56)$$

### ალგორითმის პრაქტიკული გამოყენების მაგალითი


განვიხილოთ GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის ბალანსის ალგორითმის პრაქტიკული გამოყენების მაგალითი. ქალაქის ერთ – ერთი BS თანამიმართული სექტორების უდს ტრაფიკის ცვლილების ქრონოლოგია წარმოდგენილია ნახ. 3.6 ა, ბ – ზე. პერიოდი ალგორითმის დაწყებამდე მოიცავს დაკვირვების პირველი 25 დღეს, რომელთა განმავლობაში ხმოვანი ტრაფიკი (*Voice\_GSM900/1800*) კარგად იყო ბალანსირებული, ხოლო პაკეტური ტრაფიკი (*DataT\_GSM900/1800*) იყო კონცენტრირებული უპირატესად GSM -900 სექტორში. შედეგად თანამიმართული სექტორების საერთო ტრაფიკის დისბალანსი აღემატებოდა 10% (ნახ. 3.6 გ), ხოლო UL/DL TBF (temporary block flow) ჯამური ბლოკირებები GSM – 900 სექტორის უდს – ში რეფულარულად აღემატებოდნენ 10 – 20% (UL + DL\_TBF\_BLOCKING\_BH\_GSM900 ნახ. 3.7 ა–ზე), რაც საგრძნობლად ამცირებდა მონაცემების პაკეტური გადაცემის მომსახურეობათა ხარისხს.

ალგორითმის მუშაობის დაწყება მოდის 25 – 35-ე დღის პერიოდზე. პარამეტრების კორექციის შედეგად მოხერხდა ხმოვანი და პაკეტური დატვირთვის გადანაწილება ისეთნაირად (ნახ. 3.6 ა, ბ, ნახ. 3.7 ა, ბ), რომ საერთო ტრაფიკის დისბალანსი შემცირდა 5% - მდე, ხოლო შემდგომში უფრო ქვემოთაც (ნახ. 3.6 გ). თანამიმართული სექტორების ჯამური პაკეტური ტრაფიკი გაიზარდა 2 ჯერ: 500 – დან 1000 მბ – მდე დღე – დამეში (ნახ. 3.7 გ); მნიშვნელოვნად შემცირდა TBF ბლოკირებები GSM – 900 სექტორში.

საფასურად მიღებული უპირატესობებისთვის იქცა GSM-1800 საანგარიშო HR-ტრაფიკის Voice\_GSM1800–VoiceFR\_GSM1800-ის ზრდა (ნახ. 3.6 ბ).



ნახ. 3.6. GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების არხისმიერი რესურსის გამოყენება



ნახ. 3.7. GSM -900/1800 თანამიმართული სექტორების მონაცემების ტრაფიკი

პასუხი კითხვაზე ქსელური რესურსის გამოყენების თვალსაზრისით ოპტიმალური, GSM900/1800 დიაპაზონებს შორის ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის განაწილების შესახებ დამოკიდებულია GSM (E)GPRS ორდიაპაზონიანი რადიოქსელის ექსპლუატაციისა და განვითარების ზოგად და კერძო პირობებზე.

1. ექსპლუატაციისა და განვითარების ზოგად პირობებს მიეკუთვნება:
  - 1.1. სხვაობა სიგნალის საშუალო დანაკარგებში უზრუნველყოფს GSM -900 სექტორისთვის საუკეთესო რადიოდაფარვას GSM -1800 სექტორთან შედარებით ერთნაირი BS იგს და საანტენო-ფიდერული ტრაქტის იდენტური პარამეტრებისას (ანტენის პორიზანტალური გაშლის სიგანე, დაკიდების სიმაღლე, დახრილობა, აზიმუტი).
  - 1.2. არხების საერთო რაოდენობა GSM – 900 (124 + 50) დიაპაზონში ნაკლებია, ვიდრე GSM – 1800 (374), რაც განაპირობებს GSM – 1800 არხების სიჭარბეს ოპერატორთა უმრავლესობის სისტირულ რესურსში..
  - 1.3. არხისმიერი რესურსის გამოყენების პოტენციურად მიღწევადი ეფექტურობა იზრდება ტრანკინგის პრინციპის ძალით მისი გამსხვილების შესაბამისად.
  - 1.4. სააბონენტო ტრაფიკის გატარების სიჩქარისთვის საჭირო პაკეტური მონაცემების გადაცემის მულტისლოტური რეჟიმი საჭიროებს ერთი აბონენტისთვის ერთი TRX მეზობელი RTSL – ების გამოყოფას, მაშინ, როდესაც ხმოვანი ტრაფიკის მომსახურეობისთვის საკმარისია გამოვყოთ 1 RTSL. ამრიგად, პაკეტური ტერიტორიის განაწილება სხვადასხვა დიაპაზონებზე უფრო ძლიერად ზღუდავს პაკეტური დატვირთვის მომსახურეობის ხარისხს, ვიდრე ხმოვანი ტერიტორიის განაწილება – ხმოვანი დატვირთვის მომსახურეობის ხარისხს.
  - 1.5. აბონენტები, რომლებიც ახდენენ ძირითადი პაკეტური დატვირთვის გენერირებას, როგორც წესი, სარგებლობენ

კომპიუტერით, (E)GPRS – მოდემით, და იმყოფებიან ოთახებში, ე. ი. სიგნალის უფრო დიდი დანაკარგების ზონებში. ხმოვანი და SDCCH – ტრაფიკი განაწილებულია სექტორის (GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების) მომსახურეობის ზონაში უფრო თანაბრად.

2. ექსპლუატაციისა და განვითარების კერძო პირობებს მიეკუთვნება:

2.1. ოპერატორისთვის გამოყოფილი სპექტრის უბნების სიგანე და მახასიათებლები.

2.1.1. სიხშირული არხების საერთო რაოდენობა თითოეულ დიაპაზონში 900 და 1800 მჟღ წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს სააბონენტო ტრაფიკის განაწილების სტრატეგიის არჩევისას.

2.1.2 სიხშირეთა სპექტრის უწყვეტობა. სპექტრის დანაწილება ცალკეულ ფრაგმენტებად სიხშირული არხების მცირე ( $\leq=4$ ) რაოდენობით ქმნის შეზღუდვებს სიხშირულ ტერიტორიული გეგმის ფორმირებისას და ამცირებს სპექტრის უტილიზაციის შესაძლებლობებს.

2.1.3. შეზღუდვები იგს და პოლარიზაციაზე ცალკეული სიხშირული არხების გამოყენებისას ამცირებენ სიხშირეთა სპექტრის დატვირთვის თანაბრობას. აუარესებს სექტორების რადიოდაფარგას და, საბოლოო ჯამში, აბრკოლებს ოპერატორის სრტატეგიის რეალიზაციას.

2.1.4. ცალკეული სიხშირული არხების დაზიანება გარეგანი ხელშეშლებით ზღუდავს ასეთი არხების უტილიზაციის შესაძლებლობას, განსაკუთრებით ტრაფიკის გადაცემისას რეალური დროში (conversational, streaming).

2.2. ტრაფიკის პროფილი. სხვადასხვა ტიპის ტრაფიკის პროცენტული თანაფარდობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მათი გადანაწილების შესაძლებლობას.

2.3. ოპერატორის მარკეტინგული მოდელი არჩეული მარკეტინგული მოდელის შესაბამისად შეიძლება იცვლებოდეს პროფილი, სხვადასხვა ტიპის ტრაფიკის პრიორიტეტი და მოთხოვნები მომსახურეობის ხარისხისადმი.

2.4. გამოყენებული საბაზო და სააბონენტო მოწყობილობის მახასიათებლები:

2.4.1. საბაზო და სააბონენტო მოწყობილობისთვის ცალკეული სიხშირული არხების (მაგალითად, EGSM) მხრიდან გაწეულ დახმარებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა შეიძლება სერიოზულად გააძნელონ ოპერატორის ჩანაფიქრის რეალიზაცია.

2.4.2. BS მაქსიმალური სიმძლავრე და მგრძნობელობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს UL/DL მიმართულებებით GSM 900/1800 სექტორების რადიოდაფარვის საკმარისობა.

2.4.3. მოწყობილობის ოპერატორისთვის მნიშვნელოვანი ფუნქციონალობების (Frequency Hopping, Intelligent Underlay / Overlay, Directed Retry, Direct Access to Desired Layer/ Band და სხვა) დახმარებამ საბაზო მოწყობილობისთვის შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს რადიოქსელის სპექტრული ეფექტურობა და ხელი შეუწყოს ოპერატორის მიერ მიღებული სტრატეგიის რეალიზაციას.

2.4.4. სიგნალების დამუშავების მოწინავე ტექნოლოგიების (EDGE, AMR და სხვა) დახმარება საბაზო და სააბონენტო მოწყობილობისთვის საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ რადიოკავშირის სპექტრული ეფექტურობა, გავაფართოოთ სექტორების მომსახურეობის ზონების საზღვრები და გაუადგილოთ ოპერატორს ტრაფიკის განაწილების არჩეული პრინციპებისადმი გაყოლა.

კოქვათ, რომ სიხშირეთა არსებული რესურსი საკმარისია და ოპერატორს შეუძლია უზრუნველყოს მომსახურეობის მოცემული ხარისხი (გამოძახების ბლოკირების ალბათობა P<sub>b</sub>,

სიგნალი/ხელშეშლის საჭირო შეფარდების უზრუნველყოფის ალბათობა Pr [ C/I > q ] და სხვა) GSM – 900/1800 სექტორებში საჭირო რაოდენობის მიმღებ – გადამცემების გამოყენებისას. მაშინ GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების ტრაფიკის ოპტიმალური განაწილების ძირითადი პრინციპები შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს შემდეგნაირად:

1. მთელი პაკეტური და სასიგნალო SDCCH – ტრაფიკი უნდა განვათავსოთ GSM-900 შრეში.
2. GSM – 900 რესურსის დარჩენილი ნაწილი და GSM – 1800 რესურსი დატვირთულ უნდა იქნეს ხმოვანი ტრაფიკით ოპტიმალური ბალანსის პირობის შესაბამისად (3.49).

მოცემულ სტრატეგიას გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

1. აბონენტებისთვის უმჯობესდება რადიოპირობები პაკეტური და სასიგნალო SDCCH – ტრაფიკისათვის სიგნალების დონეთა მომატების ხარჯზე, რომლებიც იმყოფებიან GSM – 1800 სექტორების მომსახურეობის ზონების კიდეებზე. ეს ქმნის საჭირო წინაპირობებს პაკეტური მონაცემების გადაცემის ხარისხისა და სიჩქარის მაჩვენებელთა ასამაღლებლად, აგრეთვე, ხმოვანი კავშირების დამყარების წარმატებულობის ასამაღლებლად (SSR – setup success rate), ლოკალიზაციის პროცედურების შესასრულებლად (LU – location update) და მოკლე შეტყობინებების გადასაცემად (SMS).
2. ხდება არხისმიერი რესურსების გამსხვილება პაკეტური და სასიგნალო SDCCH – ტრაფიკის მომსახურეობისთვის GSM – 900 შრეში; იზრდება GSM- 900 პაკეტური და სასიგნალო დატვირთვის დამუშავების სპექტრული ეფექტურობა.
3. იქმნება პირობები GSM – 1800 ხმოვანი ტრაფიკისთვის ხელმისაწვდომი არხის ტევადობის გაზრდისთვის. აგრეთვე, (3.49) შესაბამისად იქმნება პირობები ხმოვანი ტრაფიკის დამატებითი გადანაცვლებისთვის GSM-1800 დიაპაზონში

შიდასისტემური ხელშემლების ნაკლები დონით და საუბრის გადაცემის პოტენციურად უფრო მაღალი ხარისხით.

4. მცირდება პაკეტური სესიების დროს ფიჭების რესელექციის ინტენსივობა, რაც დადებით გავლენას ახდენს მონაცემების გადაცემის სიჩქარეზე.
5. იზრდება სატრანსპორტო ქსელის უტილიზაციის ეფექტურობა GSM – 1800 საბაზო სადგურების პულებით დაკავებული A-bis (BS-BSC) ინტერფეისის არხისმიერი ტევადობის გამოთავისუფლებისა და GSM – 1800 საბაზო სადგურების პულების (საჭიროებისამებრ) გაფართოების ხარჯზე.
6. იზრდება თანამიმართული სექტორების შერეული ტრაფიკის რეგულირების სიზუსტე ( $w_{1800}^{data} = 0$  გამო მცირდება შეცდომა მართვადი ზემოქმედების გამოანგარიშებისას).

განხილული სტრატეგიის ნაკლოვანებები:

1. დანახარჯები ცალკეული სექტორების ტევადობის რეკონფიგურაციაზე (TRX მოცილება/ დამატება); შესაძლებელია შეზღუდვები მოწყობილობის მხრიდან.
2. დანახარჯები ზოგიერთი სექტორის რადიოდაფარვის კორექციაზე საანტენო-ფიდერული ტრაქტის ელემენტების შეცვლა აუცილებლობისას და სამუშაოების ჩატარება.
3. არხის ტევადობის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს HR რეჟიმში ხმოვანი ტრაფიკის წილის გაზრდის აუცილებლობა (ხარისხის დანაკარგები შეიძლება უგულვებელყოთ AMR – კოდეკის გამოყენებით).
4. ხმოვანი ტრაფიკის გადანაცვლება GSM – 1800 შრეში ხმოვანი სერვისების მუშაობის ხარისხის გაუარესების გარეშე შესაძლებელია მხოლოდ GSM – 1800 საიმედო რადიოგადაფარვისას (ბს განთავსების უფრო მაღალი სიმჭიდროვისას).

5. GSM – 900 SDCCH – რესურსის მნიშვნელოვანი გაზრდის აუცილებლობა თანამიმართული სექტორების მაღალი ხმოვანი ტრაფიკისას (შესაძლებელია შეზღუდვები მოწყობილობის მხრიდან).
6. GSM – 1800 ჭარბი SDCCH – რესურსის გაფართოების შესაძლებლობა შეზღუდულია.

ტექნიკურად პაკეტური და სასიგნალო SDCCH-ტრაფიკის გადანაცვლება GSM – 900 შრეში შეიძლება განხორციელდეს GSM – 1800 შრეში თანამიმართულ სექტორებზე დამატებითი აწყობების საშუალებით. შემდეგის დაყენებისას

$$RxLAM_{1800} = -47 \text{ დბ} \text{ (max)}, \text{ PenaltyTime}_{1800} = 640 \text{ წ}$$

GSM – 1800 სექტორის მიმზიდველობა MS – თვის მოლოდინის მდგომარეობაში ან დია პაკეტური სესიებით შეადგენს

$$C2_{1800} = C1_{1800} - CRO_{1800} = RxLEV_{1800} - RxLAM_{1800} - CRO_{1800}$$

და იქნება ყოველთვის ნაკლები, ვიდრე GSM – 900 თანამიმართულ სექტორში

$$C1_{900} = RxLEV_{900} - RxLAM_{900} = RxLEV_{900} - (-105 \text{ ან } -110 \text{ დბ}),$$

$$C2_{1800} = RxLEV_{1800} - (-47 \text{ დბ}) - (30 \text{ ან } 34 \text{ დბ}),$$

$$C1_{900} - C2_{1800} = (RxLEV_{900} - RxLEV_{1800}) + (88 \text{ ან } 97 \text{ დბ}) \gg 0$$

(RxLAM<sub>900</sub>, RxLAM<sub>1800</sub>, CRO<sub>1800</sub> დონეები შეესაბამებიან პ. 3.2.3 – ში მითითებულ დონეებს).

ამრიგად, ყველა MS მოლოდინის მდგომარეობაში ან დია პაკეტური სესიებით უნდა იმყოფებოდეს GSM – 900 სექტორის მომსახურეობის ზონაში, რაც უზრუნველყოფს შემდეგ უპირატესობებს:

1. მითითებული MS – თვის მომსახურე ხდება GSM – 900 დაფარვის სექტორები მაქსიმალური C1, ე. ი. სექტორები BS სიგნალის

საუკეთესო დონით (ჩვეულებრივ, ყველა BS –ზე დაფარვის შრეები ადგენენ RxLAM ქსელში წვდომის დახლოებით ერთნაირ დონეს). ეს საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ რადიოპირობები MS – თვის, რადგან GSM – 1800 ტევადობის შრეში MS გადასვლას სექტორებში სუსტი რადიოდაფარვით ხშირად ასტიმულირებენ, ხელოვნურად ზრდიან რა ასეთი სექტორების მიმზიდველობას (C2) CRO პარამეტრის საშუალებით.

2. 3. 1 – ის გამო მცირდება აბონენტების საჩივართა რაოდენობა MS სიგნალის დონის ინდიკატორის დაბალ ჩვენებებზე, რაც დადებითად აისახება აბონენტების ლოიალობაზე, ოპერატორის იმიჯსა და მოგებაზე.


### ალგორითმის პრაქტიკული გამოყენების მაგალითი

განვიხილოთ GSM – 900 /1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის ბალანსის ალგორითმის პრაქტიკული გამოყენების მაგალითი პაკეტური და სასიგნალო ტრაფიკის გადანაცვლებით GSM – 900 დიაპაზონში. ერთ – ერთი საოლქო BS თანამიმართული სექტორების უდს ტრაფიკის ცვლილების ქრონოლოგია წარმოდგენილია ნახ. 3.8 ა, ბ – ზე. პერიოდი ალგორითმის გამოყენების დაწყებამდე მოიცავს დაკვირვების პირველ 30 დღეს, რომელთა განმავლობაშიც ხმოვანი ტრაფიკი (*Voice\_GSM900/1800*) კარგად იყო ბალანსირებული, ხოლო პაკეტური ტრაფიკი (*DataT\_GSM900/1800*) თავდაპირველად კონცენტრირებული იყო GSM – 900 სექტორში, GSM – 1800 არასაკმარისი რადიოდაფარვის გამო. შედეგად თანამიმართული სექტორების საერთო ტრაფიკის დისბალანსი აღემატებოდა 25% (ნახ. 3.6 გ), ხოლო პაკეტური ტრაფიკი, რომელმაც მოახდინა GSM – 900 სექტორის პრაქტიკულად მოელი ხელმისაწვდომი არხის რესურსის

ოკუპირება (ნახ. 3. 8 ა), მაინც განიცდიდა TBF ზომიერ ბლოკირებებს უდს-ში (*UL + DL\_TBF\_BLOCKING\_BH\_GSM900* ნახ. 3.9 ა - ზე).


ალგორითმის მუშაობის დაწყება მოდის 30-ე – მე -40 დღის პერიოდზე. პარამეტრების კონფიგურაციის შედეგად მოხერხდა ხმოვანი დატვირთვის გადანაწილება ისეთნაირად (ნახ.3.8 ა, ბ), რომ საერთო ტრაფიკის დისბალანსი შემცირდა 15–20% - მდე, ხოლო შემდგომში უფრო ქვემოთაც (ნახ. 3.8 გ). თანამიმართული სექტორების ჯამური პაკეტური ტრაფიკი გაიზარდა 1, 5 ჯერ: 1200-დან 1800მბ – მდე დღე – დამეში (ნახ 3.9 გ); შემცირდა TBF ბლოკირებები GSM -900 სექტორში.

ხმოვანი ტრაფიკის შემდგომი გადანაცვლება შეუძლებელი გახდა GSM – 1800 არასაკმარისი რადიოდაფარვის გამო. საერთო ტრაფიკის დისბალანსის შემცირება 0% -მდე სექტორების არსებული კონფიგურაციისას არ გვეჩვენება შესაძლებლად (საჭიროა GSM – 900 არხისმიერი ტევადობის გაფართოება).



ნახ. 3.8. GSM -900/1800 თანამიმართული სექტორების არხისმიერი

რესურსის გამოყენება



ნახ. 3.9. GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების მონაცემების ტრაფიკი

## დასკვნები

თავში მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები.

1. დასაბუთებულია იმ ეფექტური ალგორითმების შემუშავების აუცილებლობა, რომლებიც იძლევიან ქსელის დინამიურად მართვის საშუალებას აპარატული და სისტირული რესურსების მინიმალური დანახარჯებით. ნაჩვენებია BS-ს შორის სააბონენტო დატვირთვის გადანაწილების მნიშვნელობა მოწყობილობის, სისტირეთა სპექტრის თანაბარი ჩატვირთვის უზრუნველყოფისა და მთლიანობაში აბონენტების მომსახირეობის ხარისხის ამაღლების მიზნით.
2. შემუშავებულია GSM-900/1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის ბალანსის მეთოდი. მეთოდს საფუძვლად უდევს GSM – 900/1800 თანამიმართულ სექტორებს შორის ხმოვანი ტრაფიკის გადასვლის მათემატიკური მოდელი, რომელიც ტრაფიკს აკავშირებს ენერგეტიკულ თანაფარდობებთან თანამიმართული სექტორების აბონენტების მიერ სიგნალების მიღებისას. მიღებულია თანაფარდობები ტრაფიკის დისბალანსის შესაფასებლად და Umbrella - ჰენდოვერის ამოქმედების ზღვარის ოპტიმალური ცვლილების გამოსაანგარიშებლად; გამოსაანგარიშებლად საწყის მონაცემებს წარმოადგენენ მრიცხველები Defined Adjacent Cell Measurement. მეთოდი ითვალისწინებს შეზღუდვებს, რომლებიც საზღვრავენ ტრაფიკის ბალანსის ალგორითმის გამოყენების პირობებსა და წესს.
3. შემოთავაზებულია GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების დატვირთვის რეგულირების ალგორითმი, რომელიც ბაზირებულია ქსელური სტატისტიკის მონაცემებზე.
4. დასაბუთებულია ხმოვანი დატვირთვის ბალანსის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა GSM – 900/1800 თანამიმართული სექტორების საერთო, ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის

რეგულირებისთვის. მიღებულია ისეთი თანაფარდობები,  
რომლებიც გვაძლევენ ასეთი შესაძლებლობის რეალიზების  
საშუალებას.

5. ჩამოყალიბებულია GSM – 900/1800 ორდიაპაზონიან ქსელებში სასიგნალო, ხმოვანი და პაკეტური ტრაფიკის ერთობლივი განაწილების სტატეგიის ძირითადი დებულებები.
6. მოყვანილია ტრაფიკის ბალანსის პრაქტიკული გამოყენების მაგალითები.

## თავი 4. GSM ქსელებში მეზობელი ფიჭების ფომირების მეთოდიკა

### 4.1 ამოცანის დასმა

სექტორებს შორის მეზობელი კავშირების არსებობა (NR-neighbour relations) GSM სტანდარტის რადიოკავშირში უზრუნველყოფს ფიჭების სელექცია/რესელექციისა და აბონენტის ესტაფეტური გადაცემის პროცედურების შესაძლებლობას. გადაცემის აღნიშნული პროცედურები შესაძლებელია მხოლოდ იმ ფიჭებს შორის, რომლებიც აღწერილია საბაზო სადგურების ქვესისტემაში როგორც მეზობელი ფიჭები : თითოეული ფიჭისთვის ოპერატორი საზღვრავს მეზობელი ფიჭების სიას.

თუ A ფიჭი შედის მეზობელი ფიჭების სიაში B ფიჭისთვის, ხოლო B ფიჭი შედის მეზობელი ფიჭების სიაში A ფიჭისთვის, მაშინ NR ორმხრივია. თუკი შესაძლებელია მხოლოდ  $A \rightarrow B$  ან  $B \rightarrow A$  გადასვლა, მაშინ ეს ცალმხრივი NR შემთხვევაა.

მეზობლური კავშირები ბევრად განსაზღვრავენ:

1. მობილური აბონენტების მომსახურეობის ხარისხს. გამოტოვებული მეზობლური დამოკიდებულებები ხშირად იწვევენ კავშირის ხარისხის გაუარესებას და მივყავრთ შეერთების გაწყვეტამდე.
2. შიდასისტემური ხელშეშლების დონეს ჰენდოვერის შესრულების შეუძლებლობას მივყავრთ იქამდე, რომ კავშირი MS და BS შორის ხორციელდება ტრასაზე დანაკარგების მაღალი ბიუჯეტით და, მაშასადამე, MS და BS გადამცემების სიმძლავრეები აღემატებიან მინიმალურად საჭირო მნიშვნელობებს.
3. კავშირის მომსახურეობათა ხელმისაწვდომობას მობილური აბონენტებისთვის. გამოტოვებული მეზობლური დამოკიდებულებები ზრდიან ქსელის “დანაკარგის”

ალბათობას და, მაშასადამე, ამცირებენ კავშირის  
მომსახურეობათა ხელმისაწვდომობას.

ამასთანავე, NR სიჭარბეს მივყავართ:

1. დროის გაზრდამდე, რომელიც ესაჭიროება MS ანათვლების შესასრულებლად და მეზობელი ფიჭებით მათი შედეგების გადასაცემად და, როგორც შედეგი, პენდოვერის შესრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შეფერხების ზრდამდე. “რისკის ჯაფფში” ხვდებიან აბონენტები მაღალი მობილობით.
2. გადაჭარბებულ შეზღუდვებამდე სტბ –ს გამოანგარიშებისას და ქსელური KPI შესაძლო გაუარესებამდე.

არსებული NR ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენენ ქსელური ანათვლების შედეგები – ქსელური სტატისტიკა.

NR ფორმირებისადმი კომპანია – ოპერატორების ცნობილი მიღებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეზობელი ფიჭების სიათა შედგენა ხშირად წარმოებს ქსელური სტატისტიკის გამოყენების გარეშე. გადაწყვეტილებების მიღებისას, ხშირად, ეყრდნობიან რადიოგადაფარვის გამოანგარიშებას, რომელიც მიღებულია პროგრამული საშუალებების გამოყენებით, და ინჟინრების საექსერტო აზრს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რადიოქსელის დაგეგმვაზე. ადამიანისეული ფაქტორის ძლიერი გავლენა და რადიოტალღების გაურცელების გამოყენებული მოდელების სიზუსტეზე შედეგების დამოკიდებულება საშუალებას არ გვაძლევს უზრუნველვყოთ მეზობლური დამოკიდებულებების ეფექტური და ოპერატიული ფორმირება.


ამრიგად, GSM ქსელებში აბონენტების მომსახურეობის ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა შევიმუშაოთ მეზობელი ფიჭების სიების ჩამოყალიბების მეთოდიკა ქსელური ანათვლების შედეგების საფუძველზე, არქიტექტურის, დაგეგმვის მეთოდებისა და ტრაფიკის

მართვის მეთოდების გათვალისწინებით, რომლებიც მიღებულია რადიოქსელში.

#### 4.2. მეზობელი ფიჭების ფორმირების პროცესი GSM ქსელებში

ნახ. 4.1-ზე წარმოდგენილია რადიოქსელში NR ფორმირების მეთოდების კლასიფიკაცია.

NR იწყებენ ფორმირებას რეალური ცვლილებების წინამორბედ ეტაპებზე (გამოანგარიშებათა მონაცემებისა და პროგნოზის გამოყენებით) და აგრძელებენ ფორმირებას ქსელში სამუშაოების შესრულების მომდევნო ეტაპებზე, რადიოდაფარვისა და ტრაფიკის ფაქტიური ცვლილებების გათვალისწინებით (ანათვლების მონაცემების გამოყენებით).



#### **ნახ. 4.1. რადიოქსელში NR ფორმირების მეთოდების კლასიფიკაცია**

წინასწარმეტყველებათა მონაცემებს იყენებენ :

- დაგეგმვის მსვლელობაში და ახალი სექტორების ინტეგრაციის წინ;
- მომქმედი სექტორების ხელახალი გამართვის წინ, რომლის მსვლელობაში იცვლება მომსახურეობის მიმდინარე ზონები;
- ტრაფიკის მოსალოდნელი გადანაწილების წინ, რომელიც დაკავშირებულია სექტორების მომსახურეობის ზონების ცვლილებასთან.

ანათვლების მონაცემებს იყენებენ :

- მომქმედი სექტორების NR ოპტიმიზაციისას;
- მომსახურეობის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისას.

მონაცემების სხვადასხვა წყაროს გამოყენების უპირატესობები და ნაკლოვანებები (ნახ. 4.1) NR ფორმირებისას მოყვანილია ცხრილ 4.1 –ში.

#### **ცხრილი 4.1.**

მონაცემების სხვადასხვა წყაროს გამოყენების უპირატესობები და

ნაკლოვანებები

მონაცემების წყაროები	ღირსებები	ნაკლოვანებები
1. დაგეგმვის ინსტრუმენტის პროგნოზის მონაცემები (BS დაფარვის ზონების საფუძველზე)	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მაღალი მწარმოებლურობა</li> <li>▪ ავტომატიზაციის მაღალი ხარისხი</li> <li>▪ მუშაობის კრიტერიუმების შეცვლის მოხერხებულობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ შედეგების დამოკიდებულება რადიოტალღების გავრცელების მოდელის სიზუსტეზე</li> <li>▪ ადგილისა და</li> </ul>

		<p>ტრაფიკის ლოგისტიკის შესახებ ზუსტი მონაცემების აუცილებლობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ დაგეგმვის სისტემის ტექნიკური უზრუნველყოფის აუცილებლობა</li> </ul>
2. დამგეგმავის გადაწყვეტილება (ტოპოლოგიის, პირადი გამოცდილების და ა.შ. ანალიზის საფუძველზე)	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ რეალიზაციის სიიოლე</li> <li>▪ შემავალი მონაცემების მინიმალური ნაკრები</li> <li>▪ თანამშრომელთა პირადი გამოცდილების გამოყენება</li> <li>▪ უნიკალური შემავალი მონაცემებისა და მოთხოვნების გამოყენების შესაძლებლობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ დაბალი მწარმოებლურობა</li> <li>▪ ავტომატიზაციის დაბალი ხარისხი</li> <li>▪ ადამიანისეული ფაქტორის ძლიერი გავლენა</li> <li>▪ რთული მრავალკრიტერიუმ იანი</li> <li>▪ ალგორიტმების სწრაფი დანერგვის შეუძლებლობა</li> </ul>
3. ქსელური სტატისტიკის მონაცემები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მაღალი მწარმოებლურობა</li> <li>▪ შესაძლებელია ავტომატიზაციის მაღალი ხარისხი</li> <li>▪ შესაძლებელია რთული და ეფექტური ალგორითმების აგება</li> <li>▪ შედარებით დაბალი დანახარჯები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ შაკმარისი ტრაფიკის აუცილებლობა</li> <li>▪ სტატისტიკის შეკრების პერიოდში</li> <li>▪ ამოკიდებულება მოწყობილობის მწარმოებლის მიერ უზრუნველყოფილი ქსელური ანათვლების ნაკრებზე</li> </ul>
4. რადიოანათვლების მონაცემები სპეციალიზერებულ ი კომპლექსების გამოყენებით	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ უტყუარობა (რეალური ანათვლები კონკრეტულ დარგში)</li> <li>▪ ოპერატიულობა (ჩართო – გაზომა – შეაფასა)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ უტყუარობა (საჭიროა მრავალჯერადი ანათვლები სხვადასხვა პირობებისას)</li> <li>▪ ოპერატიულობა (ანათვლების</li> </ul>

		ორგანიზაცია და სწრაფი გასვლა ადგილზე ყოველთვის არ არის შესაძლებელი)
--	--	--

NR ფორმირების ალგორითმი ბაზირებულია იმ პრინციპებზე, რომლებიც პირობითად შეიძლება დავყოთ ზოგადსა და კერძოზე. ზოგადი პრინციპები გულისხმობენ მეზობელი ფიჭების არჩევას კანდიდატი – ფიჭების გადაფარვის დონის კრიტერიუმის მიხედვით. კერძო პრინციპები გულისხმობენ კონკრეტული რადიოქსელის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას:

- ერთმიმართულიანი ან ორმიმართულიანი NR გამოყენება (ზოგიერთი ოპერატორი იყენებს მხოლოდ ორმიმართულიან NR);
- სხვადასხვა შრეების არსებობა ქსელის ფიჭურ სტრუქტურაში;
- თანამიმართული სექტორების გამოყენება ტევადობისა და დაფარვის იაპაზონების;
- იაპაზონებს შორის ტრაფიკის განაწილების მეთოდები და ა. შ.

დასკვნები:

1. მეზობლური დამოკიდებულებების ფორმირებისა და ოპტიმიზაციის პროცესი მოიცავს რამოდენიმე კომპონენტს და უწყვეტად ხორციელდება მრავალჯერ გამეორებადი ციკლების მსვლელობაში.
2. NR ფორმირებისა და ოპტიმიზაციის პროცესი ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს და გულისხმობს დამუშავების შესაბამისი მეთოდების ორგანიზაციას.
3. NR ფორმირებისა და ოპტიმიზაციის პროცესი უნდა ითვალისწინებდეს არქიტექტურას, დაგეგმვის მეთოდებსა და

ტრაფიკის მართვის მეთოდებს, რომლებიც მიღებულია კონკრეტულ რადიოქსელში.

4. NR ეფექტური ოპტიმიზაცია გულისხმობს სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას, რომლებიც ბაზირებულია მოწყობილობის მწარმოებლის მიერ ჩადებულ განსაზღვრულ ქსელურ გაზომვებზე.

#### 4.3 გამოტოვებული NR ალმოჩენის მეთოდი

აქაც და შემდეგაც განვიხილავთ GSM – 900/1800 სტანდარტის რადიოქსელს შემდეგი დაშვებებით:

- რადიოქსელი მოიცავს 900 და 1800 მჟც დიაპაზონების BS;
- დაფარვის უზრუნველყოფის ამოცანებს გადაწყვეტენ GSM-900 სექტორები;
- ტევადობის უზრუნველყოფის ამოცანებს გადაწყვეტენ GSM-1800 სექტორები;
- ტევადობისა და დაფარვის სექტორები ერთი საიტის ფარგლებში თანამიმართულნი არიან;
- ტევადობისა და დაფარვის იაპაზონებს შორის ტრაფიკის ბალანსს ინარჩუნებენ პარამეტრული მეთოდებით GSM – 900/ 1800 შრეების სექტორებს შორის დიაპაზონთაშორისი ჰენდოვერების აწყობის საშუალებით (თავი 3);
- ტრაფიკის გადასვლა GSM-900 შრიდან GSM-1800 შრეში ხორციელდება თანამიმართულ სექტორებს შორის Umbrella-ჰენდოვერის საშუალებით;
- ტრაფიკის გადასვლა GSM-1800 შრიდან GSM-900 შრეში ხორციელდება გადარჩენის ჰენდოვერების საშუალებით

- მომსახურეობის დონის გაუარესებისას ან შეცდომების კოეფიციენტის გაზრდისას (BER);
- ყველა სექტორი ერთი BS ფარგლებში დაგავშირებულია ერთმანეთთან ორმიმართულებიანი მეზობლური დამოკიდებულებებით.

“გამოტოვებული” მეზობლების დამატებას შევასრულებო კანდიდატი – ფიჭების გადაფარვის დონის (ხარისხის) კრიტერიუმის მიხედვით. ფიჭების გადაფარვის დონის (ხარისხის) ცნების ზუსტი და საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. მოვახდინოთ მოცემული ცნების ფორმალიზება გადასაჭრელი ამოცანის სპეციფიკის გათვალისწინებით. განვიხილოთ ნახ. 4.2 –ზე გამოსახული ერთი შრის ორი მეზობელი ფიჭი, რომელთა შორისაც შესაძლებელია სიმდლავრის ბიუჯეტის პენდოვერები (PBGT)  $A \rightarrow B$  და  $B \rightarrow A$ :  $Cov A$ ,  $Cov B - A$  და  $B$  ფიჭების დაფარვის ზონებია;  $Serv A$ ;  $Serv B - A$  და  $B$  ფიჭების მომსახურეობის ზონებია. გრაფიკზე  $RxLEV$ , დბმ ნაჩვენებია  $AB$  წრფის გასწვრივ  $BCCH$  – არხების სიგნალების მიღების საშუალო დონეები; ტრაფიკის სიმკვრივის გრაფიკზე ნაჩვენებია იმ ტრაფიკის საშუალო სიმკვრივე, რომელსაც ემსახურებიან ფიჭებზე.


მომსახურეობის ზონების საზღვრები აღნიშნულია სიმდლავრის ბიუჯეტის პენდოვერის (PBGT) გამარტივებული პირობების შესაბამისად:

$$\left\{ \begin{array}{l} A \rightarrow B : bcchRxLev B \geq bcchRxLev A + Margin AB \\ B \rightarrow A : bcchRxLev A \geq bcchRxLev B + Margin BA, \end{array} \right. \quad (4.1)$$

სადაც  $Margin AB$ ,  $Margin BA$  - ოპერატორის მიერ დადგენილი დონეთა ზღვრული სხვაობებია, რომელთა დროს შესაძლებელია

პენდოვერები  $A \rightarrow B$  და  $B \rightarrow A$ , შესაბამისად. უამი  $Margin\ AB + Margin\ BA$  უზრუნველყოფს პისტერეზის, რომელიც საჭიროა პინგ – პონგის თავიდან ასაცილებლად. პინგ – პონგის ქვეშ აქ გიგულისხმებთ მრავალჯერად პენდოვერს  $A$  და  $B$  ფიჭებს შორის დროის მოკლე მონაკვეთის განმავლობაში [87].


ორი ფიჭის გადაფარვის შესახებ საუბარი შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ფიჭის ტრაფიკი ომყოფება მეორე ფიჭის დაფარვის ზონაში (დაშტრიხული ადგილები ნახ. 4.2).



ნახ. 4.2.  $B$  ფიჭის დაფარვის ზონაში  $A$  ფიჭის ტრაფიკის წილის განსაზღვრა

ამიტომ  $A$  და  $B$  ფიჭების გადაფარვის საზომად შეიძლება მიღებული ქნეს  $A$  ფიჭის ტრაფიკის წილი, რომელიც იმყოფება  $B$  ფიჭის დაფარვის ზონაში:  $\frac{T_{AB}}{T_A}$ , სადაც  $T_{AB} - A$  ფიჭის ტრაფიკია, რომელიც იმყოფება  $B$

ფიჭის დაფარვის ზონაში;  $T_A - A$  ფიჭის სრული ტრაფიკი. ფიზიკურად ეს ნიშნავს  $A$  ფიჭის აბონენტების წილს, რომლებსაც შეუძლიათ  $B$  ფიჭის სიგნალის მიღება. ცხადია, რომ ასეთნაირად შემოღებული ცნება გულისხმობს ფიჭების ასიმეტრიული გადაფარვის შესაძლებლობას, როდესაც  $\frac{T_{AB}}{T_A} < \frac{T_{BA}}{T_B}$  (ნახ. 4.3).



ნახ. 4.3 ფიჭების ასიმეტრიული გადაფარვა

ფიჭების გადაფარვის ხარისხი ძლიერად დამოკიდებული არა მარტო ენერგეტიკულ თანაფარდობებზე სიგნალების მიღების დროს, არამედ ტრაფიკის განაწილებაზე ფიჭების მომსახურეობის ზონაში. ფიჭების გადაფარვის დონის რაოდენობრივი განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ ტრაფიკის განაწილების სიმკვრივე:

$$\frac{T_{AB}}{T_A} = \frac{\int_{(CovA \cap CovB)} D_A(x,y) dx dy}{\int_{(CovA)} D_A(x,y) dx dy}, \quad (4.2)$$

სადაც  $D_A(x, y) - A$  ფიჭის ტრაფიკის განაწილების სიმკვრივეა.

ვახდენთ ფიჭების გადაფარვის დონის ცნების ადაპტირებას NR ოპტიმიზაციის ამოცანისადმი.  $A$  და  $B$  ფიჭების გადაფარვის დონის ქვეშ შემდგომში ვიგულისხმებთ  $B$  ფიჭის დომინირებადი დაფარვის ზონაში

მყოფი A ფიჭის ტრაფიკის შეფარდებას ( $bcchRxLevA < bcchRxLevB$ ) A ფიჭის მთელ ტრაფიკთან B ფიჭის დაფარვის ზონაში (ნახ. 4.4):


$$Y_{AB} = \frac{T_{A < B}}{T_{AB}}, \quad (4.3)$$

სადაც  $T_{A < B}$  – A ფიჭის ტრაფიკია, რომელიც იმყოფება  $bcchRxLevA < bcchRxLevB$  არეში (ვერტიკალური დაშტრიხება ნახ. 4.4-ზე);  $T_{AB}$  – A ფიჭის ტრაფიკია, რომელიც იმყოფება B ფიჭის დაფარვის ზონაში (ვერტიკალური და ჰორიზონტალური დაშტრიხება ნახ. 4.4-ზე).

A და B ფიჭების ტრაფიკის განაწილების სიმკვრივის გათვალისწინებით

$$Y_{AB} = \frac{T_{A < B}}{T_{AB}} = \frac{\int_{(CovA \cap CovB)} D_A(x,y) \times \delta_1 [bcchRxLevB(x,y) - bcchRxLevA(x,y)] dx dy}{\int_{(CovA \cap CovB)} D_A(x,y) dx dy}, \quad (4.4)$$

სადაც  $bcchRxLev(x, y)$  – A და B ფიჭების BCCH – არხების სიგნალის მიღების საშუალო დონეა,  $\delta_1$  – პევისაიდის ფუნქციაა.



ნახ. 4.4. A და B ფიჭების გადაფარვის დონის განსაზღვრა

ვისარგებლებთ რა შემოდებული განსაზღვრებით, ჩამოვაყალიბოთ ფიჭების წყვილთა არჩევის კრიტერიუმი, რომელთა შორის NR გამოტოვებულია. რადიოქსელში, სადაც ოპერატორის მიერ დაშვებულია ერთმიმართულებიანი მეზობლური დამოკიდებულებების გამოყენებას, არჩევის კრიტერიუმი შეიძლება ჩაწერილ იქნეს შემდეგი სახით:

$$Y_{AB} \geq Y_{\text{thresh\_add}}, \quad (4.5)$$

სადაც  $Y_{\text{thresh\_add}}$  - გადაფარვის ზღვრული დონეა, რომლის გადამეტებისას უნდა დავუმატოთ NR A → B (გაგაფართოოთ A ფიჭის მეზობლების სია).

რადიოქსელში, სადაც ოპერატორი უშვებს მხოლოდ ორმიმართულებიანი NR გამოყენებას, კრიტერიუმი შეიძლება მიყვანილ იქნეს შემდეგ სახემდე:

$$Y_{AB} + Y_{BA} \geq 2 Y_{\text{thresh\_add}}; \quad (4.6)$$

ზღვარის გადამეტებისას უნდა დავუმატოთ მეზობელი დამოკიდებულებები A → B და B → A (გაგაფართოოთ A და B ფიჭების მეზობლების სია).

$Y_{\text{thresh\_add}}$  ზღვარის რიცხობრივი მნიშვნელობა უნდა შეირჩეს ინდივიდუალურად თითოეული რადიოქსელისთვის, გადარებთ რა დამატებული NR ეფექტურობას  $Y_{\text{thresh\_add}}$  გამოყენებულ მნიშვნელობებთან. მეთოდის პრაქტიკული გამოყენება რადიოქსელში  $Y_{\text{thresh\_add}} = 0, 05$  უზრუნველყოფდა 70... 80% დამატებული NR ეფექტურობას.

კრიტერიუმები (4.5, 4.6) უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან NR ოპტიმიზაციაზე GSM-900/1800 შრეების შიგნით, ვიდრე დიაპაზონებს შორის. ზოგად შემთხვევაში სხვადასხვა დიაპაზონების ფიჭებს შორის NR ოპტიმიზაციისას უნდა გავითვალისწინოთ GSM-900/1800 სიგნალების საშუალო დანაკარგების განსხვავება და გამოვიყენოთ დიაპაზონთაშორისი ჰენდოვერების შესრულების პირობები, რომლებიც იყენებენ კანდიდატი - ფიჭის სიგნალის დონის აბსოლუტურ

მნიშვნელობას (მაგალითად, Umbrella – ჰენდოვერი) და არა დონეთა შეფარდებას როგორც სიმძლავრის ბიუჯეტის ჰენდოვერის შემთხვევაში. ამრიგად, სხვადასხვა დიაპაზონის ფიჭებს შორის გამოტოვებული NR აღმოსაჩენად შეიძლება საჭირო გახდეს ფიჭების სხვა ცნება და ძებნის სხვა კრიტერიუმების გამოყენება. მაგრამ განხილული რადიოქსელის ჩარჩოებში ასეთი აუცილებლობა არ არის, რადგან:

- ერთი BS-ს ყველა სექტორი დაკავშირებულია ერთმანეთთან ორმიმართულებიანი მეზობლური დამოკიდებულებებით, რაც ყოველთვის გვაძლევს GSM-900/1800 თანამიმართული სექტორებით დიაპაზონებს შორის ტრაფიკის გადანაწილების საშუალებას;
- კრიტერიუმების (4.5, 4.6) გამოყენება უზრუნველყოფს ძირათადი ტიპის შიდადიაპაზონური ჰენდოვერის – სიმძლავრის ბიუჯეტის ჰენდოვერის (4.5, 4.6) შესასრულებლად აუცილებელი შრეების შიგნითმეზობლური დამოკიდებულებების სრული ნაკრების ფორმირებას. ამრიგად, რადიოქსელის განხილული მოდელის ჩარჩოებში კრიტერიუმები (4.5, 4.6) საკმარისია.


აღმოჩენის კრიტერიუმების გამოყენების მცდარობა დამოკიდებულია საწყისი მინაცემების სიზუსტეზე. პროგნოზის მონაცემების გამოყენებისას და ტრაფიკის განაწილებისა და დაფარვის დონეების აპროქსიმაციისას ძნელია უზრუნველვყოთ შემომავალი მონაცემების სიზუსტისა და აქტუალობის საჭირო დონე. მიტომ მიზანშეწონილია გამოვიყენოთ სწორედ ქელური სტატისტიკა, რომელიც იქმნება განხილული სექტორების ყველა აბონენტის მიერ.

BSS იყენებს CHANNEL FINDER (CF) გაზომვებს, რომელთა ჩარჩოებშიც სააბონენტო ტერმინალები ახდენენ სისშირული არხების მოცემული ნაკრების სკანირებას DL მიმართულებით და MR (measurement report) საშუალებით პერიოდულად გადასცემენ ანათვლების შედეგებს BSC – ზე. ეს საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ თითოეული სექტორისთვის მნიშვნელოვანი რიგი მახასიათებლები:

- მოცემული სექტორის სიგნალის დონის განაწილება (სიმძლავრის მართვის კომპენსაციით) იმ სააბონენტო ტერმინალების მიერ მიღებისას, რომლებსაც ის ემსახურებიან;
- მოცემული სექტორისა და ზოგიერთი დაშორებული სექტორის სიგნალთა დონეების სხვაობის (დბ) განაწილება იმ სააბონენტო ტერმინალების მიერ მიღებისას, რომლებსაც ემსახურება მოცემული სექტორი.

შეგროვებული მონაცემების ღირებულება მდგომარეობს არჩევის რეპრეზენტულობაში, რადგან სტატისტიკას ქმნის ყველა სააბონენტო ტერმინალი, რომელსაც ემსახურებიან მოცემულ სექტორზე ანათვლების პერიოდში. ამრიგად, შეგროვებული სტატისტიკა სრულად შეესაბამება აბონენტების განაწილების რეალურ სიმჭიდროვეს.

CF გაზომვებს ოპერატორები იყენებენ რადიოქსელის სტგ ოპტიმიზაციისთვის, მაგრამ ისინი არანაკლებ სასარგებლონი არიან მეზობლების სიების ოპტიმიზაციისთვისაც. გამოტოვებული NR აღმოჩენის ამოცანის გადასაჭრელად საკმარისია გამოვიყენოთ CF მრიცხველების ჯგუფს, რომლებიც წარმოადგენენ ფიჭების განხილული წყვილის სიგნალთა დონეების შეფარდების განაწილების ჰისტოგრამას. განვიხილოთ ფიჭი A (BS<sub>A</sub>) აბონენტით U<sub>A</sub> და რაღაც დაშორებული ფიჭი B (BS<sub>B</sub>), რომლის BCCH – არხის სკანირებას ახდენენ სააბონენტო ტერმინალები A ფიჭაში (ნახ. 4.5); A და B ფიჭები ჯერ არ არიან მეზობელი ფიჭები.



ნახ. 4.5. CF ანათვლები

MS  $U_A$  აყალიბებს ანათვლების შედეგებს  $BS_A$ ,  $BS_B$  დონეებით და გადასცემს მათ  $MR$  საშუალებით  $BS_A$  – ზე, საიდანაც ისინი შემოდიან  $BSC$  – ზე.  $BSC$  ახდენს სიმძლავრის მართვის სისტემით  $BS_A$  შემოტანილი სიგნალის შესუსტების კომპენსირებას და აფასებს დონეთა სხვაობას

$$RxLev_B - RxLev_A \text{ და}$$


MS  $U_A$  მიღებისას. შემდეგ მიღებულ სიდიდეს ადარებენ ოპრატორის მიერ დადგენილ ზღვრებს  $DB\_VALUE\_LOW$ ,  $DB\_VALUE\_HIGH$  და ქმნიან პისტოგრამას:

$NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_1\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_X$

$NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_2\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_X$

$NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_2\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_X$

სადაც  $X = 1, \dots, 39$  - სკანირებადი ფიჭის რიგითი ნომერია (ნახ. 4.6).



ნახ. 4.6. A ფიჭზე B ფიჭის CF ანათვლების ჰისტოგრამა

ამრიგად,  $DB\_VALUE\_HIGH_A = 0$  და დროს

$$Y_{AB} = \frac{T_{A < B}}{T_{AB}} = \frac{\frac{NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_3\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA}{NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_1\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA},}{+ NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_2\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA + NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_3\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA}$$

და (4.5, 4.6)-ის პირობების შემოწმება შეიძლება რეალიზებულ იქნებს CF ქსელური სტატისტიკისადმი არართული მოთხოვნების სახით.


CF ანათვლების სპეციფიკის გამო არსებობს რიგი გარემოებები, რომლებიც ხელს უშლიან ანათვლების ჩატარებას მუდმივ საფუზველზე ყველა სექტორში. ამიტომ, ჩვეულებრივ, CF ანათვლების საჭიროებისამებრ ორგანიზოვენ და ატარებენ ისე, რომ ერთი სექტორი ახდენს განსაზღვრული სიხშირული არხის სკანირებას ერთი დღის მხოლოდ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.  $Y_{AB}$  გადაფარევის დონის გამოანგარიშებისას იყენებენ A სექტორით B სექტორის BCCH

სიხშირული არხის სკანირების შედეგებს ანათვლების პროგრამის m დღეს:

$$Y_m = \frac{\text{NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_3\_OF\_UNDEF\_ADJ\_CELL\_BA}(m)}{\text{NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_1\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA}(m) + \text{NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_2\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA}(m) + \text{NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_3\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA}(m)},$$

შედეგების გაშუალების არარსებობა დროის რაღაც მნიშვნელოვან პერიოდში (რამოდენიმე დღე) ამცირებს მათ სამედობას, რადგან არსებობს ალბათობა იმისა, რომ ანათვლების ჩატარების დღეს ტრაფიკის განაწილება A და B სექტორებს შორის არ იყო ტიპიური. ამიტომ CF ანათვლების ორგანიზაციისას სიხშირეთა სკანირების პროგრამა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ გამოვრიცხოთ წინასწარ ცნობილი თარიღები ატიპიური ტრაფიკით.

CF ანათვლების ჩატარების სპეციფიკა აიძულებს ოპერატორს მოძებნოს ანათვლების ხანგრძლივობის შემცირების ხერხები. ერთ-ერთ ასეთ ხერხს წარმოადგენს უარის თქმა cross-band – ის ტიპის გაზომვებზე, როდესაც GSM – 900 სექტორები ახდენენ GSM – 1800 დიაპაზონის არხების სკანირებას, ხოლო GSM – 1800 სექტორები ახდენენ GSM – 900 დიაპაზონის არხების სკანირებას. ამ შემთხვევაში NR სხვადასხვა დიაპაზონის სექტორებს შორის შეიძლება დამატებულ იქნენ ერთი დიაპაზონის სექტორებს შორის არსებული NR შესაბამისად. მაგალითად, თუ GSM – 1800 შრეში ანათვლების შედეგების მიხედვით აღმოჩენილია 1800\_A, 1800\_B სექტორებს შორის NR დამატების აუცილებლობა, ხოლო GSM – 900 შრეში ანათვლების შედეგების მიხედვით აღმოჩენილია 900\_A, 900\_B სექტორებს შორის NR დამატების აუცილებლობა, და ამასთანავე, სექტორები 900\_A – 1800\_A, 900\_B – 1800\_B თანამიმართულია (ნახ.4.7), მაშინ მიზანშეწონილია დაემატოს NR 900\_A ↔ 1800\_B, 900\_B ↔ 1800\_A – ც.



ნახ. 4.7 დიაპაზონთაშორისი MR დამატება

#### 4.4. უფექტო NR აღმოჩენის მეთოდი

ტრადიციულად საფუძველს რადიოქსელში მომქმედი NR ეფექტურობის შესამოწმებლად წარმოადგენს სტატისტიკა ჰენდოვერების ცდების რაოდენობისა და წარმატებულობის თაობაზე.

რადიოქსელში, სადაც ოპერატორი უშვებს ერთმიმართულებიანი NR გამოყენებას,  $A \rightarrow B$  მეზობლობის ეფექტურობის შესამოწმებლად უნდა განვიხილოთ,  $A \rightarrow B$  ჰენდოვერების ცდების წილი  $A$  ფიჭიდან გამომდინარე ჰენდოვერების ცდების მთელი რაოდენობიდან:

$$\delta_{AB} = \frac{n_{all\_AB}}{\sum_{i=1}^{N_A} n_{all\_AXi}}, \quad (4.7)$$

სადაც  $n_{all\_AB}$  -  $A \rightarrow B$  ჰენდოვერების ცდების რაოდენობა;  $n_{all\_AXi}$  -  $A \rightarrow X_i$  ჰენდოვერების ცდების რაოდენობა;  $X_i, i = 1, \dots, N_A$  -  $A$  ფიჭის მეზობლები;  $N_A$  -  $A$  ფიჭის მეზობლების სიის სიგრძეა.

რადიოქსელში, სადაც ოპერატორი უმებეს მხოლოდ  
ორმიმართულებიან NR, უნდა განვიხილოთ A → B და B → A  
ჰენდოვერების ცდების წილები:

$$\left\{ \begin{array}{l} \delta_{AB} = \frac{n \text{ all\_AB} + n \text{ all\_BA}}{\sum_{i=1}^{N_A} (n \text{ all\_AX}_i + n \text{ all\_X}_i A)}, \\ \delta_{BA} = \frac{n \text{ all\_BA} + n \text{ all\_AB}}{\sum_{j=1}^{N_B} (n \text{ all\_BY}_j + n \text{ all\_Y}_j B)} \end{array} \right. \quad (4.8)$$

სადაც  $Y_j$ ,  $j = 1, \dots, N_B$  - B ფიჭის მეზობლების სის სიგრძეა.

A და B ფიჭებს შორის A → B ჰენდოვერების ცდების რაოდენობის სტატისტიკას ქმნიან ქსელური ანათვლები Handover Adjacent Cell BSS, რომლებიც, მათ შორის იყენებენ შემდეგ მრიცხველებს:

- LAC0\_and\_CI0 (№015000) – A ფიჭის LAC და CI;
- LACX\_and\_CIX, X = 1, ..., 33 – B ფიჭის LAC და CI;
- HO\_ATT\_TO\_ADJX, X = !, ..., 33 (№ 015008 - №015232) – A → B ჰენდოვერების ცდების რაოდენობა;

X - ფიჭის რიგითი ნომერია მეზობლების სიაში.

ამრიგად,  $n_{all\_AB} = HO\_ATT\_TO\_ADJB_A$ .

იმისათვის, რომ NR A → B ვცნოთ უეფექტოდ რადიოქსელში მხოლოდ ერთმიმართულებიანი NR შესაძლებლობით, A → B ჰენდოვერების ცდების წილები უნდა იყვნენ ზღვარს ქვემოთ:

$$\delta_{AB} < \delta_{thresh\_del},$$

იმისათვის, რომ  $NR \rightarrow A \rightarrow B$  კცნოთ უეფაქტოდ რადიოქსელში მხოლოდ ორმიმართულებიანი  $NR$  შესაძლებლობით,  $A \rightarrow B$  და  $B \rightarrow A$  პენდოვერების ცდების წილები უნდა იყვნენ ზღვარს ქვემოთ:

$$\left\{ \begin{array}{l} \delta_{AB} < \delta_{\text{thresh\_del}} \\ \delta_{BA} < \delta_{\text{thresh\_del}}, \end{array} \right.$$

(4.7, 4.8) კრიტერიუმების პრაქტიკული გამოყენებისთვის უნდა განვსაზღვროთ გადამწყვეტი სტატისტიკების  $\delta_{AB}$ ,  $\delta_{BA}$  გამოანგარიშების ხერხი. პენდოვერების სტატისტიკის დაგროვების პერიოდი უნდა უზრუნველყოფდეს არჩევის რეპრეზენტატიულობას. ენდოვერების ცდების საშუალო პროცენტი 1-2 კვირის პერიოდში საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ  $NR$  ეფექტურობა, რომლებსაც მოითხოვენ მუდმივ საფუძველზე. ამ შემთხვევაში (4.7 – კრიტერიუმებიანი  $NR$ ) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\delta_{AB\_avg} = \frac{n \text{ all\_AB}}{\sum_{i=1}^{N_1} n \text{ all\_AX}_i} = \frac{\sum_{m=1}^M n \text{ all\_AB}(m)}{\sum_{i=1}^{N_1} \sum_{m=1}^M n \text{ all\_AX}_i(m)} < \delta_{\text{thresh\_del\_avg}}$$

(4.11)

სადაც  $M$  – დაკვირვების პერიოდის ხანგრძლივობა ( $M = 7 \dots 14$  დღე);

$n \text{ all\_AB}(m)$  –  $A \rightarrow B$  პენდოვერების ცდების ჯამური რაოდენობა  $m$ -ურ დღეს;

$n \text{ all\_AX}_i(m)$  –  $A \rightarrow X$  პენდოვერების ცდების რაოდენობა  $m$ -ურ დღეს;

$\delta_{AB\_avg}$  –  $A \rightarrow B$  პენდოვერების ცდების საშუალო წილი პერიოდში;

$\delta_{\text{thresh\_del\_avg}}$  – პენდოვერების ცდების ზღვრული საშუალო წილი.

ანალოგიურად 4.8 – ორმიმართულებიანი  $NR$ ) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\left\{ \begin{array}{l} \delta_{AB\_avg} = \frac{\sum_{m=1}^M (n \text{ all\_AB}(m) + n \text{ all\_BA}(m))}{\sum_{i=1}^{N_1} \sum_{m=1}^M (n \text{ all\_AX1}(m) + n \text{ all\_X1A}(m))} < \delta_{thresh\_del\_avg}, \\ \delta_{AB\_avg} = \frac{\sum_{m=1}^M (n \text{ all\_AB}(m) + n \text{ all\_BA}(m))}{\sum_{i=1}^{N_1} \sum_{m=1}^M (n \text{ all\_BY1}(m) + n \text{ all\_Y1B}(m))} < \delta_{thresh\_del\_avg}, \end{array} \right.$$

რათა საიმედო იყოს, არაეფექტური NR აღმოჩენის მეთოდმა უნდა უზრუნველყოს იმ მეზობლების შენარჩუნება, რომლებიც მოთხოვნილი არიან არა მუდმივ საფუძველზე, არამედ მხოლოდ ტრაფიკის ნაკადების პერიოდული გადანაწილებისას (მაგალითად, დასვენების დღეებში). ამ ამოცანის გადასაჭრელად უნდა განვიხილოთ დასაკვირვებელ პერიოდში მაქსიმალური ცდების პროცენტის სტატისტიკა. მ შემთხვევაში (4.7 – ერთმიმართულებიანი NR) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$(4.13) \quad \delta_{AB\_max} = \operatorname{Max}_m \left( \frac{n \text{ all\_AB}(m)}{\sum_{i=1}^{N_1} n \text{ all\_AY1}(m)} \right) < \delta_{thresh\_del\_max}, \quad m = 1, \dots, M,$$

სადაც  $\delta_{AB\_max}$  - A  $\rightarrow$  B პენდოვერების ცდების მაქსიმალური წილია პერიოდში;

$\delta_{thresh\_del\_max}$  – პენდოვერების ცდების მაქსიმალური ზღვრული წილია.

$$\left\{ \begin{array}{l} \delta_{AB\_max} = \operatorname{Max}_m \left( \frac{n \text{ all\_AB}(m) + n \text{ all\_BA}(m)}{\sum_{i=1}^{N_1} n \text{ all\_AX1}(m) + n \text{ all\_X1A}(m)} \right) < \delta_{thresh\_del\_max}, \\ m = 1, \dots, M \end{array} \right. \quad (4.14)$$

$$\delta_{AB\_max} = \text{Max}_{\text{thresh\_del\_max}, m=1, \dots, M} \left( \frac{n \text{ all\_AB}(m) + n \text{ all\_BA}(m)}{\sum_{i=1}^N n \text{ all\_BY1}(m) + n \text{ all\_Y1B}(m)} \right) < \delta$$

m

პენდოვერების ცდების საშუალო და მაქსიმალური წილების ერთობლივი განხილვა საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ NR, რომლებიც მოთხოვნილია როგორც მუდმივ, ისე დროებით საფუძველზე თუმცა არსებობს რიგი სიტუაციები, როდესაც რაღაც NR შენარჩუნების რეალური აუცილებლობა შეუდლებულია პენდოვერების ცდების შედარებით მცირე რაოდენობასთან:

- ცდების მცირე პროცენტი განპირობებულია მოცემული NR – თვის დადგენილი პარამეტრების ნაკრებით;
- ცდების მცირე პროცენტი განპირობებულია დროებრივი პრობლემებით ქსელური მოწყობილობის მუშაობაში (მაგალითად, არ ხდება სიგნალთა გაცვლა BSC შორის).

ჩამოთვლილი სიტუაციების გათვალისწინების საშუალებას იძლევა ფიჭების გადაფარვის დონის  $Y_{AB} = \frac{T_{AB}}{T_{AB}}$  დამატებითი ანალიზი.

არაეფექტურად ცნობილი NR შეიძლება მოცილებულ იქნეს მხოლოდ დამატებითი პირობების შესრულებისას:

- რადიოქსელისთვის ერთმიმართულებიანი NR შესაძლებლობით

$$Y_{AB} < Y_{\text{thresh\_del}}, \quad (4.15)$$

- რადიოქსელისთვის მხოლოდ ორმიმართულებიანი NR შესაძლებლობით

$$Y_{AB} + Y_{BA} < 2 Y_{\text{thresh\_del}}; \quad (4.16)$$

სადაც  $Y_{\text{thresh\_del}}$  - გადაფარვის ზღვრული დონეა (ზღვარს ქვემოთ გადაფარვისას NR AB შეიძლება მოცილებულ იქნეს).

მეზობელი ფიჭების გადაფარვის დონე შეიძლება განსაზღვრულ იქნეს პ. 4.2- ში ჩამოყალიბებული პრინციპების შესაბამისად. თუმცა, CF ფუნქციონალობის ნაცვლად, საჭირო შემომავალი მონაცემების მისაღებად უნდა გამოვიყენოთ ანათვლები BSS DAC (Defined Adjacent Cell). DAC ასრულებს იგივე ფუნქციებს, რაც CF, ანათვლების ობიექტებს წარმოადგენენ NR შეერთებული ფიჭები (თავი 3). DAC სტატისტიკის ერთ – ერთ უპირატესობას წარმოადგენს მუდმივ საფუძველზე მისი შეგროვების შესაძლებლობა (ანათვლები თითოეულ NR – ზე შეიძლება შესრულდეს ყოველდღიურად).

ამრიგად, მეზობელი ფიჭების გადაფარვის დონე  $Y_{AB}$  უნდა შევაფასოთ პერიოდული შესრულების ცდების სიხშირის ანალიზთან ერთად და მის პარალელურად:

$$Y_{AB} = \frac{T_{A<B}}{T_{AB}} = \frac{\text{NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_3\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA (m)}}{\text{NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_1\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA (m)} + \text{NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_2\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA (m)} + \text{NUMBER\_OF\_SAMPLES\_IN\_CLASS\_3\_OF\_UNDER\_ADJ\_CELL\_BA (m)},$$

რიცხველების აღწერა მოყვანილია ცხრილ 3.2 – ში (თავი 3).

მოსამორებელი არაეფექტური NR სიის შედგენისას მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ განხილული ფიჭების მეზობლების სიის მიმდინარე ზომა (BAL – BCCH allocation list). ჩხადია, რომ უეფექტო NR შემცირება ყველაზე აქტუალურია ფიჭებზე გადათვირთული BAL - ებით (ე. ი. ფიჭებზე, სადაც BAL – ის სიგრძე უახლოვდება ზედა ზღვარს – 32), რადგან ეს საშუალებას გვაძლევს მოვხსნა რიგი პრობლემები:

- BAL – ის გადატვირთულობა ზღუდაგს ოპერატიული დაგეგმვის თავისუფლებას, ამნელებს რა ახალი აქტუალური NR დამატებას;
- BAL – ის გადატვირთულობა ქმნის გადაჭარბებულ შეზღუდვებს სტგ (სიხშირულ ტერიტორიული გეგმა)-ს შექმნისას და

შეიძლება გამოიწვიოს რადიოქსელის მუშაობის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესება;

- BAL-ის გადატვირთულობა იწვევს პენდოვერის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შეფერხების მომატება, აუარესებს რა მაღალი მობილობის მქონე აბონენტების მომსახურეობის ხარისხს.

პირიქით, უეფექტო NR -ს არსებობას ფიჭებზე BAL-ის მცირე ზომით ( $\leq 6..12$ ) არ გააჩნია პრაქტიკულად მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები.

მოყვანილი არგუმენტები ამტკიცებენ BAL-ის სიგრძის მიხედვით ზღვრების ცვლილების მიზანშეწონლობას რადიოქსელის კონფიგურაციიდან მოსაცილებლად NR-ს შერჩევისას.

რადიოქსელში ერთმიმართულებიანი NR შესაძლებლობით ზღვრების ადაპტაციის ალგორითმი შეიძლება რეალიზებულ იქნეს შემდეგნაირად:

1. BAL სიგრძის დიაპაზონს 0...32 გყოფთ 4 ინტერვალად (ცხრილი 4.2):

ცხრილი 4.2.

BAL სიგრძის კლასიფიკაცია	
ინტერვალი	BAL სიგრძე
I	0.. 12
II	13.. 18
III	19.. 25
IV	26.. 32

2. თუ განხილული სექტორი მიეკუთვნება I ინტერვალს, მაშინ ყველა გამომავალი NR, ნარჩუნდებიან ეფექტურობაზე დამოკიდებულების მიუხედავად.

3. თუ სექტორი მიეკუთვნება II – IV ინტერვალებს, მაშინ ზღვრების დონეები შემდეგნაირად იცვლებიან (ცხრილი 4.3):

$\text{ინტერვალი}$	$\delta_{\text{thresh\_del\_avg}}$	$\delta_{\text{thresh\_del\_max}}$	$\delta_{\text{thresh\_del}}$
I	0	0	0
II			
III	გაზრდა	გაზრდა	გაზრდა
IV			

ალგორითმი უმნიშვნელოდ იცვლება, თუ თპერატორი იყენებს მხოლოდ ორმიმართულებიანი NR პრინციპს:

1. BAL სიგრძის დიაპაზონს 0...32 ვყოფთ 4 ინტერვალად (ცხრილი 4.2):
2. თუ ორივე განხილული სექტორი A და B მიეკუთვნებიან I ინტერვალს, მაშინ შესაბამისი მეზობლური დამოკიდებულებები  $A \rightarrow B$  და  $B \rightarrow A$ , ნარჩუნდებიან ეფექტურობაზე დამოკიდებულების მიუხედავად.
3. თუ A და B სექტორებიდან თუნდაც ერთი მიეკუთვნება II, III ან IV ინტერვალს, მაშინ ზღვრების დონეები მყარდებიან იმ ინტერვალის მაქსიმალური ნომრის შესაბამისად, რომელსაც მიეკუთვნება ერთ-ერთი სექტორი:  $\max\{\text{ინტერვალი (A), ინტერვალი (B)}\}$ . ცხრილ 4.4 – ში მოყვანილი NR მოცილების ზღვრების რიცხობრივი მნიშვნელობები გამოყენებულ იქნა რადიოქსელში.

#### ცხრილი 4.4.


#### NR მოცილების ზღვრები

ინტერვალი	$\delta_{\text{thresh\_del\_avg}}$	$\delta_{\text{thresh\_del\_max}}$	$\delta_{\text{thresh\_del}}$
I	0	0	0
II	0.004	0.010	0.10
III	0.006	0.015	0.30
IV	0.008	0.020	0.40

ცხრილიდან 4.4 გამომდინარეობს, რომ ზღვარი  $\delta_{\text{thresh\_del}}$ , რომელიც გამოიყენება NR მოსაცილებლად მნიშვნელოვნად აღემატება ზღვარს  $\delta_{\text{thresh\_add}}$  (0.05), რომელიც გამოიყენება NR დამატებისას (პ. 4.3). ეს უზრუნველყოფს NR გარანტირებულ მოცილებას, რომელიც დამატებული იყო ფიჭებს შორის გადაფარვის არამაღალი დონით, და რომელმაც არ დაადასტურა თავისი ეფექტურობა.

#### 4.5. მეზობელი ფიჭების სიების ოპტიმიზაციის ალგორითმი

ზემოთ შემუშავებული მეთოდები (პ. 4.3 - გამოტოვებული NR აღმოჩენა; პ.4.4 - უეფექტო NR აღმოჩენა) საშუალებას გვაძლევან ავაგოთ მეზობელი ფიჭების სიების ოპტიმიზაციის ალგორითმი (ნახ. 4.8):



**ნახ. 4.8. მეზობელი ფიჭების სიების ოპტიმიზაციის ალგორითმის  
სქემა**

**დასკვნები**

თავში მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები.

1. გახსნილია GSM რადიოქსელში მეზობლური დამოკიდებულებების (NR) ოპტიმიზაციის მნიშვნელობა. შესრულებულია მეზობელი ფიჭების ოპტიმიზაციის ცნობილი პრაქტიკული ხერხების მოკლე მიმოხილვა. დასაბუთებულია ქსელური სტატისტიკის გამოყენებაზე დაფუძნებული NR ოპტიმიზაციის ალგორითმის შემუშავების აუცილებლობა.
2. შემოღებულია ფიჭების გადაფარვის დონის ცნება და შემუშავებულია გამოტოვებული NR აღმოჩენის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ფიჭების გადაფარვის დონეების შეფასებაზე, და რომელიც იყენებს ქსელურ სტატისტიკას Channel Finder BSS.
3. შემუშავებულია უაფაქტო NR აღმოჩენის მეთოდი, რომელიც იყენებს მეზობელ ფიჭებს შორის ჰენდოვერების ცდების ქსელურ სტატისტიკას (Handover Adjacent BSS), და რომელიც ახდენს NR მოცილების ზღვრების ადაპტაციას განხილული ფიჭების მეზობლების სიების სიგრძეებისადმი.
4. შემოთავაზებულია მეზობელი ფიჭების სიების ოპტიმიზაციის ალგორიტმის ზოგადი სქემა.

## დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგად, რომელთა მიზანი იყო GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის მოქმედ ქსელებში აბონენტთა მომსახურეობის ხარისხის ამაღლება, გადაჭრილია ქსელის ფუნქციონირების შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოყენების საფუძველზე GSM სტანდარტის ქსელის რადიორესურსების მართვის ალგორითმების შემუშავების მეცნიერული ამოცანა.

სადისერტაციო ნაშრომში პირველად იქნა მიღებული შემდეგი შედეგები :

1. ჩამოყალიბებულია მოთხოვნები ქსელური სტატისტიკისა და რადიოანათვლების შედეგების გამოყენების საფუძველზე რადიორესურსების მართვის ალგორითმებისადმი.
2. შემუშავებულია GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელის მათემატიკური მოდელი, რომელიც ქსელის მუშაობის ხარისხის მაჩვენებლებს აკაგშირებს მის საექსპლუატაციო მახასიათებლებთან და სააბონენტო დატვირთვასთან.
3. ჭარმოებულია შემუშავებული მათემატიკურ მოდელის საფუძველზე სხვადასხვა კონფიგურაციის ქსელებისთვის შიდასისტემური ხელშეშლების შეფასება.
4. ჩატარებულია ქსელის მდგრადარებათა შედარებითი ანალიზი შიდასისტემური ხელშეშლების, ქსელზე სააბონენტო დატვირთვის გათვალისწინებით სპეციალური ეფექტურობისა და მოწყობილობის გამოყენების ეფექტურობის კრიტერიუმების მიხედვით.
5. შემუშავებულია GSM-900 და GSM-1800 თანამიმართული სექტორების ხმოვანი ტრაფიკის რეგულირების ალგორითმი, რომელიც დაფუძნებულია ტრაფიკის მიმდინარე დისბალანსის შეფასებასა და Umbrella - პენდოვერის ამოქმედების ზღვარის გამოანგარიშებაზე.

6. შემუშავებულია მეზობელი ფიჭების სიების ოპტიმიზაციის ალგორითმი სექტორებს შორის მეზობლური დამოკიდებულებების ეფექტურობის ზღვრების ადაპტაციით

სამეცნიერო დებულებების, რეკომენდაციების დასაბუთებულობა და კვლევების შედეგების უტყუარობა დასტურდება “მობიტელის” ქსელში შემოთავაზებული ალგორითმების რეალიზაციის შედეგებით.

## გამოყენებული წყაროების სია

1. Agustina j. v., Zhang P., Kantola R. Perfomance evoluation of GSM handover traffic in a GPRS/GSM network// Eighth IEEE ISCC 2003 Proccedings, 2003.
2. Balston d. M., Macario R. C. V. Cellular radio systems. Artech House, London, 1994.
3. Bello P. A. Characterisation of random time variant linear channels // IEEE Trans. Commun. Syst. – 1963, - Dec.
4. CEPT / COST 207 WGI: Proposal on channel transfer functions to be used in GSM tests late 1986. COST 207 TD (86)51 Rev. 3. – 1986, - Sept.
5. Clarke R. H. A statistical theory of mobile radio reception // Bell Syst. Tech. J. - 1968. – vol. 47.
6. Doble J. Introduction to radio propagation for fixed and mobile communication. Artech house, London, 1996.
7. ETSI: ETR 003: Network Aspect (NA). General aspects of quality of services (QoS) and Network Perfomance (NP)> - 1994.
8. ETSI: ETR 138: Quality of service indicators for Open Network Provision (ONP) of voice telephone and Integrated Services Digital Network (ISDN). - 1999.
9. ETSI TR 101 362 V6.0.1 (1998-07 ) Technical Report Digital cellular telecommunications system (Phase 2+); Radio network planning aspects.
10. ETSI TS 102 250-1. Speech processing, Transmission and Quality Aspects (STQ); QoS aspects for popular services in GSM and 3G networks; Part 1: Identification of Quality of Services aspects.
11. ETSI TS 102 250-2.. Speech processing, Transmission and Quality Aspects (STQ); QoS aspects for popular services in GSM and 3G networks; Part 2: Definition of Quality of Services parameters and their computation.

12. Fannin P. C., Molina A. et al. Digital signal processing techniques applied to mobile radio channel sounding // IEE Proc. – 1991. – vol. 138, pt.F, - Oct.
13. Farucue S. Cellular mobile systems engineering. Artech House, London, 1996.
14. Feher K. Digital communications: microwave applications. Englewood Cliffs, NJ, 1981.
15. Feher K. Wireless digital communications. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall, 1994.
16. GRPS. General Packet Radio Service, Regs J. (Bud) Bates Jr. / McGraw – Hill, 2002.
17. Har D., Xia H.H., Bertoni H. L. Path- loss prediction model for mikrosells// IEEE Trans. Veh. Technol. – 1999. – vol. 48, - Sept.
18. Hata M. Empirical formula for propagation loss in land mobile radio// IEEE Trans VT -29. – 1980< \_ Aug.
19. Hess G.C. Land – mobile radio systems engineering. Artech House, London, 1993.
20. Halonen T., Romero J. GSM, GPRS and EDGE Performance: Evolution Towards 3G/ UMTS. Second Edition, 2003.
21. ITU – R Recommendation E.800 (08.94) Terms and definitions, related to Quality of Services and network performance including dependability.
22. ITU – R Recommendation P. 529-2. Prediction methods for the terrestrial land mobile service in the VHF and UHF bands.
23. ITU – R Recommendation P.862 : “ Perceptual evaluation of Speech Quality (PESQ), an objective method for End to end speech quality assessment of narrowband telephone networks and speech codecs”.
24. Jakes W. C., ed. Microwave mobile communications. Wiley, New York, 1974.
25. Lee W. C. Y. Mobile cellular communications. McGraw Hill, NY, 1989.

26. Lee W. C. Y. Overview of cellular CDMA // IEEE Trans. Veh. Technol. – 1991. Vol.40, - May.
27. Lee W. C. Y., Lee D. J. Y. Microcell prediction in dense urban area// IEEE Trans. Veh. Technol. – 1998. – vol. 47, - Febr.
28. Lee W. C. Y., Mobile Communications Design Fundamendals. – NY.: 1994.
29. Lindemann, C. Thummller, A. Perfomance analysis of the General Packet Radio Service// 21<sup>st</sup> International Conference on Distributed Computing Systems, 2001.
30. Madkour, M. F. Effect of high GSM voice traffic on GPRS data network and the proposed solutions// Proceedings of the 46<sup>th</sup> IEEE International Midwest Symposium on Circuits and Systems, 2003.
31. Mehrotra H. Cellular Radio: analog and digital systems. Artch House, London, 1994.
32. Mehrotra H. GSM system engineering, Artech House, London, 1997.
33. Mehrotra H. Cellular radio performance engineering. Artech House, London, 1994.
34. Microwave mobile communications / Lakes W. C., ed. NY, Wiley, 1974.
35. Mobile radio communications / Steel R., ed. Pentech Press Publishers, London, 1994.
36. Mouly M., Pautet M. The GSM system for mobile communications. Paulaiseau, France, 1992.
37. Nakagami M. The m-distribution – a general formula of intensity distribution of rapid fading // Statistical Methods in Radio Wave Propagation. Elmsford, NY: Pergamon, 1960.
38. Navarro, J. Martinez, J. Romero, J. Signaling capacity in GSM & (E)GPRS networks // IEEE 55th Vehicular Technology Conference, 2002.
39. Ni, S. GPRS network planning on the existing GSM system // Global Telecommunications Conference, 2000.

40. Parsons J.D., Gardiner J.G. Mobile communication systems. Blackie, London, 1989
41. Porcarelli, S. Di Giandomenico, F. Bondavalli, A. Analyzing quality of service of GPRS network systems from a user ' s perspective // Proceedings of Seventh International Symposium on Computers and Communications, 2002.
42. Premkumar, K. Chockalingam, A. Performance analysis of RLC / MAC and LLC Layers In A GPRS protocol stack // IEEE Trans. On Veh. Tech., 2004, - Sept.
43. Proakis J. G. Digital communications. 2<sup>nd</sup> ed. NY: McGraw Hill, 1994.
44. Redl S., Weber M., Oliphant M. An Introduction to GSM. Artech House, London, 1994.
45. Redl S., Weber M., Olifant M. GSM and personal communications handbook. Artech House, London, 1998.
46. Rice S.O. Mathematical analysis of random noise // Bell Syst. Tech. J. – 1944. – vol. 23, - July.
47. Sclar B. Rayleigh fading channels in mobile digital communications systems // IEEE Commun. Mag. – 1997, - July.
48. Sherratt R. S. Performance of GPRS coding scheme detection under severe multipath and co-channel interference as a function of soft-bit width // IEEE Wireless Communications and Networking Conference, 2003.
49. Stuckmann P., Ehlers N., Wouters B. GPRS traffic performance measurements // IEEE VTC 2002 - Fall Proceedings. 2002, - Sept.
50. Verdu S. Minimum probability of error for asynchronous Gaussian multipleaccess channels // IEEE Trans. Info. Theory. – 1986. – vol. IT – 32, - Jan.
51. Viterbi A. J., Viterbi A. M. Other – cell intergerence in cellular power-controlled CDMA // IEEE Trans. Commun. - 1994. – Vol. 42. – Febr. / March /Apr.

52. Webb W. Understanding cellular radio. Artech House, London, 1998.
53. Wei – Yeh Chen Wu, J. – L. C. Hung – Huan Liu Perfomance analysis of radio resource allocation in GSM / GPRS networks // Proceedings of Vehicular Technology Conference, 2002.
54. Wittman M. et al. Impact of the power delay profile shape on the bit error rate in mobile radio systems // IEEE Trans. Veh. Technol. – 1997. – vol. 46, - May.
55. Xia H. A simplified analitical model for predicting path loss in urban and suburban environments // IEEE Trans. Veh. Technol. – 1997. – vol. 46, - Nov.
56. Zhang Y., Soong B. Multi-slot capability increases GPRS network performance // 1st International Symposium on Wireless Communication Systems. – 2004, - Sept.
57. 3GPP TS 24.008 V8.5.0 (2009-03) Technical Specification Group Core Network and Terminals; Mobile radio interfase Layer 3 specification; Core network protocols; Stage 3 (Release 8).
58. 3GPP TS 45.008 V7.5.0 (2006-9); Technical Specification Group GSM / EDGE Radio Access Network; Radio subsystem link control (Release 7).
59. В.В. Афансьев, Е.Е. Володина, В.Г.Скриников, В.О. Еухвинский, Системы управления обсуживания системно сетевых аспектов в мобильной связи/ Российская ассоциация GSM операторов. -2004.
60. Бабков В.Ю, М.А. Вознюк, П.А. Михайлов. Сути мобильной связи. Частотно-территориальное планирование./ СПБ, СПбГУТ 2000.
61. Бабков В.Ю, Дмитриев В.И., Системы мобильной связи/ Под ред. М.А. Вознюка. СПб.: ВУС, 1998 – стр 56-71
62. Бендат Дж. Пирсол А.Измерение и анализ случайных процессов. Пер. С англ/Под ред. И.Н. Коваленко, М. Мир, 1971
63. Бабков В.Ю, Вознюк М.А., Михайлов П.А. Сети мобильной связи. Частотно-территориальное пларированиe / СПб.: СПбГУТ, 2004.
64. Быховский М.А. Частотное планирование сотовых сетей подвижной

- радиосвязи, Электросвязь. 1993 – 8 , стр – 29-31.
65. о. а. გრომაკოვი. მობილური კავშირის სტანდარტები და სისტემები.: მობილური ტელესისტემები. პო – ტრენდზი, 1997.
66. .პ. ა. ზვიოზდნი. სტატისტიკურ რადიოტექნიკაზე გამოაწერიშებების საფუძვლები. – მ.: კავშირი, 1969.
67. მ. ა. კუზნეცოვი, ა.ე. რიუკოვი. მობილური კავშირის თანამედროვე ტექნოლოგიები და სტანდარტები. – სპბ: სპბტსუ, 2006. – გვ. 464.
68. მ. ა. კუზნეცოვი, დ.ო. პოლკუდენკო, ა.ე.რიუკოვი, მ.ა. სივერსი. პენდოვერი GSM 900/1800 ქსელებში // კავშირის საერთაშორისო აკადემიის შრომები. – 2002. - №2.
69. Левин Б.Р. Теоретические основы статистической радиотехники// Книга вторая. М. Советское радио, 1975, с. 285-290.
70. ბ.ს. ლიფშიცი და სხვები. თელეტრაფიკის თეორია. – მ.: კავშირი, 1979.
71. ა. ვ. ნიკიტინა, ა. ნ. ნიკიტინი. GSM სტანდარტის რადიოქსელში მეზობელი ფიჭების სის ფორმირებისა და ოპტიმიზაციის ალგორითმი // ნტჟ სპბსპუ. - სპბ. 2008. - № 6.
72. რ. დ. რერლე, ი.მ. ეხრიელი, I.ვ. დანილოვი. GPRS ოქმები და მათი ტესტირება //მობილური სისტემები. – 2002. -№10. – გვ. 44 – 50.
73. საქართველოში კავშირისა და ინფორმატიზაციის სამინისტროს ხელმძღვანელი დოკუმენტი სდ 44.254-2002. “ კავშირის მომსახურეობათა ხარისხის მაჩვენებლების ნორმები და მათი შემფასებელი გამოცდების ჩატარების მეთოდიკები”.
74. საქართველოში კავშირისა და ინფორმატიზაციის სამინისტროს ხელმძღვანელი დოკუმენტი (სდ 44. 151-2000) “ GSM სტანდარტის ფიჭური რადიოტელეფონური კავშირის სისტემის ტექნიკური გამოცდების პროგრამა და მეთოდიკა მშენებლობით დასრულებული კავშირის ობიექტის მიღებისას და ექსპლუატაციაში შეყვანისას”.

75. საქართველოში კავშირისა და ინფორმატიზაციის სამინისტროს ხელმძღვანელი დოკუმენტი (სდ 44. 004-2000) “რუსეთის GSM სტანდარტის ზოგადი მოხმარების მობილური რადიოტელეფონური კავშირის ფედერალური ქსელის შექმნისა და განვითარების გენერალური სქემა”.
76. ა. ვ. რუსოვა. მობილური კავშირის ქსელთა სიხშირულ – ტერიტორიული დაგეგმვა: სახელმძღვანელო /ვ. ი. ბაბკოვის რედაქციით // სპბტსუ. - სპბ, 2002.
77. ა. ვ. რუსოვა. GSM სტანდარტის ფიჭური კავშირის ინტერვალურ ქსელთა პარამეტრების ოპტიმიზაცია ქსელის საწყისი მიახლოების აგების ეტაზე// დსთ ქვეყნების სტუდენტთა, ასპირანტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა მე – 3 სტკ “კავშირის ტექნიკა და ტექნოლოგია”: მოხსენებები – ოდესა, 2001.
78. ა. ვ. რუსოვა, ვ. ი. ბაბკოვი, მ. კ. კადერლევი. IMT – MC, GSM – R და TETRA სტანდარტების საფუძველზე ტექნოლოგიური სარკინიგზო რადიოკავშირის ქსელთა შედარებითი ანალიზი // მობილური სისტემები, №11, 2002.
79. ა. ვ. რუსოვა, ვ. ი. ბაბკოვი. GSM სტანდარტის ორდიაპაზონიანი ქსელების ეფექტურობის შეფასება // MHTK ICC ' 2001, ლეთი : კონფერენციის მასალები – ცპბ, 2001.
80. ა. ვ. რუსოვა, ვ. ი. ბაბკოვი. პარატურული და სიხშირული რესურსების გამოყენების ეფექტურობის კრიტერიუმების მიხედვით ფიჭურ ქსელთა აგების პრინციპების კომპლექსური ანალიზი. // MHTK ICC ' 2001, ლეთი : კონფერენციის მასალები – ცპბ, 2001.
81. . ვ. რუსოვა. მეტყველებითი და პაკეტური ტრაფიკის მომსახურეობის ხარისხის ამაღლება GSM (E)GPRS – 900/1800 ქსელებში. // რუსეთის სკოლა – კონფერენცია “მონაცემების გადაცემის მობილური სისტემები ახალგაზრდა მეცნიერებისა და მასწავლებლების მონაწილეობით: სკოლა – კონფერენციის მასალები. – მოსკოვი, 2006.

82. V. o. ტიბონოვი. შემთხვევითი პროცესების არახაზოვანი გარდაქმნები. – მ.: რადიო და კავშირი, 1986.
83. Цибулин М.К., Бокуняев К.А., Интегральная оценка качества передачи речевой - 2003. - №9. – стр. 83 – 84.
84. ლაშქარავა ლ., შამანაძე გ., შამანაძე ო. სალაპარაკო და პაკეტურ ტრაფიკებს შორის საინფორმაციო რესურსების გადანაწილების პარამეტრების აწყობის მეთოდიკა //საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია “ მართვის ავტომატიზირებული სისტემები და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები”, საქართველო, თბილისი, სტუ, 20-22 მაისი, 2011. გვ. 283-285.
85. ლაშქარავა ლ., შამანაძე ო., შამანაძე გ., ლაშქარავა ლ. “პირდაპირი გადადანიშნულების” პროცედურების გავლენა GSM ქსელის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. //საერთაშორისო სამეცნიერო ურნალი “ინტელექტუალი”, №19, თბილისი, 2012, გვ. 207-215.
86. ლაშქარავა ლ., შამანაძე გ., შამანაძე ო., ლაშქარავა ლ. რადიორესურსების მართვის განზოგადებული ალგორითმი. //საერთაშორისო სამეცნიერო ურნალი “ინტელექტუალი”, №22, თბილისი, 2013, გვ. 205-211.
87. ლაშქარავა ლ., შამანაძე გ., შამანაძე ო., ლაშქარავა ლ. GSM სტანდარტის ქსელებში გადატვირთულობის წინასწარმეტყველების ალგორითმი და მისი პარამეტრები //საერთაშორისო სამეცნიერო ურნალი “ინტელექტუალი”, №22, თბილისი, 2013, გვ. 212-218.
88. ლაშქარავა ლ., შამანაძე გ., შამანაძე ო., ლაშქარავა ლ. GSM სტანდარტის ქსელისათვის მობილურობის პარამეტრების ინტენსივობის ცვლილების მოდელი //საერთაშორისო სამეცნიერო ურნალი “ინტელექტუალი”, №29, თბილისი, 2015, გვ. 99-104.
89. ლაშქარავა ლ., შამანაძე გ., შამანაძე ო., ლაშქარავა ლ. GSM სტანდარტის მობილური რადიოკავშირის ქსელებში რადიორესურსების მართვის ალგორითმები //საერთაშორისო

სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტუალი”, №24, თბილისი, 2013, გვ. 99-104.

90. ლაშქარავა ლ., შამანაძე გ., შამანაძე ო., ლაშქარავა ლ. GSM ქსელის გადატვირთულობისათვის მათემატიკური მოდელის აღწერა// მოხსენებების კრებული. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, “ენერგეტიკა: რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები”, ქუთაისი, საქართველო, 2013 – გვ. 349-351.